ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №7 (19), 2012, ივლისი ფასი 2 ლარი

# ისტორიანი

## ძველი თბილისის მეთევზეები

## ვაჩაძეების მსბავსი ნაქალაქარი სარო-ხლარიჯეთში

## ნავთლეონი და აუსტერლიცის ბრძოლა

ქართველების ბმიჩელი ეპოპეა

**ანა ანტონოვსკაია**

**დიდი მოურავი**

**12 წიგნად**

**წიგნი I**

**ფასი 3 ლარი**

**წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი**

ჟვეოდანის მხეცის საიდუმლოება

მსოფლიო ჩელიბიები. ისლამი

მეტრობის ჰაჰი ბალთაზარ ტოსა

„ბამეფებული მდაბიოური“ ჩრობბუსთის ისტორია

## სარჩევი


ახალი ამბები

მიაკვლიეს ჭამთაალმწერლის მოხსენიებულ ტაძარს ---------- 6

დაკარგული სამყარო ---------- 7

ვარძიის მსგავსი ქალაქი ტაო-კლარჯეთში ---------- 9

მოკლე ამბები

სახელოვანი მამების შვილები ---------- 11

საქართველოს ისტორიის საიდუმლოებანი

თამარის საფლავის საიდუმლოება -------- 12

ახალი ამბები

2000 წლის საიდუმლო გვირაბი იერუსალიმში ---------- 19

ძველი თბილისი

მეთევზეები და თევზის გამყიდველები ---- 20

ბავშვობის ხიხლები

ყუმუხები ---------- 25

სამწუხარო ჰაერეები

პოლონეთი — 1939, საქართველო — 2008 --- 30

უხვლავი სახელები

შეუპოვარი დავით კლდიაშვილი ---------- 36

## სარჩევი


**მსოფლიო ჰელიბიები**
ისლამი ---------- 39

**ილია ბზიო**
საგურამო — მარჯორი უორდროპისა
და არტურ ლაისტის მასპინძელი ---------- 44

**სამხედრო საქმე**
აუსტერლიცის ბრძოლა ---------- 48

**შუა საუკუნეები**
ჟეკოდანის მხეცის საიდუმლოება ---------- 54

**ანტიპაპები**
ბალთაზარ კოსა ---------- 62

**სპორტის ისტორიიდან**
ჩოგბურთი — „გამეფებული მდაბიორი“ --- 68

**ცხოვრება**
მასში იყო საქართველო... ---------- 74

**ეროვნული**
ზურაბ ცინცაძისა: ისტორია
ერთმანეთისგან კარგისა და ცუდის
გარჩევას გვასწავლის... ---------- 79

**„ისტორიანი“ ბავშვებისთვის**
500 ფაქტი ისტორიიდან ---------- 82

სკანვორდი ---------- 90

# ᲩᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲔᲢᲘ

ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲐᲨᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲕᲘᲪᲕᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲡ

თამარ მეფის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ისტორია დიდი ხანია საზოგადოების ინტერესს იწვევს.

ჟურნალ „ისტორიანის“ მკითხველს ჩვენ უკვე შევთავაზეთ ნაშრომი თამარის გარდაცვალების მიზეზთა შესახებ. ამ ნომერში კი ვასრულებთ სტატიას მეფექალის გასაიდუმლოებული საფლავის ისტორიის საინტერესო და ახალ დეტალებზე. რა თქმა უნდა, ბევრისთვის ეს თემა დღემდე დახურულად მიიჩნევა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ისტორიისთვის მართლაც არ არსებობს დაფარული. მართლაც, რა უფრო სასარგებლოა ერისთვის, თაყვანი სცეს და პატივი მიაგოს თავისი უდიდესი მონარქის საფლავს თუ ეს საფლავი უცნობი იყოს!.. განა საამაყო არ არის, რომ სვეტიცხოველში ყველა თაობის ადამიანები პატივს მიაგებენ ვახტანგ გორგასლის, ერეკლე II-ის საფლავებს? სწორედ ამიტომაც მიგვაჩნია, რომ გელათში ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების დაწყება საშური საქმეა.

მნიშვნელობა არ აქვს, ვიპოვით თუ არა თამარის გასაიდუმლოებულ საფლავს. გელათში ხომ ათობით მეფე განისვენებს და მათი აკლდამების გახსნა საქართველოს ისტორიას ახალ, ფასდაუდებელ ინფორმაციას შესძენს. უკვე დიდი ხანია ისტორიისა და მედიცინის ინტერდისციპლინური კვლევები წარმოებს და ასეთმა თანამშრომლობამ ბევრი ახალი თემა წარმოშვა მეცნიერებაში.

აქვე იმასაც დავძენდით, რომ მართალია გელათის სამეფო აკლდამაში არქეოლოგიური გათხრები აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გელათი მონასტერია და ეს სამუშაოები საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდთან შეუთანხმებლად არ უნდა დაიწყოს. მხოლოდ მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევის შემდეგ იქნება შესაძლებელი ამ საუკუნის პროექტის განხორციელება.


ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
**„ისტორიანი“**

მთავარი რედაქტორი
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი
**გელა გურგენიძე**

სტილისტი-რედაქტორი
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
**ალექსანდრე ბოშიშვილი**
**ოქროპირ ჯიქური**
**ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:
**ნანა მაჭავარიანი**
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**

e-mail: istoriani@palitra.ge

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და
წიგნების გავრცელების სააგენტოს **„ელვა.ჯი“**.
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**

# მიაკვლიეს ჟამთაღმწერლის მოხსენიებულ ტაძარს

***წმინდა გიორგის IX საუკუნის ტაძარი, რომელიც ტაო-კლარჯეთში მდებარეობს, ჟამთაღმწერელმა XII საუკუნეში მოიხსენია. ამ ტაძრის არსებობა პირველად ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორებმა დაადასტურეს.***

*„ქართლის ცხოვრება“. მარიამისეული ნუსხა*

მეცნიერებმა მიაკვლიეს, რომ წმინდა გიორგის ეკლესია, როგორც მას ისტორიულ წყაროებში მოიხსენიებენ, ტაო-კლარჯეთში, ოპიზის მახლობლად მდებარეობს და დღემდე ქართველი მეცნიერებისგან არავის მოუნახულებია. აღმოჩენა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010-2011 წლების ექსპედიციის შედეგია, რომელიც ტაო-კლარჯეთში მალხაზ ჩოხარაძემ, მამია ფაღავამ და ზაზა შაშიკაძემ მოაწყვეს.

„უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი, რომ ჯერ კიდევ არსებობს ტოპონიმი და გადარჩენილია წმინდა გიორგის ეკლესიის ნაშთები. ეს ძეგლი ჩვენმა ექსპედიციამ 2011 წელს აღმოაჩინა. უფრო სწორად, დაადასტურა ძეგლის სახელის მთის არსებობა და მასზე წმინდა გიორგის ეკლესიის ნაშთები აღმოაჩინა“, — ამბობს ექსპედიციის მენეჯერი მალხაზ ჩოხარაძე. მიკვლეული ტაძრის ნაშთები VIII-IX საუკუნეებისაა, შესაძლოა, უფრო ადრეულიც. ამ დროისთვის ეკლესიის კედლები ჩამოშლილია.

„დღეს ძეგლი არის ქცეული ზიარეთად, ანუ სამლოცველოდ, სადაც ტრადიციის თანახმად მიდიან, იძინებენ და თითქოს სიზმარში ნახულობენ ჯანმრთელობის მდგომარეობას და მომავალ ბედს. ანუ იგულისხმება, რომ აქ არსებობს წმინდანის საფლავი, და ამ წმინდანის საფლავზე ადამიანები სალოცავად მიდიან“, — ამბობს ექსპედიციის ხელმძღვანელი მამია ფაღავა.

როგორც ექსპედიციის წევრები აღნიშნავენ, ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას ამ ტაძრამდე ნიკო მარიც კი არ მისულა.

**ნინო ჯაფარიძე**

*ტაძრის ნაშთები VIII-IX საუკუნეებისაა, შესაძლოა, უფრო ადრეულიც*

# დაკარგული სამყარო

## „ინდის ცივილიზაცია გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ეგვიპტისა და მესოპოტამიისა“

*ძველმა ინდურმა ცივილიზაციამ, რომელიც თანამედროვე ინდოეთის, პაკისტანის, ნეპალისა და ბანგლადეშის ტერიტორიაზე დაახლოებით 4000 წლის წინ არსებობდა, როგორც ცნობილია, კოლაფსი განიცადა. ეს კი მეცნიერთა აზრით, კლიმატურმა ცვლილებებმა გამოიწვია.*
*ცივილიზაციამ განვითარებას მიაღწია დაახლოებით 5200 წლის წინ, ხოლო 3900-3000 წლის წინ დაეცა.*
*მიტოვებული ქალაქების მოსახლეობის დიდი ნაწილის მიგრაცია აღმოსავლეთით მოხდა.*

*მეფე-ღმერთი ქალაქ მოჰენჯო-დაროდან*

„ანტიკური ეპოქა იცნობს ეგვიპტესა და მესოპოტამიას, მაგრამ ინდის ცივილიზაცია, გაცილებით დიდი, ვიდრე ეს ორი, სრულიად დავიწყებული იყო 1920 წლამდე“, — ამბობს მასაჩუსეტსის ვუდს ჰოულის ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი ლივიუ ჯოსანი.

გეომონიტორინგისა და არქეოლოგიის ანალიზმა აჩვენა, რომ კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი, ინდის ცივილიზაციის დაღუპვის მიზეზი სწორედ კლიმატური ცვლილებები გახდა. გამოკვლევამ წერტილი დაუსვა ხანგრძლივ დავას, რამ გამოიწვია ამ განვითარებული ცივილიზაციის დაღუპვა.

ძველეგვიპტურსა და შუმერულთან შედარებით, ინდის ცივილიზაციას გაცილებით დიდი ფართობი ეკავა და მოსახლეობა დაახლოებით 5 მილიონ კაცს შეადგენდა. ცივილიზაციის ცენტრს კი ქალაქები მოჰენჯო-დარო და ჰარაპა წარმოადგენდნენ. ეს ქალაქები მხოლოდ გასული საუკუნის 20-იან წლებში გაითხარა.

„ჩვენ აღწერეთ ბარის ლანდშაფტის ცვლილებების დინამიკა, სადაც ჩამოყალიბდა, ყვაოდა და შემდეგ ჩაქრა ეს ცივილიზაცია. შედეგად მივიღეთ პასუხები კითხვებზე, რომლებიც ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს წლების განმავლობაში აწვალებდა“, — ამბობს ლივიუ ჯოსანი.

ჰარაპის ცივილიზაციის დასახლებული პუნქტების ნანგრევების დიდი უმრავლესობა მდინარიდან მოშორებულ, გამომშრალ და მზისგან გადამწვარ ტერიტორიებზე მდებარეობს.

*ქალაქ ჰარაპას კარიბჭე. რეკონსტრუქცია*

*უძველესი კამათელი და სვასტიკის გამოსახულებები ინდის ცივილიზაციისგან*

*ინდუსური დამწერლობის რამდენიმე ნიშანი*

ძველი ეგვიპტისა და შუამდინარეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, რომელთა სულიერი და მატერიალური მიღწევები გვიანდელმა, მათ შორის დასავლეთევროპულმა კულტურებმა გაითავისეს, ძველინდურ ცივილიზაციას ნაკლებად გაუმართლა. მისი არსებობის შესახებ მსოფლიომ ძალიან გვიან, XX საუკუნის 20-იან წლებში შეიტყო. მას შემდეგ, რაც მოჰენჯო-დარო და ჰარაპა გაითხარა. თუმცა პირველად ვარაუდი, რომ არიელების მოსვლამდე დასავლეთ ინდოეთში ქალაქები ყვაოდა, ცნობილმა ბრიტანელმა ინდოლოგმა ალექსანდრ კანინგემმა XIX საუკუნეში გამოთქვა.

კვლევის შედეგები, რომელიც Proceedings of the National Academy of Sciences-ში გამოქვეყნდა, მსხვილი დისციპლინათშორისი პროექტის საფუძველი გახდა, რომელმაც გეოლოგები, გეომორფოლოგები, არქეოლოგები და მათემატიკოსები მოიცვა. პროექტში ჩაერთნენ მეცნიერები ინდოეთიდან, პაკისტანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, რუმინეთიდან და აშშ-დან. ისინი ამ დიდი სადრენაჟო-საირიგაციო ზონის ევოლუციას ხუთი წლის განმავლობაში, 2003-დან 2008 წლამდე იკვლევდნენ.

თანამგზავრული ფოტოებისა და ტოპოგრაფიული მონაცემების საშუალებით, რომელიც რადარებით შეგროვდა, ინდისა და მის მეზობელ მდინარეთა ლანდშაფტის ციფრული რუკები შედგა. ამან სპეციალისტებს საშუალება მისცა, ბოლო 10 ათასი წლის განმავლობაში მდინარე ინდის აუზის გეოლოგიური და აგრარული ევოლუციის სურათი აღედგინათ.

„ინფორმაციის შეჯერებით გამოვარკვიეთ, რომ ჰარაპის კულტურის გვიანდელ პერიოდში, სისტემატურად ხდებოდა ძველი აგრარული მოსახლეობის მიგრაცია აღმოსავლეთით, იყოფოდა უფრო წვრილ კომუნებად, ხოლო ჰარაპის ცივილიზაციის მსხვილი ცენტრები დეგრადირდებოდა“, — ამბობს კვლევის ერთ-ერთი თანაავტორი, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის არქეოლოგი დორინა ფულერი.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ინდის ცივილიზაციის კოლაფსის მიზეზი ჰიმალაის მთების მყინვარებით კვებულ მდინარეებში წყლის შემცირება და მუსონები გახდა. ამან მდინარეთა დინება შეცვალა. მდინარეებზე კი ტერიტორიათა მთელი აგრარული სისტემა იყო დამოკიდებული. მეურნეობის წარმოება სულ უფრო სარისკო ხდებოდა. მოსახლეობის მიგრაცია მუსონების კვალდაკვალ მუდმივად გრძელდებოდა და საბოლოოდ წვრილ კომუნებად დაქუცმაცდა...

***მომზადებულია***
***LiveScience-ის მასალების მიხედვით***

*ნაქალაქიის ფრაგმენტი კედლის წყობით*

# ვარძიის მსგავსი ქალაქი ტაო-კლარჯეთში

***ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფმა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე კლდეში ნაკვეთ სამონასტრო კომპლექსს მიაკვლია. ვარძიის ტიპის ნაქალაქარი ერუშეთში, მდინარე ერუშეთის წყლის პირას მდებარეობს. მას ნაქალაქიის (ნაქალაქარის) სახელით იცნობენ. კლდეში ნაკვეთი კომპლექსი შვიდსართულიანია. ქვაბების ნაწილი საკმაოდ კარგად არის შემონახული. ასევე შემორჩენილია მთავარი ტაძრისა და მისი საკურთხევლის ნაშთები.***

გამოქვაბულების, დარბაზებისა და მათთან დამაკავშირებელი გვირაბების ნაწილი საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი. წინასწარი მონაცემებით სამონასტრო კომპლექსი VIII-X საუკუნეებს განეკუთვნება, თუმცა ეს საკითხი ჯერ გულდასმით შესწავლას საჭიროებს.

ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი, ნინო ბაგრატიონი „ისტორიანთან“ საუბრისას ამბობს, რომ ტაო-კლარჯეთში მაისში გაემგზავრნენ. ექსპედიციას რუსთაველის ფონდი აფინანსებს, პროექტის მიზანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების საინფორმაციო ბაზის შექმნა.

პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მკვლევრები პარმენ მარგველაშვილი, ნინო და გიორგი ბაგრატიონები, გია შერვაშიძე, მარიამ მარგველაშვილი და მძღოლი გიორგი ნოზაძე.

**ნინო ბაგრატიონი**: „პროექტის მონაწილეებს ჯერ სულ ორი გასვლა გვქონდა. პირველი ლორეში, მეორე — თურქეთში. კლდეში ნაკვეთ სამონასტრო კომპლექსსა და ნაქალაქარს თურქეთში გამგზავრებიდან პირველივე დღეს, 13 მაისს მივაკვლიეთ. უზარმაზარი კომპლექსია, 150-200 მეტრია სიგრძით და შვიდსართულიანია, რაც ადგილობრივებმაც დაგვიდასტურეს.

ის ჯერ შეუსწავლელია. უნდა გითხრათ, რომ გამგზავრებამდე, ინტერნეტრუკებით ამ ტერიტორიაზე რამდენიმე გამოქვაბული შევნიშნეთ და გვქონდა ეჭვი, რომ იქ შეიძლება

*ნაქალაქოის მთავარი ტაძრის საკურთხეველი*

რამე ყოფილიყო. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და ნაქალაქარი ორტაკენტიდან, ანუ ნაქალაქევიდან სულ რაღაც ხუთ კილომეტრში მდებარეობს. ორტაკენტში ადრეც ვყოფილვართ, სახელწოდებიდან გამომდინარეც გვქონდა ეჭვი, რომ აქ შეიძლება რაიმე მნიშვნელოვანი ძეგლი ყოფილიყო.

ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს „აღწერაი სამეფოსა საქართველოისაში“, რომ ერუშეთის წყლის პირას არის ნაქალაქევი. თუმცა წინა ექსპედიციებისას მისი აღმოჩენა ვერ მოხერხდა. წინასწარი მონაცემებით, კომპლექსი VIII-X საუკუნეებისაა. ქვაბებთან ერთად შემორჩენილია დიდი ეკლესია, სადაც ფრესკების ფრაგმენტებიც შეიძლება იყოს შემონახული. ყოველ შემთხვევაში, კედლის შელესილობა მოწმობს, რომ ის მოხატული უნდა ყოფილიყო. თუმცა კედლები შემჭვარტლული და ამოჩხაპნილია.

ექსპედიციის მიერ მიკვლეული ძეგლი, რომელიც ნაქალაქარისა და სამონასტრო კომპლექსისგან შედგება, აშკარად ქართულია. ტერიტორია, სადაც ნაქალაქარი მდებარეობს, იმ პერიოდში, როდესაც კომპლექსი გამოიკვეთა, ქართული სახელმწიფოს ნაწილი იყო.

ამას გარდა, ის ფაქტობრივად მტკვრის კანიონის — ვანის ქვაბების, ვაშლობისა და ვარძიის გაგრძელებას წარმოადგენს. ერუშეთის წყალი მტკვარს ახალმიკვლეული კომპლექსიდან დაახლოებით ხუთ კილომეტრში უერთდება. ნინო ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ ნაქალაქარის წყობა წააგავს ვარძიისას, თუმცა წინასწარი ვარაუდით, გაცილებით ძველია, ვიდრე ვარძია.

ამ თემაზე კამათი ისტორიკოსთა წრეებში უკვე დაიწყო. ნაწილი მიიჩნევს, რომ კომპლექსი გაცილებით ადრინდელ ფენებსაც შეიცავს და შესაძლოა ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ფარნავაზ მეფემ სძლია აზონს.

**ნინო ჯაფარიძე**

*საქართველო-თურქეთის საზღვარი კარტახის ტბის მიდამოებში*

# სახელოვანი მამების შვილები

*ცნობილ ისტორიულ მოღვაწეთა შვილებს ძნელი ხვედრი არგუნა განგებამ. მშობლის ჩრდილიდან გამოსვლა ბევრმა სცადა, მაგრამ უმეტესობამ ეს ვერ მოახერხა და ბოლომდე „ვიღაცის შვილად“ დარჩა. ისტორიული თემატიკის ინტერნატსაიტმა* ***listverse.com****-მა რამდენიმე ისტორიული პირის შვილი გამოარჩია, რომლებმაც მეტ-ნაკლებად შეძლეს მამების დიდების შარავანდედიდან გამოღწევა.*

**რანდოლფ ჩერჩილი** (1911-1968). სერ უინსტონ ჩერჩილის ერთადერთი ვაჟი ვერაფრით ეგუებოდა სახელგანთქმული მამის პოლიტიკურ მემკვიდრეობას. პატარა რანდოლფს ანებივრებდნენ და საკმაოდ თავნება და ჯიუტი ყმაწვილი გახლდათ. სიმპათიური იყო და ქალებიც სწყალობდნენ, თუმცა საბოლოოდ ორივე ქორწინება დაენგრა. პოლიტიკურად ამბიციურმა რანდოლფმა გამოაცხადა, რომ პრემიერმინისტრობას მიაღწევდა. ეს მანამდე მოხდა, სანამ უფროსი ჩერჩილი პრემიერი გახდებოდა. ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ რანდოლფი პარლამენტში შევიდა, თუმცა, რაკი მამამისის ომისდროინდელ კაბინეტში ვერ მოხვდა, პოლიტიკაზე გული აუცრუვდა და სამხედრო სამსახურში გადაინაცვლა. უმცროსი ჩერჩილი მამაცურად იბრძოდა ლიბიასა და იუგოსლავიაში. ომის შემდეგ, 1945 წელს საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორთა განადგურების შემდეგ, რანდოლფმა დეპუტატის ადგილი დაკარგა. შემდეგ პოლიტიკასაც კვლავ მიანება თავი და ალკოჰოლთან დამეგობრების მიუხედავად, ცნობილი ავტორი და ჟურნალისტი გახდა. 1965 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ მისი ბიოგრაფიის დაწერა მიანდეს, რასაც დიდი პასუხისმგებლობით მიუდგა, თუმცა ჯანმრთელობის გაუარესების გამო მხოლოდ ორი ტომის დაწერა მოახერხა და სამ წელიწადში მარტოობაში გარდაიცვალა.

**ჰანს ალბერტ აინშტაინი** (1904-1973) საკმაოდ ცნობილი მეცნიერი და ინჟინერი გახდა. როცა ის დაიბადა, მამამისი ჯერ კიდევ კლერკად მსახურობდა შვეიცარიის საპატენტო უწყებაში. ჰანსმა ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა ციურიხში, 1936 წელს მეცნიერებათა დოქტორი გახდა, ხოლო 1938 წელს აშშ-ში გადავიდა. მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბერკლის უნივერსიტეტში. ჰანს ალბერტი ჰიდროტექნიკის დარგში მსოფლიოში აღიარებული ექსპერტი გახდა. ერთხელ უფროსმა აინშტაინმა თქვა, რომ შვილის წარმატება მის მიერვე არჩეულ დარგში მისთვის ცხოვრებაში ერთ-ერთი საამაყო ამბავი იყო. ჰანს ალბერტ აინშტაინის გარდაცვალების შემდეგ ამერიკის მშენებელ ინჟინერთა საზოგადოებამ მისი სახელობის ჯილდოც დააწესა.

talizi

თმის გადანერგვის ცენტრი

ტაშკენტის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

*თამარ მეფის სავარაუდო ფრესკა მისსავე სახელობის ეგვტერში. გელათი*

# თამარის საფლავის საიდუმლოება

**ნაწილი II**

*(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №18)*

***1920 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება მიიღო. მან მთავრობისგან გელათის ტაძარში გათხრების ნებართვა გამოითხოვა. იმავდროულად, ქუთაისში შეხვდა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარის და მისგან კურთხევა მიიღო. ეს იყო პირველი და ერთადერთი მცდელობა, მოეძებნათ თამარ მეფის გასაიდუმლოებული აკლდამა. საერთოდ, წმიდა ექვთიმემ რამდენჯერმე მოინახულა გელათის მონასტერი. მეცნიერის არქივში ამის ამსახველი არაერთი ჩანაწერი არსებობს. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ჩანაწერებისა დღემდე გამოუქვეყნებელია***

ექვთიმე თაყაიშვილის არქივში გელათისადმი მიძღვნილ მასალათა შორის თვალში საცემია მისი შავი ჩანაწერი „გელათი, 1920 წლის 26 ივლისი. თამარის ეგვტერი“. შემდგომ გვერდზე ავტორს მიუწერია: „გელათი. 1920 წელი. იმერეთის დედოფლის თამარის ეგვტერი. ეს საფლავი შემოწმებული 1920 წელს“. ამას მოჰყვება გაკრული ხელით ქართულად და რუსულად წარმოებული რამდენიმეგვერდიანი ჩანაწერი, რომელშიც აღწერილია მეცნიერის მიერ გელათში წარმართული გათხრების დეტალები.

გელათში მასშტაბური გათხრების ჩატარების იდეა 1920 წლამდე დიმიტრი ბაქრაძესაც ჰქონია. ს. ღოღობერიძე, რომელმაც ფრანგულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიას“, სქოლიოში აღნიშნავს: „სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი საფლავი დიდის მეფის თამარისა. განსვენებული დ. ბაქრაძე იმ აზრის იყო, რომ თამარი გელათში უნდა ესვენოს, და კიდეც გამოითხოვა ნებართვა იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისაგან იმის სამარხის საძიებლად და იატაკის აღებას აპირებდა გელათში. მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა და ვეღარ მოასწრო თავის სურვილის აღსრულება“. ამის შემდეგ ეს იდეა თითქოს მიივიწყეს. 1920 წელს კი ექვთიმე თაყაიშვილმა, იმერეთის სამღვდელოებასთან შეთანხმებით, გელათში, თამარის ეგვტერში ერთი საფლავი გახსნა.

ექვთიმესეულ ჩანაწერებში აღნიშნულია: „სასაფლაო, თამარისად წოდებული, დასავლეთ ჩრდილოეთის კუთხესთან არის, ეგუტე-

რისა და აქ დასავლეთის კედელს განჯინა აქვს განიერი. მეორე სასაფლაო არის სამხრეთ აღმოსავლეთის მხრით კედლის ძირში კანკელის მახლობლად.

კანკელი ეგუტერისა ხისაა, უბრალო; ეგუტერს შემოსავალი აქვს სამხრეთის კარის ბჭიდან. სარკმელი აქვს აღმოსავლეთით და საკურთხეველში და სამხრეთის კედელში.

სამხრეთის კარიბჭე უწინ მოხატული ყოფილა. დღეს კი ფრესკათა ფრაგმენტებიღაა გადარჩენილი. მის მარჯვნივ თამარის ეგვტერია, მარცხნივ კი წმინდა მარინესი. თამარის ეგვტერის ოთხკუთხედი ნაწილის ფართობი 17,6 კვმ-ია. აღმოსავლეთით აქვს მას ნახევრად მომრგვალებული საკურთხეველი (მისი განია 3,8 მ, ხოლო სიღრმე ცენტრიდან — 2 მ). აქვს სამი სარკმელი: ერთი აღმოსავლეთის ნახევრად მომრგვალებულ კედელშია გამოჭრილი, ორიც სამხრეთის კედელში. მათგან შემოსული სინათლე მთელს ეგვტერს ანათებს და მზიან ამინდში ყველა ფრესკა კარგად მოჩანს. ახლა იქ აღარც კანკელია და აღარც სამლოცველო. ინვენტარიც იქიდან გატანილია“.

როგორც ამ ჩანაწერიდან ჩანს, „კომისიას“ გაუხსნია ერთი საფლავი, ფრესკის ძირში მდებარე. ეს დასტურდება ექვთიმე თაყაიშვილის გათხრებისას წარმოებულ შავი ჩანაწერების საფუძველზეც. მასში ვკითხულობთ: „ქვის ზომა თამარის საფლავისა: სიგრძე 1 მეტრი და 86 სანტიმეტრი. კედლიდან მეორე საფლავის ქვის ზომა: სიგრძე 1 მეტრი (და) 90 სანტიმეტრი, განი 96 სანტიმეტრი.



*ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერების თავფურცელი, მისივე ხელით გაკეთებული შენიშვნებით*

*ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერები საფლავის გახსნის შესახებ*



*გელათის ტაძრის სამხრეთ მინაშენი, თამარ მეფის სახელობის ეგვტერი*

გავხსენით საფლავი!

კედლები საფლავისა ამოშენებულია გათლილის ქვებით...“ ამას მოსდევს ამოსვენებული ძვლების დეტალური აღწერა. მეორე საფლავის გახსნაზე ექვთიმეს ჩანაწერებში არაფერია ნათქვამი.

ამდენად, ექვთიმემ თამარის ეგვტერში ნახა ერთი აკლდამა, რომელშიც ოთხი მიცვალებული აღმოჩნდა. ამის შემდეგ მან მუშაობა შეწყვიტა. ექვთიმეს არ გაუთხრია თამარის ეგვტერში მოთავსებული სხვა საფლავები. რამდენად მართალია ის ვერსია, რომ თითქოს სამღვდელოებამ მას ცილი დასწამა, გელათის საფლავებში ოქროს ეძებსო, ამის გადამოწმება დღეს ძნელია. ჩვენ კი გელათში თამარის აკლდამის შესწავლისას გვიამბეს, რომ მუშაობისას, შესვენების ჟამს იქ მყოფთ წაუკითხავთ გელათის ჩრდილოეთ მინაშენის კარიბჭეში დაკრძალული ზაქარია ქვარიანის საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა: „ქ. ღმერთო შეიწყალე კათალიკოზი ზაქარია. ესე საფლავი ჩემი არის და ვინცა ეს ჩემს უკან გახსნას, შეჩვენებულ იყოს...“ ამ წყევლა-კრულვისა მუშებს შეშინებიათ და თამარის ეგვტერში გათხრები შეუწყვეტიათ. სამწუხაროდ, ამ გადმოცემის სისწორეც ვერ გადავამოწმეთ. ფაქტი ერთია, დიდი საშზადისის მიუხედავად, დღემდე დაუდგენელ რაღაც მიზეზთა გამო, ექვთიმე თაყაიშვილმა გელათში გათხრები შეწყვიტა. თამარის საფლავის საიდუმლო კვლავ ამოუხსნელი დარჩა.

თამარის საფლავის ძიება მკვლევარს ორ კარდინალურად განსხვავებულ მოსაზრებამდე მიიყვანს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ორივეს არსებობის უფლება აქვს. ქართველთა თაობები საუკუნეებია ეძებენ სათაყვანებელი მეფექალის საფლავს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ კონკრეტული ნაბიჯი მხოლოდ ერთხელ გადაიდგა — ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. მანაც, სამწუხაროდ, საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ვიდრე თამარის საფლავის გასაიდუმლოების ვერსიას მივიღებთ, ბუნებრივია, ჯერ თავად საფლავის მოძიების საქმეში კონკრეტული ნაბიჯი უნდა გადავდგათ. ამისთვის კი საჭიროა არქეოლოგიური გათხრების წარმოება გელათში.

ჩვენ წინაშე ორი ვარაუდია. ერთის მიხედვით, თამარი დასაფლავებულია გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში ან თავისივე სახელობის ეგვტერში, ან არადა, წმინდანად შერაცხვის შემდეგ, მისი ნაწილები საკურთხეველში გადააბრძანეს.

მეორე აზრით კი, თამარი მართლაც იყო დასაფლავებული ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ მინაშენში, მაგრამ მტრის შემოსევის შიშით, იქიდან ფარულად გადაუსვენებიათ.

თამარის საფლავის ძიებისას არსებულ მა-

სალას გელათის მონასტრამდე მივყავართ. ასე რომ, ამჟამად ერთი რამ ცალსახად შეიძლება ითქვას: თამარი გელათშია დასაფლავებული და მისი აკლდამაც აქ არის საძიებელი.

## ჰიპოთეზა პირველი

თამარის გელათში დასაფლავების ფაქტს დიდი ტრადიცია აქვს. ყველა საისტორიო წყარო, თამარის თანამედროვე თუ შედარებით გვიანდელი, ხაზგასმით უთითებს, რომ სახელოვანი ქართველი მონარქის აკლდამა გელათის მონასტერშია, თავისი დიდი წინაპრების გვერდით. ამასთანავე, გვიანდელ წყაროებში არსად არის აღნიშნული გელათიდან თამარის გადასვენება. საკითხავია, ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა ერთიანად როგორ ამოიშალა ქართველთა ისტორიული მეხსიერებიდან?

კონკრეტულად სად შეიძლება თამარის საფლავის ძიება გელათში?

ასეთად დაახლოებით სამი ადგილი შეიძლება გამოვყოთ:

1. ტაძრის სამხრეთ მინაშენში ე.წ. თამარის ეგვტერი. 2. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხეველი და 3. ამბიონის წინ.

**ტაძრის სამხრეთი მინაშენი, ე. წ. თამარის ეგვტერი**

გელათში თამარის ტაძრის სამხრეთ მინაშენში, ე.წ. თამარის ეგვტერში დასაფლავების ტრადიცია იმდენად მტკიცეა, რომ მისი უგულებელყოფა შეუძლებელია. თამარის ცხედარს, მცხეთიდან გადმოსვენების შემდეგ, საუკუნო განსასვენებელს ამ ეგვტერში მიუჩენდნენ. ამჟამად ეგვტერში ორი საფლავია. სამწუხაროდ, ორივეზე წარწერები გადაშლილია. არსებობს ვარაუდი, რომ ეგვტერში მესამე საფლავიც არსებობდა. მისი კვალი დღეისთვის არ იძებნება. მართალია, ექვთიმე თაყაიშვილმა ეგვტერში გათხრები წარმართა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მან მხოლოდ ერთი საფლავი გათხარა. მეორე საფლავისთვის ხელი არ უხლია. ეს იყო და ეს. კომპლექსური არქეოლოგიური გათხრები მას თამარის ეგვტერში არ უწარმოებია, ამის არც სახსრები და არც სხვა საშუალება იმხანად არ არსებობდა. ამ მიმართულებით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. საჭიროა ეგვტერის გულდასმითი შესწავლა, არა მარტო საფლავების ნახვა, არამედ ეგვტერის საკურთხევლის, მისი ტრაპეზის ადგილის დათვალიერება. ჩვენ ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია ეგვტერში არსებულ მეორე საფლავში თამარის წმინდა ნაწილების არსებობა. ეს აკლდამა დავით ნარინისა და მისი ოჯახისა უნდა იყოს.

XVIII საკუნის 30-იან წლებში თამარის საფლავად მიჩნეული აკლდამა უკვე ცარიელი იყო. სავარაუდოდ, თამარ მეფე მანამდე უნდა გადაესვენებინათ.

**გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხეველი**

თუ თამარის საფლავი მისივე სახელობის ეგვტერში არ არის, მაშინ იბადება კითხვა, სად უნდა ვეძიოთ სახელოვანი მეფექალის აკლდამა? მოსაზრება, რომ წმინდანად შერაცხვის შემდეგ თამარი უნდა გადაესვენებინათ, დიდი ხანია გავრცელებულია ქართველ მეცნიერთა შორის. მართალია, მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, მაგრამ, ვფიქრობთ, დღეისთვის თამარის საფლავის ძიებისას ეს არის ერთადერთი ლოგიკური ვარაუდი. წმინდა ნაწილების სა-

*„თამარ მეფე“. ქეთევან მაღალაშვილი*

*დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა, რომლის გახსნისას მეფის წმინდა ნაწილები არ აღმოჩნდა*

კურთხეველში გადაბრძანების ტრადიცია უცხო არ ყოფილა საქართველოში. ჩვენც ამ მოსაზრებას უფრო ვემხრობით. საკურთხეველშივე უნდა იყოს გადასვენებული დავით აღმაშენებლის ნეშტიც. XX საუკუნის დასაწყისში, გადაუმოწმებელი ინფორმაციით, დავითის აკლდამაც გაიხსნა, თუმცა იგი ცარიელი აღმოჩნდა. დავით IV აღმაშენებლის წმინდა ნაწილებიც გელათის მთავარი ტაძრის საკურთხეველშია საძიებელი.

მკვლევარი ა. მურავიოვი თავის გელათში მოგზაურობის აღწერისას ამ საკითხსაც შეეხო. იგი დავით IV-ის ტაძრის საკურთხეველში, საიდუმლო ადგილას გადასვენების დროსაც კი აკონკრეტებს: ეს სოლომონ I-ის მეფობისას განხორციელდა, „რათა გადაერჩინა ისინი ლეკების თავდასხმისაგან“.

გადასვენების ფაქტს ადასტურებს მიხეილ საბინინიც: „რაოდენსამე დროსა, ოდეს წმინდა ეკლესიამ შერაცხა დავით მეფე წმინდანთა შორის, დიდის მოწიწებით იქმნა აღმოსვენებულ წმინდა ნაწილნი მისნი და დაკრძალულ გაენათის საკრებულო ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ“. ეკლესიას შესაძლებელია იგივე გაეკეთებინა თამარ მეფის წმინდანად შერაცხვის შემთხვევაშიც (ჩვენ სხვა ვარაუდსაც ვუშვებთ, თუ როდის შეიძლება მომხდარიყო თამარის საკურთხეველში გადასვენება. ამაზე ქვემოთ).

**გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის დარბაზი**

ქართველ მეფეთა აკლდამები ძირითადად ტაძრის დარბაზშია საძიებელი, ამბიონის წინ. გელათთან ერთად, საქართველოს მეფეთა საძვალედ მიიჩნეოდა სვეტიცხოველიც. ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II, გიორგი XII და სხვა მონარქები სწორედ ამბიონის წინ არიან დასაფლავებული. შეიძლება აქ თამარის საფლავი ნაკლებსავარაუდოა, მაგრამ დაახლოებით ოცდასამი ქართველი მეფიდან უმეტესობის საფლავები ტაძრის მთავარ დარბაზშია საძიებელი. ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ აქვე იყო დაკრძალული, ან არადა გადმოსვენებული თამარიც (რაც ნაკლებ სარწმუნოა).

**ჰიპოთეზა მეორე**

ყველა ხალხურ გადმოცემაში თამარის საფლავი საგულდაგულოდაა დამალული. ბუნებრივია, თამარის ნეშტის საიდუმლოდ დასაფლავების ამბავსაც აქვს არსებობის უფლება. მსოფლიო ისტორიაში ცნობილია მონარქთა საიდუმლოდ დასაფლავების არაერთი ლეგენდა. ჰუნების მრისხანე მბრძანებელი ატილა საკუთარი ქორწილის ღამეს გარდაიცვალა. მისი ცხედარი საგანგებო კარავში დასვენეს და რამდენიმე დღეს გლოვობდენ, შემდეგ კი ღამით ჩაასვენეს სამ კუბოში (ოქროს კუბო ჩადეს ვერცხლისაში, ის კი უბრალო ლითონისაში ჩაასვენეს) და ფარულად დამარხეს. ამ პროცესიის მონაწილე მსახურები ყველა დახოცეს, რათა ატილას საფლავი აღარავის მოეძებნა. მეორე დიდი დამპყრობლის, ჩინგიზხანის საფლავიც საგანგებოდ გადამალეს. სიკვდილის შემდეგ მონღოლთა იმპერიის დამაარსებელი მისსავე არჩეულ ადგილას წაასვენეს. ლეგენდის მიხედვით, გზაში ვინც კი ხვდებოდათ, ყველას კლავდნენ. დღეისთვის მონ-

ღოლები ჩინგიზ-ხანის დასაფლავების მხოლოდ სავარაუდო ადგილს მიუთითებენ.

თამარის საფლავის გადამალვის მსგავსი ლეგენდაა დაცული სერბულ ეპოსშიც. XIV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა ცნობილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე მარკო კრალევიჩი. იგი საკმაოდ პოპულარული იყო სერბეთში, იბრძოდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, თურქთა ბატონობის წინააღმდეგ. გარდაცვალების შემდეგ კი მის საფლავს ნიშანი არ გაუკეთეს, მტერს რომ არ ეპოვა. ასეთივე მოტივი დამახასიათებელია როგორც ევროპის, ასევე აზიის ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში.

ბუნებრივია, მკითხველი იკითხავს — მართალია, თამარის საიდუმლოდ დასაფლავება ლეგენდაა, მაგრამ ეს ლეგენდა შემთხვევით ხომ არ დაიბადებოდა? ნუთუ მას არავითარი საფუძველი არ გააჩნდა?

როგორც უკვე ითქვა, შეუძლებელია, ეს გადმოცემები თამარის გარდაცვალების პერიოდში გაჩენილიყო. იმხანად საქართველო იმდენად ძლიერი იყო პოლიტიკურად, რომ ქვეყანაში არავის არ უნდა ჰქონოდა სათაყვანებელი მეფის საფლავის შეურაცხყოფის შიში. სხვათა შორის, ვერც ხვარაზმელებმა და ვერც მონღოლებმა ვერ მოახერხეს დასავლეთ საქართველოში გადასვლა და გელათის აოხრება. თამარის გარდაცვალებიდან დაახლოებით სამი საუკუნე გელათს მტრის თავდასხმა და აოხრება არ უნახავს. როგორც ზემოთ დავინახეთ, თამარის თანამედროვე ისტორიკოსები კი არ ასაიდუმლოებენ მეფის დასაფლავების ადგილს, არამედ ხაზგასმით მიუთითებენ, რომ მეფექალი გელათშია დაკრძალულიო. ამ თემაზე შექმნილ ლეგენდებში თვალში საცემია ისიც, რომ უცხო დამპყრობელი თამარის საფლავის შეურაცხყოფას ლამობს და სწორედ ამიტომაც, მას ბერები თუ მესაფლავეები საგულდაგულოდ მალავენ. ამასთანავე, თქმულებებისა და ლეგენდების სიუჟეტში თამარის მოწინააღმდეგედ გამოყვანილია ის პირები, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ცხოვრობდნენ: შაჰ-აბასი, სტამბოლის ხონთქარი, ოსმალეთის დიდი ფაშა და სხვები. ქართველ მეცნიერთა სავსებით სამართლიანი მინიშნებით, ამ გადმოცემებში გვიანდელი მოტივები იკითხება.

ყოველივე ეს გასაგებია, მაგრამ ხომ შეიძლება, სადღაც მაინც იმალებოდეს სიმართლის მარცვალი. ჩვენი ვალია, ყველა არსებულ კითხვას გავცეთ პასუხი, მით უმეტეს, რომ თამარის საიდუმლოდ დასაფლავების ლეგენდა ხალხში ყველაზე პოპულარულია. შეიძლება თუ არა რამე ახსნა მოვუძებნოთ ამ გადმოცემებს? მკითხველს გაუკვირდება კიდეც, თუ შეიტყობს, რომ ამ კითხვაზე შეიძლება დადებითი პასუხი მიიღოს. ერთია, ჩვენ ვეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას და მეორე, აქვს თუ არა მას არსებობის უფლება. მსჯავრი მკითხველს უნდა მივანდოთ.

1509 წლისთვის „ქუთათისს თათარნი მოვიდნენ“. მათ მოარბიეს ქალაქი და გეზი გელათისკენ აიღეს. მემატიანეს თქმით, „დაწვეს დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ“. თურქებმა ისე გაანადგურეს მონასტერი, რომ მოგვიანებით იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა კვლავ აღედ-

*გელათის მონასტრის საკურთხეველი. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო. მარცხნივ დასვენებულია ხახულის კარედი, გაძარცვამდე*

გინა მტრისგან შემუსვრილი გელათი. ქართული წყაროები ბაგრატს ამის გამო გელათის „მეორედ მაშენებელს“ უწოდებენ. მისი ოჯახის ფრესკა კი დავით აღმაშენებლის გვერდით არის გამოსახული. ვისაც გელათი და მისი მიდამოები დაუთვალიერებია, ადვილად შეამჩნევს, რა ლამაზად მოჩანს იქიდან ქუთაისი, უქიმერიონის მთა, მასზე აღმართული ბაგრატის ტაძარი და სამეფო სასახლე. უმშვენიერესი სანახავია ეს პეიზაჟი, განსაკუთრებით მწუხრისას, როდესაც წამიერად იცვლება ფერთა გამა. ისტორიკოსები ყოველთვის ცდილობენ, წარმოსახვით აღადგინონ გარდასული მოვლენები, იქონიონ დიალოგი წარსულთან, გააცოცხლონ გმირები და მათი რეალური გარემო. ხშირად ეს ხერხდება, ზოგჯერ კი ასეთი მცდელობები წარუმატებელია. ამჯერადაც შეეცდებით, წარმოსახვით გავაცოცხლოთ ის ავბედითი დღეები, როდესაც ქუთაისს თურქ-ოსმალთა ლაშქარი შემოეწყო.

გელათის მონასტრის ბერები, ფაქტობრივად, შორიდან უყურებდნენ ამ ტრაგედიას. აქა-იქ ქალაქის თავზე კვამლი ავარდა. შემდეგ სამეფო სასახლეში იფეთქა ხანძარმა. იწვოდა საუკუნეების განმავლობაში მტრისგან შეუვალი ქუთაისი. გელათიდან ყოველივე ეს ხელის გულზე ჩანდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ, მტერი მონასტერსაც მოადგებოდა. გელათში ერთბაშად ყველაფერი აირია. ბერები ხატებს, სიწმინდეებს მალავდნენ. ასეთ ვითარებაში რა ბედი შეიძლება სწვეოდა ორი წმინდა მეფის — დავით აღმაშენებლისა და თამარის წმინდა ნაწილებს? ვფიქრობთ, პასუხი ძნელი არ უნდა იყოს. ისინი, სხვა სიწმინდეებთან ერთად, უნდა გადაემალათ. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ბერები შორეულ მოგზაურობას არ დაიწყებდნენ. წმინდა მეფეთა ნაწილები საიდუმლოდ იქვე, მონასტრის მიდამოებში უნდა დაეფლათ. არ არის გამორიცხული, სწორედ ამან შეუწყო ხელი თამარის საიდუმლოდ დასაფლავების ვერსიის წარმოშობას. გავიხსენოთ ამ ციკლის ერთ-ერთი გადმოცემა: „თამარი და დავითი გელათს ასაფლავიან... თამარი რომ მომკვდარა, ოსმალების შიში ჰქონია ხალხს და მისი დასაფლავება ერთ წმინდა ბერს მიანდვეს. რომ დაუსაფლავებია თამარი, თავი მოუკლავს ამ ბერს. რომ მოვბრუნდები შინ, მაინც მათქმევინებენ ამასო და ისევ საკუთარი ხელით თავი მოვიკლა, ჯობია დროზეო...“

რაც ითქვა, არც სადმეა აღწერილი და არც საიდუმლო წიგნებიდანაა ამოკითხული. ეს მცდელობაა ლეგენდის გაცოცხლებისა, მაგრამ წერტილი აქ არ უნდა დაისვას. ამ ლეგენდასაც აქვს დასასრული. თურქ-ოსმალთა ქარიშხლის გადავლის შემდეგ, ბერებმა სათაყვანებელი ქართველ მეფეთა წმინდა ნაწილები კვლავ მონასტერში დააბრუნეს, მაგრამ მათი ძველ აკლდამებში ჩასვენება მაინც საშიში იყო და ისინი მთავარი ტაძრის საკურთხეველში დაკრძალეს საიდუმლოდ... ცხადია, ესეც წარმოსახვით გაცოცხლებული ლეგენდის გაგრძელებაა. ამდენად, რეალურ ისტორიულ ფაქტებს თუ აღდგენილ ლეგენდას მაინც მივყავართ იქითკენ, რომ თამარის წმინდა ნაწილები გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში უნდა ვეძიოთ.

**ჯაბა სამუშია**

# 2000 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ

***ებრაელმა არქეოლოგებმა იერუსალიმში გათხრებისას შემთხვევით გვირაბი აღმოაჩინეს, რომელიც სულ მცირე 2000 წლისაა და მოიხსენიება ცნობილი რომაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლავიუსის თხზულებაში „იუდეველთა ომები“. ადგილობრივები ამ გვირაბს, როგორც ჩანს, რომაელი ლეგიონერებისგან თავის დასახსნელად მიმართავდნენ. ებრაელი მკვლევარი ელი შუკრონი ამბობს, რომ გვირაბი იდეალურ მდგომარეობაშია.***

*ელი შუკრონი საკუთარი აღმოჩენით ამაყობს*

მასშტაბური ნაგებობა, არქეოლოგების აზრით, ქალაქის სადრენაჟე სისტემის მთავარი ნაწილი იყო იერუსალიმის დაცემის პერიოდში, ახ. წ. 70 წელს. გვირაბის სიმაღლე ზრდასრულ ადამიანს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევდა. უკვე გაითხარა ასმეტრიანი მონაკვეთი. გამოჩნდა რამდენიმე ზემოთ ასასვლელი და ასევე, ქუჩაში გასასვლელიც. ამ ქსელითვე ხდებოდა რეგულირება, რომ ძლიერი წვიმებისა და თოვლის დნობის დროს ქალაქის დატბორვა არ მომხდარიყო.

აღმოჩენას სენსაციური ხასიათი სწორედ ფლავიუსის „იუდეველთა ომებმა“ შესძინა, რომელიც წარმოადგენს თხრობას, როგორ დაეცა იერუსალიმი იმპერატორ ვესპასიანეს მმართველობისას ახ. წ. 70 წელს.

როცა რომაელებმა ქალაქის დამცველთა უკანასკნელი სიმაგრე, სოლომონის ტაძარი აიღეს, იერუსალიმის დამცველთა დარჩენილმა ნაწილმა ქალაქი საიდუმლო გასასვლელით დატოვა. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ მათ სწორედ იმ საიდუმლო გვირაბს მიაკვლიეს, რომელზეც ფლავიუსი წერდა.

საუკუნეების განმავლობაში გვირაბი მიწითა და ნაგვით იყო დაფარული. ჯერჯერობით სადრენაჟე კონსტრუქციის მხოლოდ ასმეტრიანი მონაკვეთი გაითხარა. მეცნიერთა აზრით, გვირაბის ერთი განშტოება ებრაელთა კვარტალის ქვეშ, მკვდარი ზღვისკენ მიემართება და მისი სიგრძე, სულ მცირე, ერთი კილომეტრია.

სივრცის შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა ძველი მონეტები, სხვადასხვა სამუშაო იარაღი და თიხის ჭურჭელი აღმოაჩინეს. ნაპოვნია ბრინჯაოს გასაღები, მონეტები, რომელზეც ამოტვიფრულია ამბოხებულთა ლოზუნგი „თავისუფლება სიონს“.

კვლევის დასრულება მხოლოდ ტაძრის მთაზე გათხრების ჩატარების შემდეგ არის შესაძლებელი, საითაც გვირაბი მიემართება და სადაც ადრე სოლომონის ტაძარი იდგა. თუმცა ეს მუსლიმთა წმინდა ადგილია და ებრაელ მეცნიერებს იქ მუშაობა აუკრძალეს. ამის მიუხედავად ელი შუკრონი აღმოჩენით ამაყობს.

„ჩვენ პირველი ვიყავით, ვინც ამ გვირაბში ბოლო 2000 წელია მოხვდა. უკანასკნელნი, ვინც ამ გვირაბით გაიარა, ჩვენი წინაპრები იყვნენ, რომლებიც რომაელებს გაურბოდნენ“, — აღნიშნავს მეცნიერი.

***მომზადებულია The Associated Press-ის მასალების მიხედვით***

*„იერუსალიმის ტაძრის დანგრევა რომაელთა მიერ“. ფრანცესკო ჰაიესი, 1867*

ნავტიკით თევზაობა მტკვარზე

# მეთევზეები და თევზის გამყიდველები

## ძველი თბილისის ისტორიიდან

*„ქართველს უთევზოდ „პურის ჭამა“ და დროის ტარება არაფრად მიაჩნდა“.*
ივანე ჯავახიშვილი

***საქართველოში და განსაკუთრებით, ქალაქის ყოფაში თევზზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო. სხვადასხვა დღესასწაულზე, ჭირსა თუ ლხინში თევზს სუფრაზე ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა.***

საქართველოს მდინარეებსა და ტბებში მრავლად მოიპოვებოდა სხვადასხვა ჯიშის თევზი, რამაც გარკვეულწილად განაპირობა კიდეც მრავალგვარი სათევზაო საშუალების არსებობა და მეურნეობის ამ დარგის ძველთაგანვე განვითარება.

ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს მდინარეების დახასიათებისას აღნიშნავდა: „წყალთა შინა არიან სხვადასხვა გვარნი თევზნი მრავლობით და გემრიელნი საჭმელად, რომელნიც არიან სახელდობრ: ორაგული, ზუთხი, ანტაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კა-

პოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილი თევზნი მრავალნი და სხუანიცა“.

ეთნოგრაფ ჯუანშერ სონღულაშვილს ჩანაწერებში აღნიშნული აქვს, რომ ხალხური დაკვირვებით მტკვრის ხეობაში გემრიელი თევზი ყოფილა. თევზს განსაკუთრებით კარგი გემო ეძლეოდა აგვისტოდან მარტამდე. კარგ გემოს კი თევზს აძლევს წყლის სიწმინდე, სიცივე და ქვის ლოკვა.

სხვადასხვა ჯიშის თევზს სხვადასხვა დროს და მრავალგვარი ხერხით იჭერდნენ. სათევზაოდ გამოიყენებოდა: კონი, ფაცერი, ოჩხი, კოკოჩა, გოდორი, ჩანგალი (ანკესი), ბადე, ნავტიკი (მოსახვევი ბადე), ტოტის გადაწყვეტა, მოწამვლა, დალეშქვა, ჩაჩულვა, დაკირვა, ხელაობა, ყინულში თევზის ჭერა და სხვ.

ქალაქში მეთევზეები ძირითადად ნავტიკით თევზაობდნენ. აქტიურად გამოიყენებოდა ნავტიკის ანუ სახვეტი ბადე. მოსახვეტი, ან როგორც მეორენაირად ეძახდნენ, საშრობი ბადე დაახლოებით 20 მეტრის სიგრძისა და 1 მეტრი სიმაღლისა იქსოვებოდა. ასეთი ბადე და ნავტიკი არა მარტო თბილისში, არამედ მტკვრის ხეობაში ყველგან გამოიყენებოდა. ნავტიკის ბადეს სასროლი ბადისგან განსხვავებით ორმაგად ქსოვდნენ მსხვილი ძაფით. ამ ბადეზე ტყვიასაც მსხვილს და დიდი რაოდენობით, დაახლოებით 200-300 ცალს ასხამდნენ. ბადის ზედა ნაწილს, წყალში რომ არ ჩაძირულიყო, მიბმული ჰქონდა ფირფიტებიც. საშრობი ბადე XX საუკუნეშიც არსებობდა და მთხრობელთა გადმოცემით, იგი მხოლოდ ზამთარში გამოიყენებოდა.

რაც შეეხება თვითონ ნავტიკს, სულხან-საბა მას ასე განმარტავს: „ნავტიკი მცირე ტივი გუდებკრული“ ან „გუდიანი ტივი მცირე“.

სწორედ ასეთი სახით არის შემორჩენილი ნავტიკები ძველი თბილისის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. იგი შეკრული იყო ფიცრებისგან ოთხკუთხად, რომლებზეც ამოკრული იყო ოთხი გაბერილი ტიკი, ორი სამფუთიანი, ორი ოთხფუთიანი. ოთხფუთიანი ტიკებისკენ აბამდნენ ბადის ერთ მხარეს, მეორე მხარე კი ნაპირზე ორ კაცს ეჭირა, ასე გაშლილ ბადეს ნაპირზე მდგომი მეთევზეები წყლის მიმართულებით, თავქვე მისდევდნენ. ბადე ნავტიკის მოძრაობის მიმართულებით ხვეტდა თევზს, რომელიც იმავდროულად ნავზე იყრებოდა.

არსებობდა მეორე სახის ბადეც, ე.წ. „დიდბადე“, რომელიც თბილისში ნაკლებად, მაგრამ მტკვრის ხეობაში, ბორჯომის მიდამოებში, აქტიურად გამოიყენებოდა.

მტკვრის ხეობაში, განსაკუთრებით თბილისის მიდამოებში გავრცელებული იყო ასევე ხორხილბადე. იგი გრძელ ხეზე იყო გაწყობილი. ხეზე მობმული ბადე მაგრდებოდა ჯვარედინ ტოტებზე, ნაქსოვი იყო ძაფისებურად და წვრილი თვლები ჰქონდა დატანებული, მეთევზეები მასზე ამაგრებენ პურისა და ხორცის პატარა ნაჭრებს. ასეთი ბადე ძირითადად გაზაფხულზე გამოიყენებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში თევზის ჭერას ფაცრის ჩადგმით ამჯობინებდნენ. სულხან-საბას განმარტებით, – ფაცერი თევზის მახეა, რომელიც მდინარეში ამოშენებულ კედელს წარმოადგენდა. იგი ყველა მხარეში იყო გავრცელებული. თევზის საჭერი საშუალება იყო ასევე ოჩხი. ესეც ფაცერის მსგავსად მდინარეში ჩადგმული ჩაშენებული ქვის კედელი იყო, რომელიც ზოგიერთ მონაკვეთში 2 მეტრსაც აღემატებოდა.

თბილისელი მეთევზეები ნემსკავით ანუ ან-

*ბადის ქსოვა*

*მეთევზეთა „ნავსაყუდელი“ მტკვარზე*



*ფაცრისა და ოჩხის გოდრები*

*სპილენძის ანკესები, სათევზაო მშვილდი, სათევზაო ბარჯები, თევზის ჩანგლები*

კესითაც თევზაობდნენ. ანკესით თევზაობა ადრე გაზაფხულზე იწყებოდა და შემოდგომამდე გრძელდებოდა. ნემსკავით მოთევზავე არ-ჩევდა ისეთ ადგილს, სადაც თევზი საჭმელად მივიდოდა. სწორედ იქ ჩაყრიდა ჩანგლებსა და ანკესებს. თევზს ჭიაყელებითა და წვრილად დაჭრილი ხორცით იტყუებდნენ.

ანკესით წვრილ თევზს (კალმახი, ჭანარი, მურწა და სხვ.) იჭერდნენ, ხოლო ჩანგლით — ლოქოსა და ორაგულს. ჩანგლებს მარგილებ-ზე ამაგრებდნენ და მდინარეში ისე ყრიდნენ. ასეთ ჩანგლებს საღამო ხანს ჩაყრიდნენ და მეორე დილით სინჯავდნენ.

## თევზით ვაჭრობა. ბაზარი

თევზის მოპოვებამ თბილისში თევზით ვაჭ-რობა განავითარა. ქალაქში თევზი არა მარ-ტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ მეზობელი ქვეყნებიდანაც შემოჰქონ-დათ. არსებობდა თევზის შემოტანასა და მო-პოვებაზე გადასახადები. 1784-1790 წლებში ქალაქის მოურავის სარგოში წერია: „რამ-დენი საპალნეც შემოვა, საპალნეზედ ნახევა-რი ორაგული მოურავისა არის“. მდინარე მტკვარზე თევზის ჭერის უფლების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVIII საუ-

კუნის გერმანელი მოგზაური იოჰან გიულ-დენშტედტიც. იგი აღნიშნავს, რომ „თბილისელი მეთევზეები, მტკვარში თევზის უფლებისთვის მეფეს ყოველწლიურად უხდიან ათას სამას ან ათას ოთხას მანეთს, ხოლო ნატურით დაჭერილი თევზის ერთ მესამედს“.

ახალდაჭერილ თევზს თბილისელი მეთევზეები ქუჩებსა და ბაზრებში ხელზე ყიდდნენ. მაგრამ არსებობდა უფრო მოწესრიგებული სისტემა და თევზით სავაჭრო სპეციალური ადგილებიც, სადაც მეთევზეები თევზს აბარებდნენ. მეთევზეები ძირითადად სწორედ ამ სავაჭრო ადგილების მეპატრონეთა დაკვეთით იჭერდნენ სხვადასხვა სახის თევზეულს თბილისში და მის მიდამოებში თუ საქართველოს სხვა კუთხეებში.

ძველი თბილისის თევზით მოვაჭრეები ბაყალთა ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი. იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილ სახელმწიფო მოწყობის რეფორმის პროექტში – სჯულდებაში, სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია, რომ „ბაყალი ამის ხელქვეშე იყოს და მისი ფასდადებით გაიყიდებოდეს: ერბო, ყველი, ბრინჯი, თევზი ძველი და ახალი, ხიზილალა და სხვანი, რაც მედუქნის რიგია, შესაბამიერის ფასითა“.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, ბაყლებსაც ქალაქში მოსაქმე სხვა ხელოსნებისა და ვაჭრების მსგავსად საკუთარი ამქარი ანუ გაერთიანება ჰქონდათ, რომელსაც სათავეში მეფის მიერ დამტკიცებული უსტაბაში ედგა.

ბაყალი ვაჭრობდა ხილით, ბოსტნეულით, ბრინჯით, ხორბლეულით, თევზეულით. ყველა ამ პროდუქტს ცალ-ცალკე დახლზე აწყობდნენ. ცალკე იყო თევზეული, რომელიც თაფხებსა და აკიდოებზე იყო გაწყობილი. ზოგჯერ თევზით ვაჭრობა ცალკეულ დუქანშიც წარმოებდა, ასეთ დუქანს „თევზის დუქანი“ ეწოდებოდა.

გარდა თბილისსა და მის მიდამოებში დაჭერილი თევზისა, თბილისის ბაზრებში წელიწადის სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოჰქონდათ ოჩხის, ფაცრის, კონის თევზი.

თბილისი და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქები ზამთარში ოჩხის თევზით მარაგდებოდა, რომელიც ცხენის საპალნით ხრამიდან, იორიდან, არაგვიდან, მტკვრიდან და სხვა მდინარეებიდან შემოჰქონდათ. ჯავახეთში ზამთარში გახსნილი ოჩხიდან ამოყვანილ

*დილით ადრე ბადით ხელში*
*სათევზაოდ მივალ მტკვარზე*
*ვენაცვალე ჩემს ძმაბიჭებს*
*არ ფიქრობენ მომავალზე...*
**ქალაქური**

*თბილისელი მეთევზე*

*„მეთევზე წითელ პერანგში“. ფიროსმანი, 1900-იანი წლები*

*გასაყიდად გამზადებული, დახარისხებული თევზი*

*„თევზების კვერცხებისაგან ამნაირად ამზადებენ ხიზილალას, კვერცხებს ცოტაოდენ მარილით დაჭყრიან ფართო ხის ჭურჭელში, რომელსაც გასდგამენ მზეში. დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჯოხით მოურევენ და როცა ოდნავ გამაგრდება, გადაჭყრიან სხვა ჭურჭელში და შეინახავენ“.*

**XVII საუკუნის მოგზაური არქანჯელო ლამბერტი ქართველების მიერ ხიზილალის დამზადების შესახებ**

თევზს იქვე, მდინარის პირას ხარშავდნენ და ისე მოჰქონდათ თბილისში.

გაზაფხულზე ფაცრისა და კონის თევზი შემოდიოდა, ხოლო ზაფხულსა და შემოდგომით ბადითა და ჩანგლით დაჭერილი თევზი.

ბაყლები თბილისის ბაზარზე შემოტანილ თევზს სხვადასხვანაირად ახარისხებდნენ, მაგალითად, ზუთხს მეთევზეები ახარისხებდნენ: ზურგიელად, დოშად, სათალად, იანად და ჭიპად.

XX საუკუნეში, თბილისური ამქრული ორგანიზაციების, მათ შორის ბაყალთა ამქრის საბოლოოდ მოსპობამ, ძველ ქალაქში მეთევზეთა საქმიანობისა და მათი ნავტიკების, ბადეებისა და ნემსკავების გაქრობაც გამოიწვია.

**ალექსანდრე გოშიშვილი**

*თევზის გამყიდველების რიგი*

# ყუმუხები

## დიდი აბრეშუმის გზა ყუმუხეთზე გადიოდა

*კავკასია მხოლოდ ძირძველი კავკასიელების განსახლების არეალი როდია. მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ რეგიონში სხვა ენათა ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ეთნოსებიც მკვიდრობენ, რომლებიც საუკუნეებია, კავკასიის მკვიდრნი არიან და შესაბამისად, ისეთივე კავკასიელები, როგორიც ყველა დანარჩენი. კავკასიის თურქულენოვანი ხალხები არიან აზერბაიჯანელები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ნოღაელები და ყუმუხები. ქვემოთ ყუმუხებზე მოგითხრობთ.*

ყუმუხები ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე დიდი თურქულენოვანი ეთნოსია. ცხოვრობენ დაღესტნის მთისწინეთსა და ყუმუხეთის დაბლობში. ისინი ამ მიწა-წყლის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ. ბინადრობენ დაღესტნის რამდენიმე რაიონში, მაჰაჩყალის ირგვლივ ექვს სოფელში, ქალაქებში: მაჰაჩყალა, ხასავიურტი, ბუინაკსკი, იზბერბაში, დერბენტი. ყუმუხები დაღესტნის მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ. 1989 წლის აღწერით, ყუმუხების საერთო რაოდენობა 281,9 ათასი კაცი იყო, დღეისთვის — დაახლოებით 350 ათასია, მათ შორის დაღესტანში — დაახლოებით 280 ათასი (2000 წლის მონაცემებით). ყუმუხების თითქმის ნახევარი ქალაქებშია კონცენტრირებული. დაღესტნის ფარგლებს გარეთ რუსეთის ფედერაციაში ყუმუხთა 20%-ზე მეტი ცხოვრობს. შედარებით დიდი რაოდენობით მკვიდრობენ ჩაჩნეთის გუდერმესისა და გროზნოს რაიონებში (10 ათასი კაცი), ჩრდილოეთ ოსეთის მოზდოკის რაიონში (9,5 ათასი). განსახლებული არიან აგრეთვე რუსეთის სტავროპოლისა და ტიუმენის ოლქებში. ყუმუხთა დიასპორა გვხვდება თურქეთსა და იორდანიაში.

ყუმუხების თვითსახელწოდებაა ყუმუკ. ამ ეთნონიმიდან მომდინარეობს რუსული და ნოღაური კუმიკი, ჩაჩნური — გუმკი. დაღესტნის მეზობელ ხალხებში ყუმუხთა ეგზოეთნონიმი გადმოიცემა სიტყვებით: „ბარის მცხოვრებნი“, ხუნძურად — ლარაგალ, დარგუულად — დირკალანტი, ლაკურად — არნისა.

ყუმუხები ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის კასპიურ ტიპს მიეკუთვნებიან. ყუმუხთა ზოგიერთ ჯგუფში კავკასიური ტიპის მინარევიც შეინიშნება. ყუმუხური ენა დაღესტნის ერთ-ერთი ძველი დამწერლობითი (ლიტერატურული) ენაა. ის შედის თურქულ ენათა ყივჩაღურ ქვეჯგუფში. ყუმუხების ეთნოსი სხვადასხვა ეთნოსთა შეერთების შედეგადაა ჩამოყალიბებული. ყუმუხურ ენას რამდენიმე დიალექტი აქვს.

ის ტომები, რომლებიც ასე თუ ისე მონაწილეობდნენ ყუმუხთა ეთნოგენეზში, სარგებლობდნენ ალბანური და რუნული (ძველთურქული) გრაფიკებით. არაბთა დაპყრობების შემ-

*ᲪᲔᲙᲕᲔᲜ ᲧᲣᲛᲣᲮᲔᲑᲘ*

დეგ, VIII-X საუკუნეებიდან ისლამისა და ისლამური კულტურის შემოჭრისას თანდათან არაბული გრაფიკა გავრცელდა, რომელიც რეფორმის შემდეგ ადგილობრივი ენების ბგერით სისტემებს შეეწყო, მათ შორის, ყუმუხურ ენას (აჯამი). 1929 წელს ყუმუხური გადაიყვანეს ლათინურ გრაფიკაზე, 1938 წლიდან კი — რუსულზე. XIX საუკუნის ბოლოს ყუმუხურ ენაზე გამოვიდა პირველი ნაბეჭდი წიგნები. ამასთან ერთად ხელნაწერ არაბოგრაფიულ ტრადიციას ბევრად ადრეული ფესვები აქვს. ყველაზე ადრინდელი ასეთი ძეგლია „დერბენდნამე“ (XVI საუკუნის ბოლო) — დაღესტნის ხალხთა ისტორიის ერთ-ერთი პირველი ორიგინალური წყარო. მისი ავტორია მუჰამად ავაბი აქტაში. ყუმუხი გახლდათ XVIII საუკუნის პირველი ნახევარში მოღვაწე პოეტი ალიყულიხან ვალეხ დაღესტანი, რომელსაც შეუდგენია ანთოლოგია „პოეტების ბაღი“. იგი შეიცავს საყურადღებო მონაცემებს X-XVII საუკუნეების აღმოსავლეთის 2500-ზე მეტი პოეტის შესახებ.

ხაზართა დროიდან, XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე, ყუმუხთა წინაპარი თურქული ენა, შემდეგ კი თვით ყუმუხური ენა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოსთა შორის ურთიერთობის ენა იყო. ყუმუხური ენა საბოლოოდ მონღოლთა პერიოდამდე ჩამოყალიბდა. ის კავკასიის ხალხების რუსეთის მეფეებთან მიმოწერის ოფიციალური ენაც გახლდათ. ყუმუხური ენა ვლადიკავკაზის, სტავროპოლის, მოზდოკის, ყიზლარისა და თემირხან-შურის სასწავლებლებსა და გიმნაზიებში ისწავლებოდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ყუმუხთა ეთნოგენეზში დაღესტნის მთისწინეთსა და ბარში მცხოვრები ადგილობრივი დაღესტნური მოდგმის მოსახლეობა მონაწილეობდა, რომელსაც მოსული თურქულენოვანი მოსახლეობა შეერია და ენობრივი თვალსაზრისით გამარჯვებული ეს უკანასკნელი გამოვიდა. ამ პროცესის დაწყებას აქ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს უკავშირებენ.

ყუმუხი ხალხის ჩამოყალიბება მისი ამჟამინდელი ყივჩაღური ენით XII-XIII საუკუნეებში მოხდა. განვითარებული ეთნიკური ნიშნებით ყუმუხები XIX საუკუნეში კონსოლიდირებულ ხალხს წარმოადგენდნენ, თუმცა ყუმუხებში გამოიყოფოდა ეთნოგრაფიული ჯგუფები, რომლებსაც კულტურაში, ყოფაში, ენაში, ფოლკლორში შემორჩენილი ჰქონდათ ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი. სოციალური თვალსაზრისით, ყუმუხთა საზოგადოება შედგებოდა აზნაურებისგან, სხვადასხვა კატეგორიის უზდენთაგან, გლეხთაგან და სხვ.

XVI საუკუნიდან ყუმუხებს მჭიდრო სა-

ვაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან. XIX საუკუნის დასაწყისში ყუმუხეთი რუსეთს შეუერთდა და დაღესტნის ოლქის ჩამოყალიბების შემდეგ (1860 წელი, ცენტრი ქალაქი თემირ-ხან-შურა) ფაქტობრივად ლიკვიდაცია განიცადა შამხალის, ხანების ხელისუფლებამ. ადრინდელი სამფლობელოების ნაცვლად ხაიდაყ-თაბასარანის, თემირ-ხან-შურის, ყუმუხეთის (გვიან ხასავიურტის) ოკრუგები ჩამოყალიბდა. ყუმუხები თემირ-ხან-შურისა და ხასავიურტის ოკრუგებში მთელი მოსახლეობის 60%-ს შეადგენდნენ, ხაიდაყ-თაბასარანის ოკრუგში კი დაახლოებით 15%-ს. 1920 წელს დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, ყუმუხების უმეტესობა ხასავიურტის ოკრუგის შემადგენლობაში აღმოჩნდა, რითაც, ფაქტობრივად, მათი ბინადრობის ტერიტორიის დიდი ნაწილის ადმინისტრაციული ერთობა აღდგა (ბრაგუნელი და მოზდოკელი ყუმუხების გამოკლებით).

ძველთაგანვე ყუმუხთა სამეურნეო საქმიანობის ძირითად დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მარცვლეულიდან მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი. მიწათმოქმედება სარწყავი იყო. ყუმუხებმა განავითარეს აგრეთვე მებაღეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, ბაღჩეული კულტურები. მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი იყო მეცხოველეობა, რასაც ყუმუხეთის ლანდშაფტი, სათიბები და საძოვრები განაპირობებდა. მეცხოველეობა სტაციონარული იყო. მთიანი დაღესტნის მცხოვრებნი ყუმუხებისგან საზამთრო საძოვრებს ქირაობდნენ. იმავე პირობით ყუმუხები მთიელთა საზაფხულო საძოვრებით სარგებლობდნენ. სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების ეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არა მხოლოდ დაღესტნის მოსახლეობის ეკონომიკურ ინტერესებს აკმაყოფილებდა, არამედ ხდებოდა შრომის გონივრული გადანაწილება და, რაც მთავარია, მიწის გამო ეთნოსთა შორის კონფლიქტებსაც გამორიცხავდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ყუმუხეთში მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრება ფაქტობრივად არ არსებობდა. აქ გაბატონებული იყო ფეოდალური მიწათსარგებლობა. აღნიშნულ პერიოდში მიწათმოქმედების სამი ძირითადი სახე არსებობდა: კერძო, სახელმწიფო და ვაკუფური (მეჩეთების მიწები). კასპიის ზღვის სიახლოვემ ყუმუხებში მეთევზეობაც განავითარა, რასაც დამხმარე ხასიათი ჰქონდა. ეკონომიკაში მნიშვნელობა ჰქონდა მარილისა და ნავთობის მოპოვებას, რითაც მთიანი დაღესტნის მოსახლეობას ამარაგებდნენ.

*ყუმუხები. XIX საუკუნის II ნახევრის ფოტო*

ყუმუხეთზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, კერძოდ, დიდი აბრეშუმის გზა. ყუმუხეთის ბარი დაღესტნის ბევრი რაიონის-

*ყუმუხების განსახლება კავკასიაში*

*პოეტი არსენ ტარკოვსკი*

*კინორეჟისორი ანდრეი ტარკოვსკი*

თვის ძირითად ბელღად ითვლებოდა, რაც მის სავაჭრო და ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებდა.

ყუმუხთა დასახლების ძირითად ტიპს სოფელი (იურტი, გენტი, ავული) წარმოადგენდა. ყუმუხეთშია თანამედროვე დაღესტნის ქალაქები (მაჰაჩყალა, ბუინაკსკი, ხასავიურტი და სხვ.). არაბ-ხაზართა ომის დროს, მონღოლთა ლაშქრობებისას, კავკასიურ ომებში ყუმუხების მრავალი სოფელი განადგურდა, მაგრამ მშვიდობიან დროს ბევრი მათგანი კვლავ აღორძინდებოდა ხოლმე. მეფის რუსეთის დაპყრობებისას და შემდეგაც, ყუმუხეთის ბარში ბევრი რუსული სამაგრე და სოფელი აშენდა. აქ ნოღაელთა ნაწილიც ბინადრობს, რომლებსაც შექმნილი აქვთ როგორც ცალკეული დასახლებები, ისე ყუმუხთა სოფლებში არიან განსახლებული.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ყუმუხეთში ეთნიკური სიტუაცია ძალიან შეიცვალა. 1950-1970-იან წლებში მთიდან ბარში ორგანიზებულად 350 ათასზე მეტი მთიელი გადაასახლეს. ამას გარდა, 100 ათასზე მეტმა კაცმა დამოუკიდებლად დატოვა მთა. ყოველივე ამან ყუმუხებს თავის ძირძველ ტერიტორიაზე მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დააკარგვინა, მოესპოთ კომპაქტურად ბინადრობის საშუალება; იქცნენ ეთნიკურ უმცირესობად, რითაც ეთნოსის თვითგადარჩენის პრობლემის წინაშე დადგნენ. ყუმუხები ეთნიკური და სხვა რიგი პრობლემების მოგვარებას ნაციონალურ მოძრაობას „ტენგლიკი“ („თანასწორობა“) უკავშირებენ.

XIX საუკუნემდე ყუმუხელთა თუხუმმა (თაიფა, ყავუმი, ჯინსი) ცვლილებები განიცადა. მიუხედავად ამისა, თუხუმში მხოლოდ მამის ხაზით ნათესავები (ჩვეულებრივ 100-150 კაცი) შედიოდნენ. დიდ როლს აკუთვნებდნენ ნათესაობას. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არასისხლიერი კავშირებიც: ათალიკობა (ბავშვის სხვის გვარში გაზრდა), ყონაღობა-ძმობილობა.

XIX საუკუნეში ყუმუხების ოჯახის ძირითადი ტიპი პატარა ოჯახი იყო, თუმცა აქა-იქ 25-30-კაციანი გაუყოფელი ოჯახებიც იყო შემორჩენილი. ოჯახის ყველა წევრი ოჯახის უფროსს უსიტყვოდ ემორჩილებოდა, რომელიც, ჩვეულებრივ, ასაკით უფროსი მამაკაცი იყო. ის განუსაზღვრელი ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა ზოგჯერ საოჯახო საბჭოზე ხდებოდა, რომელშიც ასაკით უფროსი ყველა მამაკაცი და ზოგიერთი ქალიც მონაწილეობდა.

ქორწინებასა და განქორწინებას შარიათი აწესრიგებდა. ქორწინდებოდნენ 15-16 წლის ასაკიდან. იცოდნენ ურვადი. ქორწილის დროს ნეფე ახლო მეგობრის სახლში იმყოფებოდა. როგორც სხვა ჩრდილოეთკავკასიელი ხალხები, ყუმუხები ქალს ყიდულობდნენ. პატარძლის სასყიდელ თანხას „ყალიმს“ უწოდებდნენ. ყუმუხთა საოჯახო-ნათესაურ ურთიერთობებში ტრადიციული იყო უმძრახობის წეს-ჩვეულება.

ყუმუხეთში სუნიტური მიმართულების ისლამი VIII-XII საუკუნეებში გავრცელდა. ყუ-

მუხები ყოველთვის ამაყობდნენ, რომ ისლამი დაღესტნელთა შორის ყველაზე ადრე მიიღეს. ისლამის ადრე გავრცელებამ წარმართობის დროინდელი რწმენა-წარმოდგენები ფაქტობრივად გააქრო. ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ყუმუხები ეთაყვანებოდნენ უმაღლეს ღვთაებას — თენგირის, ასევე მზის, მთვარის, დედამიწისა და წყლის ღვთაებებსა და სულებს. შემორჩენილია თქმულება-გადმოცემები, საწესჩვეულებო სიმღერები და სხვ. ყუმუხთა შორის ფართოდაა გავრცელებული მუსლიმური მითოლოგია.

ყუმუხებში მნიშვნელოვან დონეს მიაღწია ორნამენტულმა ხელოვნებამ. მაგალითად, ძველი ტიპის სახლებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოჩუქურთმებულ ორნამენტს, რომლებითაც სახლის ხის ნაწილებსა და კარებს რთავდნენ.

ორიგინალური და მაღალი მხატვრული ხარისხით გამოირჩეოდა ყუმუხური ხაოიანი ხალიჩები, ქეჩის ფარდაგები, ჭილოფები, ხურჯინები. ყუმუხმა ხალხმა შექმნა ფოლკლორის მაღალმხატვრული ნიმუშები. გავრცელებული იყო ნართული ეპოსიც. „ანჟის ბრძოლის თქმულებაში“ არაბ-ხაზართა ომის პერიოდია ასახული. კალენდარულ-საწესჩვეულებო პოეზია წარმოდგენილია წვიმის გამოწვევის, საშემოდგომო და საგაზაფხულო სიმღერებით. დაღესტნის სხვა ხალხებისგან ყუმუხები იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ მათთვის უცხო არ იყო მრავალხმიანი სიმღერები.

ყუმუხური ლიტერატურის ფორმირება XIV-XV საუკუნეებში დაიწყო (უმუ ქამალი, ბაღდად ალი, მუჰამედ ავაბი...), თუმცა მნიშვნელოვან დონეს მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეებში მიაღწია, როცა მოღვაწეობდნენ ისეთი პოეტები, როგორებიც იყვნენ ა. კაკაშურინსკი, ირცი ყაზახი, მ. ე. ოსმანოვი და სხვ. ყუმუხები იყვნენ წარმოშობით პოეტი არსენი ტარკოვსკი და მისი შვილი, მსოფლიოში ცნობილი კინორეჟისორი ანდრეი ტარკოვსკი. ისინი ყუმუხეთის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში არსებული ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეულის, ტარკის საშამხლოს მეთაურების — შამხლების შთამომავალნი არიან. აქედან აქვთ ეს გვარი მიღებული. ტარკოვსკების წინაპარი შამხლების რეზიდენცია მიუდგომელ და შემაღლებულ ადგილას, აულ კაფირ-ყუმუხში მდებარეობდა. ყუმუხებში კარგად იყო განვითარებული ასტრონომია, რასაც მრავალი პლანეტისა და თანავარსკვლავედთა სახელწოდებებიც ადასტურებს.

ყუმუხთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა სპორტის ეროვნული სახეობები. მათ ჰქონდათ ბალახის ჰოკეის თავისებური სახეობა: საღამოთი აბედს (ნაცარტუტში გამოხარშული ხის ერთგვარი სოკო) მოუკიდებდნენ ცეცხლს და მის წართმევაში ერთმანეთს ჰოკიჯოხით (ყვანჯით) ეპაექრებოდნენ, დღესასწაულებზე იმართებოდა დღი.

ყუმუხეთის ტერიტორიაზე არსებობს მდიდარი საზამთრო საძოვრები (ყიზლარი), სადაც საბჭოთა პერიოდში ქართველებიც აზამთრებდნენ ცხვარს.

**როლანდ თოფჩიშვილი**

*ყიზლარის საძოვარზე*

# ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ 1939

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 2008

*წინამდებარე სტატია პოლონელი პოლიტოლოგის, პაველ ბურდას დასავლეთში გამოსული სამი წიგნის შესახებ დაწერილ რეცენზიებს წარმოადგენს, რომელიც პოპულარულ პოლონურ ჟურნალ Uwazam Rze-ში გამოქვეყნდა. ეს წიგნებია: რიჩარდ ოვერის „1939. უფსკრულის პირას"; ლინ ოლსონის „მეამბოხენი" და რონალდ დ. ასმუსის „მცირე ომი, რომელმაც შეაზანზარა სამყარო. საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი". რეცენზიები ლოგიკურადაა შეკრული და საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღნიშნული მოვლენების შესახებ.*

## ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ

სტატიის ავტორის აზრით, ასმუსის წიგნში აღწერილია ის მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა პირველ გასროლებს. როგორც ავტორი წერს, მართალია, 1939 წელს პოლონეთის წინააღმდეგ წამოწყებულ ომსა და საქართველო-რუსეთის ომს 69 წელიწადი აშორებს, მაგრამ მათი გამომწვევი მიზეზები მსგავსია. მიუხედავად ამისა, დასავლეთის პოლიტიკური ლიდერები ისტორიიდან სათანადო დასკვნებს იშვიათად აკეთებენ.

როგორც ფონ კლაუზევიცს მიაჩნია, — წერს ავტორი, — ომი წარმოადგენს პოლიტიკის გაგრძელებას, ოღონდ სრულიად სხვა

მეთოდებით. თუკი ეს ნამდვილად ასეა, მაშინ ბევრი რამ იმ ადამიანებზეა დამოკიდებული, რომლებიც პოლიტიკას წარმართავენ და არა რაღაც ისტორიულ დეტერმინაციასა თუ ალტერნატივის არარსებობაზე. წიგნები ანგლოსაქსური წარმოშობის ავტორებისაა და ეს მათ ობიექტურობას ეჭვქვეშ არ აყენებს.

ამ ორ მოვლენას შორის არა მხოლოდ ისტორიული ანალოგი არსებობს, არამედ ისინი გვიჩვენებენ, რომ ეს მოვლენები დიდად იყო დამოკიდებული იმდროინდელ პოლიტიკურ ლიდერებზე, თუ როგორი ინფორმაცია გააჩნდათ და როგორ აღიქვამდნენ მათ.

## 11 დაჯაბული დღე

ოვერის (იგი მეორე მსოფლიო ომის მკვლევარია) წიგნი გერმანელებს, ფრანგებსა და ინგლისელებს შორის 11 დღის განმავლობაში, ანუ 24 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე მიმდინარე მოლაპარაკებებს აღწერს, როცა მათ გერმანიას ომი გამოუცხადეს. ოვერის განცხადებით, ეს დღეები „უფსკრულის პირას ცეკვას“ წააგავდა. ბრიტანელი ისტორიკოსის მტკიცებით, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის ხელმოწერის შემდეგ ჰიტლერს სწამდა, რომ დასავლეთისგან მიიღებდა ყველაფერს, ოღონდ კი მას „ნერვები მოეთოკა“. თუმცა ფიურერი რისკიანი კაცი გახლდათ, მაგრამ, როგორც ოვერი წერს, თავად მასაც და „ბერლინელებსაც სჯეროდათ, რომ ისინი ყველაფერს ომის გარეშე მოაგვარებდნენ“. მას ამ დროს მხოლოდ გდანსკის დაბრუნება და პოლონელთა სანიმუშოდ დასჯა სურდა. ფიურერის ვარაუდით, საქმე თუნდაც ომამდე რომ მისულიყო, იგი აღმოსავლელ მეზობელთან ლოკალური ხასიათის ბრძოლის სახეს მიიღებდა. მაგრამ როცა 2 სექტემბერს ბრიტანელებმა ჰიტლერს ომის შესაძლო დაწყების თაობაზე ულტიმატუმი წაუყენეს, როგორც ამას ოვერის მიერ მოხმობილი ამბების მოწმე იხსენებს, ის გაოცებას ვერ ფარავდა. მეტიც, ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ პირდაპირ ცოფებს ყრიდა და რა ვქნათ ახლაო, — ეკითხებოდა გარშემო მყოფთ.

ოვერი არ არის გულუბრყვილო. იგი ხვდება ჰიტლერის ვერაგ ჩანაფიქრს — მას მოლაპარაკებები კი არა, პოლონეთთან ანგარიშის გასწორება სურდა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ის კონფლიქტს პატარა, ლოკალური ომის სახით მონათლავდა. „იმ ომის სცენარს, რომელიც ჰიტლერმა წამოიწყო პოლონეთის სახელმწიფოს განადგურების მიზ-

*მოსკოვი, კრემლი, 1939 წლის 23 აგვისტო. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ხელმოწერის შემდეგ*

*1939 წლის 1-ელი სექტემბერი. გერმანელმა ჯარისკაცებმა პოლონეთის საზღვარი მოარღვიეს*

ნით, არც დიპლომატიური და არც სამხედრო მიზეზები არ გააჩნდა, ის რასობრივი პრიორიტეტებით იყო გამოწვეული — საქმე ეხებოდა გერმანელებისთვის ახალი სასიცოცხლო სივრცის მოპოვებას“, — წერს ოვერი. ფიურერს სწამდა, რომ ბრიტანეთი ახლაც უკან დაიხევდა და არ გარისკავდა.

## ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

მოკავშირეებს ეწადათ გერმანელთა აგრესიის შეკავება, მაგრამ ის მოსალოდნელი საბოლოო შედეგებიც ძალიან აფიქრებდათ, რომლებიც შესაძლოა მათ ასეთ პრინციპულ პოზიციებს მოჰყოლოდა. მოკავშირეებს არ ესმოდათ, რომ ჰიტლერი სრულიად განსხვავებული ფილოსოფიით ხელმძღვანელობდა. ჰიტლერის ოპონენტთა აზროვნების წესი, რომელიც სხვა ღირებულებებს ეფუძნებოდა (საზოგადოებრივი აზრის დემოკრატიული აღქმა — ბელადის ტოტალური ხელისუფლების პრინციპებისგან განსხვავებით)... საბოლოოდ ჰიტლერმა პოლონეთს მართლაც დაარტყა. ხოლო მოკავშირეებმა კი მას ომი გამოუცხადეს, რათა დასავლურ ცივილიზაციას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში თავისი „სახე არ დაეკარგა“.

ამ თავდაპირველი თამაშების შედეგი პოლონეთისთვის ერთი შეხედვით არც ცუდად გამოიყურებოდა. 2 სექტემბრამდე არსებობდა საფრთხე, ბრძოლის ველზე ის მარტო დარჩენილიყო, ხოლო ბრიტანეთი შეეცდებოდა, მესამე რეიხისთვის „ახალი მიუნხენის“ სურვილი ჩაექრო (რომლის დროსაც ჩეხოსლოვაკია ჩეხებისა და სლოვაკების ნების საწინააღმდეგოდ გაიყვეს). შავ სცენარს, რომლის დროსაც პოლონეთი განადგურდებოდა ჰიტლერისა და სტალინის მიერ და ლონდონელი მოკავშირის გარეშე დარჩებოდა, აღსრულება არ ეწერა რამდენიმე მეტად პრინციპული პოლიტიკოსის გააქტიურების გამო. განსაკუთრებით ენერგიას არ იშურებდნენ ბრიტანელი კონსერვატორები, რომლებმაც თავისი უპრინციპობითა და დათმობათა პოლიტიკით ცნობილი პრემიერი ჩემბერლენი გადააყენეს და მის ნაცვლად 1940 წლის მაისში უინსტონ ჩერჩილის გაპრემიერებას დაუჭირეს მხარი. ამ ამბებზე მოგვითხრობს ოლსონი წიგნში „მეამბოხენი“. ეს წიგნი ნათელი მაგალითია, მსოფლიო პოლიტიკაში რა დიდი საქმეების გაკეთება შეუძლიათ მტკიცე ხასიათის ადამიანებს.

როცა 1939 წლის 2 სექტემბერს პრემიერი ჩემბერლენი პარლამენტში მორიგი სიტყვით გამოდიოდა, მის ხმაში ჯერ კიდევ შემორჩენილიყო იმედი, რომ გერმანელებთან გარი-

გება მოხერხდებოდა და მსოფლიოს „უდიდეს ომს“ თავიდან ააცილებდა. ამიტომ სურდა, ჰიტლერის პოლონელებზე თავდასხმა ლოკალურ კონფლიქტად ეღიარებინა, რომლის დაძლევაც შესაძლებელი იქნებოდა დაპირისპირებულ მხარეთა დაზავების შემდეგ დიპლომატიური მოლაპარაკებების გაგრძელებით. სწორედ მაშინ გამომჟღავნდა ყველაზე მეტად პოლიტიკოსთა ხასიათი. ჩემბერლენის ასეთი დამთმობი პოზიცია დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა ინგლისის პარლამენტში.

## განტევების ვაცი

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ ასმუსის დაწერილ წიგნს როცა ვკითხულობთ, ერთგვარი დეჟავიუ გვეუფლება. ისევე როგორც ჰიტლერი 1939 წლის სექტემბერში გააფთრებული მიიწევდა პოლონეთისთვის ანგარიშის გასასწორებლად, ასევე პუტინს ეწადა, საქართველოსთვის დაერტყა. ამ ომის წინა დღეების დიპლომატიური სვლებიც კი იქითკენ იყო მიმართული, რომ რუსეთს ანტიქართული პროპაგანდა გაეღვივებინა, ვითარება მოემზადებინა და ეს რეგიონი შეეიარაღებინა. ამ მოვლენების შესწავლამ ავტორი დაარწმუნა, რომ კონფლიქტის (2008 წლის 7 აგვისტო) დაწყებამდე რამდენიმე დღეს სხვა ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა რუსულ „მცოცავ ინტერვენციას“. ამ რამდენიმე თვის წინ უდროოდ გარდაცვლილი ასმუსი ყოფილი ამერიკელი დიპლომატია (კერძოდ, მას უნდა ვუმადლოდეთ პოლონეთის ნატოში ინტეგრირებას). ის იყო ასევე ერთ-ერთი გავლენიანი არასამთავრობო ფონდის ხელმძღვანელიც, ამიტომ ძნელია ამ წიგნის სათანადოდ დაუფასებლობა. ის არა მხოლოდ დიპლომატიის კულისების კარგი ცოდნის საფუძველზეა დაწერილი, არამედ იმ ასეულობით მოწმის ჩანაწერების გამოყენებითაც, რომელთა თვალწინ აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები გათამაშდა. მოწმეთაგან ერთ-ერთი გახლდათ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ასმუსის ამ წიგნის კითხვისას ეს „ფეთქებადი“ პრეზიდენტი, როგორც მას დასავლელი პოლიტიკოსები უწოდებენ, მიწაზე მყარად მდგომ ადამიანად გვევლინება. სწორედ ის აფრთხილებდა დასავლეთს, არ ეჩქარათ კოსოვოს აღიარება, რადგანაც ამას აუცილებლად მოჰყვებოდა რუსეთის გაწიწმატებული რეაქცია მისი სამშობლოს წინააღმდეგ. სამწუხაროდ, დასავლელ პოლიტიკოსებს გაფრთხილებისთვის ყური არ მიუგდიათ. ყოველივე ამის თაობაზე ასმუსი მიუკიბ-მოუკიბავად წერს: „არც აშშ-სა და არც ევროკავშირს დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ მოსკოვიდან წამოსული სიგნალებისთვის, რომლებიც უტყუარად მიანიშნებდნენ, რომ კრემლი მალე საქართველოს წინააღმდეგ უშუალო სამხედრო მოქმედებებზეც გადავიდოდა, თუკი დასავლეთის სახელმწიფოები კოსოვოს დამოუკიდებლობას ცნობდნენ. ყველა დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი „ბლეფობდა“.

მაგრამ სააკაშვილი მართალი აღმოჩნდა: 2008 წლის აგვისტოს ომი, როგორც სამართლიანად წერს ასმუსი, იყო „საზღაური რუსეთის წყენინებისა დასავლეთის მიერ, რომელმაც რამდენიმე თვით ადრე კოსოვო აღიარა. პუტინს უკვე ადრევე ჰქონდა გაცხადებული, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისთვის დასავლეთი კბილებს წაიმტვრევდა“.

2008 წლის 22 თებერვალს, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან მხოლოდ ხუთი დღის გასვლის შემდეგ, პუტინი და სააკაშ-

*დანგრეული ვარშავა. პოლონეთის ეროვნული ციფრული არქივიდან*

*ნანგრევები გორის ცენტრში*

ვილი ერთმანეთს ხვდებიან. მაშინ რუსეთის პრემიერმა საქართველოს პრეზიდენტს ციკად განუცხადა, რომ ომი გარდაუვალი იქნებოდა, რადგან ამას დასავლეთის ქმედებები იწვევდა. „თქვენ ალბათ მშვენივრად იცით, – მიმართა პუტინმა სააკაშვილს, – რომ ჩვენ რამით უნდა ვუპასუხოთ დასავლეთს კოსოვოს გამო. და ჩემთვის ძალიან საწყენია, რომ თქვენ იქნებით ამ პასუხის უშუალო ადრესატი“.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად შეერთებულ შტატებსა და ნატოს არავითარი საპასუხო მოქმედების გეგმა არ შეუმუშავებიათ. მათ საქართველო რუსეთის დარტყმისგან ვერ იხსნეს. ასმუსის აზრით, იკმარებდა თუნდაც მოსკოვის გაფრთხილება, რომ მისი ყოველი სამხედრო მოქმედება დასავლეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა და საპასუხო მოქმედებებს გამოიწვევდა აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატოს მხრიდან. მათ, სამწუხაროდ, ამგვარი პრინციპულობა არ აღმოაჩნდათ. უფრო უარესიც: ნატოს ბუქარესტის სამიტმა, რომელსაც ამ ალიანსის კარი უნდა გაეღო საქართველოსა და უკრაინისთვის, ერთდროულად გამოამჟღავნა, როგორ არიან დაყოფილი მოკავშირეები და რა ძალიან იყო შესუსტებული მასში აშშ-ის პოზიცია ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის ბოლო წელს. მოსკოვი ყოველივე ამას იდეალურად ხედავდა: მან იცოდა, რომ 2008 წლის ზაფხულზე უკეთესი დრო კონფლიქტის ესკალაციისა და ნატოს საზღვრების გაფართოების შეკავებისთვის აღარ დადგებოდა.

კრემლმა ხაფანგი დაუგო საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც იდგა გარდაუვალი არჩევანის წინაშე: ან მოხდებოდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაცია (რაც მისთვის ავტომატურად ხელისუფლების დაკარგვას მოასწავებდა), ან უნდა ჩართულიყო შეიარაღებულ კონფლიქტში, რადგან დიპლომატიურ სვლებს აზრი აღარ ჰქონდა. ასეთივე ხაფანგში ამოყვეს თავი ევროკავშირისა და ნატოს დიპლომატებმაც, რომელთაც, როგორც ბრიტანელ დიპლომატებს 1939 წელს, ვერ გაეგოთ, რომ ოპონენტები სხვა ფილოსოფიით ხელმძღვანელობდნენ. მათ ნებისმიერ ფასად სურდათ შეიარაღებული კონფლიქტის წამოწყება.

რუსების შემოტევამდე ბოლო დღეებში ქართველები ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკის საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევას მოითხოვდნენ, რადგანაც ისინი კარგად გრძნობდნენ შექმნილი საფრთხის რეალობას. თუმცა დასავლელი დიპლომატები მათ აშშვიდებდნენ – თქვენს შიშს საფუძველი არ გააჩნიაო. ნატოს საბჭო შეიკრიბა მხოლოდ ერთხელ, რისთვისაც ალი-

ანსის გენერალურმა მდივანმა შვებულება მხოლოდ ერთი დღით შეწყვიტა, ხოლო ნატოს გაერთიანებული ძალების მთავარსარდალს ევროპაში ესეც კი არ უნებებია. „კავშირისთვის, რომელსაც აქვს ამბიციები, ევროპის მთელ ტერიტორიაზე კრიზისები მოაგვაროს, ყოველივე ეს არცთუ მომხიბლავად გამოიყურებოდა“, — სევდიანად შენიშნავს ასმუსი.

ასმუსის წიგნში გამოტანილი დასკვნები მეტად დამაფიქრებელი უნდა გახდეს დასავლეთისთვის. „თბილისი იქცა ერთგვარ განტევების ვაცად. მის მიმართ რუსეთმა მთელი თავისი ჯავრი იყარა, რასაც განიცდიდა აშშ-ის, ნატოსა და ყველა იმ ქვეყნისადმი, რომლებიც საქართველოს ეხმარებოდნენ“. ეს იყო პუტინის ანტიდასავლური ავტორიტარიზმის გამოვლინება, რომელიც მეზობლების დასავლეთისკენ „გაქცევის პროცესის“ შეჩერებას შეეცადა. თუ გავიხსენებთ, როგორი ვნებითა და გაშმაგებით ანადგურებდნენ რუსი ჯარისკაცები ნატოს, ევროკავშირისა თუ აშშ-ის ყოველგვარ სიმბოლოს საქართველოს ტერიტორიაზე, ადვილად შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ამ ქვეყანაში ერთმანეთს ორი ცივილიზაცია შეეჯახა. და ეს მაშინ, როცა აღნიშნული კონფლიქტი დიპლომატიის მრავალი დასავლელი „გურუსთვის“ ევროპის საზღვრებთან „უპასუხისმგებლო“ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოწვეული მხოლოდ „ლოკალური კონფლიქტი“ იყო.

## რეალური მოკავშირე

ამ სამი წიგნის წაკითხვის შემდეგ ფიქრი არ გასვენებს: ჩანს, როგორც პოლონეთი 1939 წლის სექტემბერში, ისე საქართველო 2008 წლის აგვისტოში პოლიტიკური თამაშების ობიექტები და არა სუბიექტები გახდნენ. ოვერი აღწერს ერთ საუბარს, რომელიც გაიმართა პარიზში, ბრიტანეთის საელჩოში, თავის იტალიელ კოლეგასთან 1939 წლის სექტემბრის ბოლოს. ბრიტანელი დიპლომატისთვის მაშინ უკვე ნათელი იყო, „რუსმა დათვმა ისე მძლავრად ჩაიგდო ხელში პოლონეთის ნაწილი, რომ ეს უკანასკნელი მისი თათებიდან თავს ვერასდროს დაიხსნიდა“. ანუ, როგორც ჩანს, მიუხედავად განუწყვეტელი საუბრებისა ეროვნულ ღირსებაზე, სიმართლე (როგორც წერს ოვერი) ომის შესახებ ეს იყო: „საქმე პოლონეთის გათავისუფლებას კი არ ეხებოდა საშინელი ოკუპაციისგან, არამედ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დაცვას“. არადა, ეს იყო დრო, როცა პოლონელი ჯარისკაცი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა და ის ამას აკეთებდა, თავისი გაგებით, ინგლისელი და ფრანგი მოკავშირეებისთვისაც.

ცხადია, მსგავსი გრძნობები ამოძრავებდათ ქართველ ჯარისკაცებსაც, რომლებიც რუსის ჯარებს ეწირებოდნენ 2008 წლის აგვისტოში. თუმცა ფორმალურად ისინი ნატოს წევრები არ ყოფილან, მაგრამ დასავლეთის დიდმა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა მას ხომ „მხარდაჭერა აღუთქვეს“.

როგორც ჩანს, ევროპის ამ ნაწილში არ შეიძლება „ეგზოტიკური“ კავშირების იმედით იყო. აუცილებელია მტკიცე „რეალპოლიტიკით“ ხელმძღვანელობდე.

***პოლონურიდან თარგმნა და მოამზადა***
***ამბროსი გრიშიკაშვილმა***

*საქართველოს მოქალაქეების მანიფესტაცია ოგოეთთან, რუსი ოკუპანტების საგუშაგოსთან*



# შეუპოვარი დავით კლდიაშვილი

## რამდენიმე დოკუმენტი ბათუმში მოღვაწეობის პერიოდიდან

*დავით კლდიაშვილი*

***ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, დავით კლდიაშვილის პიროვნების უკეთ წარმოსაჩენად ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე საარქივო დოკუმენტი, რომელშიც იგი მთელი სისრულით წარმოდგა, როგორც დიდი პატრიოტი და ბათუმის გულშემატკივარი. დავით კლდიაშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის დედასამშობლოს, საქართველოს ახალშემოერთებულ ბათუმის მხარეში ქართული ტრადიციების დამკვიდრებაში.***

პირველი საარქივო დოკუმენტი დათარიღებულია 1895 წლის თებერვლით და იგი გაგზავნილია ბათუმიდან თბილისში კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის სახელზე. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ბათუმში არჩევნებისთვის გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს. განსაკუთრებით აქტიურობს ქართველები და სომხები. სომხები რუსების მხარეზე დგანან და ცდილობენ ერთმანეთის დახმარებით რაც შეიძლება მეტი ხმოსანი გაიყვანონ. ქალაქის ხელისუფლებაც მათ მხარესაა, ეხმარებიან ფულითაც. ქართველებს მეთაურობს რუსეთის არმიის ოფიცერი დავით კლდიაშვილი და პოლონელი გრიგოლ ვოლსკი. განსაკუთრებით დავით კლდიაშვილი აქტიურობს. სად არ შეხვდებით მას, რკინიგზის სადგურში, ზღვისპირა პარკში, ყავახანაში. ყველგან ნახავთ ამ რუსის ოფიცრის მუნდირში გამოწყობილ ქართველს. ყველგან ხალხს მოუწოდებს, შეჩერდნენ და მოუსმინონ მას და მის ამხანაგებს. იგი საუბრობს ქართველთა ერთიანობაზე, შეახსენებს იმ დროს, როდესაც საქართველო უძლიერესი სახელმწიფო იყო და მოუწოდებს, რომ არჩევნებში ქართველებმა ყველაზე მეტი ხმოსანი გაიყვანონ და ამით ქალაქის მმართველობა ხელში ჩაიგდონ. მისი აზრით, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ დავიბრუნოთ ძველი დიდება და ბრწყინვალება. ეს ნაციონალისტი იმასაც არ ერიდება, რომ აუგად მოიხსენიოს ქალაქის რუსი ჩინოვნიკობა, რომლებიც მისი აზრით, ყველაფერს აკეთებენ ქართველების დასამარცხებლად და შესავიწროებლად. ამით იგი ქართველ მოსახლეობას განაწყობს რუსეთის წინააღმდეგ. აუცილებელია ამ პიროვნების იზოლირება. სამხედრო ხელმძღვანელობამ არ უნდა მისცეს მას ასეთი თავაშვებულობის შესაძლებლობა, თორემ იგი პრობლემებს თვით ჯარშიც შეუქმნის მათ“.

დოკუმენტში შესანიშნავადაა გადმოცემული დიდი ქართველი მწერლის მონდომება, რათა არჩევნებში ქართველებმა რაც შეიძლება დიდი უპირატესობით გაიმარჯვონ. შესაბამისად, რუსული იმპერიული თვალთახედვით იგი ქართველი ნაციონალისტი და რუსული სახელმწიფოსთვის სახიფათო და არასაიმედოა.

დავით კლდიაშვილს ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის პროგრესულ ნაწილთან.

ხშირად ხვდებოდა მათ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხის გადასაწყვეტად. უაღრესად საინტერესოა ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწეს ბათუმის ოკრუგში და იგი გაგზავნილია ბათუმის ხელმძღვანელისადმი. დოკუმენტი დათარიღებულია 1898 წლის ივლისით. მასში ვკითხულობთ: „რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მუსლიმანი მოსახლეობის სახელმწიფო ინტერესების სამსახურში ჩაყენებისთვის. მთავრობამ ამ მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. შედეგიც სახეზეა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩვენ მხარეზეა და მხარს უჭერს სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს. ეს ეხება მუსლიმანთა ზედა ფენასაც, რომელიც ხალხს მოუწოდებს, ყოველმხრივ ემსახუროს ქვეყანას. უნდა ითქვას, რომ ბათუმში მოღვაწე ზოგიერთი ნაციონალისტი ქართველი ხელს გვიშლის საქმიანობაში. ეს გამოიხატება იმით, რომ ისინი მოსახლეობას აწვდიან ჩვენთვის მიუღებელ იდეებს, აგიტაციას აწყობენ ანტისახელმწიფოებრივ საკითხებზე. ჩვენ შევძელით გამოგვევლინა ასეთი პირები, რომელთა პოლიტიკური აზროვნება ჩვენთვის მიუღებელია. ერთ-ერთი მათგანი დავით კლდიაშვილია, რომელიც პოპულარობით სარგებლობს მუსლიმანებში. მას უსმენენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ იგი სიმართლეს ლაპარაკობს. დავით კლდიაშვილი რუსეთის არმიის ოფიცერია, ეს კი კიდევ ზრდის მის ავტორიტეტს. მაგალითად, მიმდინარე წლის 5 მაისს, იგი საიდუმლო ვითარებაში შეხვდა მუსლიმანთა ერთ ნაწილს. ჩვენმა დაზვერვამ დაადგინა, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობდა ვინმე ფერათ ბეჟანიძე, ჯემალ ახმედოღლი და კიდევ რამდენიმე პიროვნება. ჩვენთვის გაუგებარია შეხვედრის მიზანი და საუბრის თემა. ასეთი შეხვედრები ხშირია. და ყველა შეკრებაში აქტიურად მონაწილეობს ნაციონალისტი დავით კლდიაშვილი... იგი ძალიან სახიფათოა ჩვენი სახელმწიფოსთვის და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თუ ბათუმიდან იქნება გაწვეული“.

როგორც ვხედავთ, დოკუმენტი მოგვითხრობს იმ დიდ მისიაზე, რომელსაც ქართველთა პროგრესული ნაწილი დავით კლდიაშვილის მეთაურობით ასრულებდა. ეს გამოიხატება ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ერთობაში საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს მისია დავითმა დიდებულად შეასრულა, რაც რუსეთის შოვინისტურ სახელმწიფოს არ მოსწონდა.

დავით კლდიაშვილის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ვინმე ინგლისელი მაიკლ ჰოვარდი, რომელიც 1897 წელს იმყოფებოდა ბათუმში. ინგლისელი აღნიშნავს: „ბა-

*ბათუმის ბულვარი XIX საუკუნის მიწურულს*

თუმში შევხვდი და ვესაუბრე ქართველ პატრიოტებს გრიგოლ ვოლსკისა და დავით კლდიაშვილს. ორივე ისინი სახელმწიფო სამსახურშია, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ორივენი ანტირუსული განწყობით გამოირჩევა. თუ ვოლსკი ფრთხილია, ამას ვერ ვიტყვით კლდიაშვილზე, რომელიც უშიშარია, შემტევი და ხელისუფლების მიმართ მოურიდებელი. ეს პიროვნებები დიდი პოპულარობით სარგებლობენ მოსახლეობაში. მათ სიტყვას ენდობიან, მათი სჯერათ. ეს არ მოსწონს ადგილობრივ ხელისუფლებას და ცდილობს მათ დაკნინებას ხალხის თვალში. მათ მიმართ გაზეთებში იწერება კრიტიკული წერილები, მაგრამ ისინი ყოველთვის ცდილობენ თავის გამართლებას, ეს კი ბათუმელებს მოსწონთ".

ინგლისელი შესანიშნავად ახასიათებს დავით კლდიაშვილს და ხალხში მის დიდ ავტორიტეტზე საუბრობს. როგორც ჩანს, დავით კლდიაშვილმა ინგლისელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მანაც საჭიროდ მიიჩნია ამ ყველაფრის აღწერა.

დავით კლდიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა პირველ რევოლუციაში 1905-1907 წლებში. იგი რევოლუციონერებს თანაუგრძნობდა, თუმცა რუსეთის არმიის სამსახურში იდგა და რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა. მაგრამ მაინც, ბევრჯერ იხსნა ხალხი უცილობელი საფრთხისგან. დავითთან ჩამოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან რჩევა-დარიგების მისაღებად. ცნობილია, რომ რევოლუციაში აქტიურად მონაწილეობდა გურია. ეს მხარე მთელ რუსეთის იმპერიაში ცნობილი იყო, როგორც ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი და ამის გამო არაერთხელ განუცდია სახელმწიფო მანქანის მხრიდან რბევა-აწიოკება. აღსანიშნავია, 1905 წლის იანვარში დავითს გურიიდან ეწვია დელეგაცია გიორგი ნაკაშიძის, ივანე ნიკოლაიშვილის, ამბაკო ჩხარტიშვილის, მათე გიორგაძისა და სხვათა შემადგენლობით. დავითმა დელეგაციას მიაწოდა საინტერესო იდეები, გააცნო ბათუმში მიმდინარე მოვლენები და ურჩია, კავშირი ჰქონოდათ ბათუმელ მუშებთან. ყურადღება გაამახვილა ერთიანობის ძალაზე და აღნიშნა, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. დავითთან ასევე ჩამოდიოდნენ სამეგრელოდან, იმერეთიდან და სხვადასხვა მხარიდან და ისიც მეტად აუცილებელ და საინტერესო რჩევა-დარიგებას აძლევდა მათ.

დავით კლდიაშვილი იყო ბათუმის უდიდესი მოჭირნახულე და მოამაგე. მან ყველაფერი გააკეთა ქალაქის აღორძინებისა და კულტურული დაწინაურების საქმეში.

**ოთარ გოგოლიშვილი**

*დავით კლდიაშვილი (ცენტრში) ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გარემოცვაში*

# ისლამი

(დასასრული: დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №18)

***ისლამური შესაწირავის, ვაკფის აკრეფა რელიგიურ პირებსა და ყადებს ევალებოდათ. ვაკფის ტიპის საკუთრება შეიძლება ყოფილიყო ფაბრიკა, აბანო, სხვადასხვა სახის სახელოსნო. შემოსავალი ხმარდებოდა საირიგაციო სისტემის მოწყობას, განათლების, კულტურის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მუსლიმურ ქვეყნებში რელიგიური დაწესებულებები ყოველგვარი გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ, მაშინ როცა მიწის მფლობელებს გადასახადი შეჰქონდათ სახელმწიფო ხაზინაში, მოქალაქეები უხდიდნენ ქალაქების ხელისუფალთ, ხოლო მეომრები — ზემდგომ სამხედრო პირებს. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრეთათვის საუკეთესო ადგილად მიიჩნეოდა მეჩეთის შემოგარენი. თვით სახელგანთქმული ოქრომჭედლებიც კი ცდილობდნენ, თავიანთი დახლები სწორედ მეჩეთის სიახლოვეს გაემართათ.***

ისლამურმა ცივილიზაციამ VIII-IX საუკუნეებში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. განვითარდა პარფიუმერიული ინდუსტრია. ქიმიის განვითარების წყალობით, კერამიკული მინანქარი არაფრით ჩამოუვარდებოდა სახელგანთქმულ ჩინურ ნაკეთობებს. წარმატებებს მიაღწიეს მეტალურგიაშიც, სრულყვეს ინდური და ჩინური ფოლადის დამუშავების ტექნიკა.

ვითარდებოდა ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის ძველი ცენტრები. ეგვიპტიდან გადიოდა პაპირუსი, ქსოვილები, ხორბალი; ირანის ფარსის პროვინციიდან — საუკეთესო ხარისხის ქსოვილები და მარგალიტის თვლები; სირიიდან — ზეთი და მარცვლეული.

ეგვიპტის ერთ-ერთ უძველეს სინაგოგაში აღმოჩენილი დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას იძლევიან აღმოსავლელ ვაჭართა საქმიანობაზე. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იმ დროისთვის სრულყოფილმა სავაჭრო ურთიერთობებმა ისეთი ნიადაგი შექმნა, რომ შესაძლებელი იყო, ბაღდადში ასაღები თანხა ესპანეთში მიეღოთ. დაწინაურდა სატრანსპორტო სისტემა. რადგან ნილოსის, ტიგროსისა და ევფრატის გარდა მუსლიმურ ქვეყნებს სანაოსნო მდინარეები არ ჰქონდათ, განსაკუთრებულ ყურადღებას საზღვაო ნავიგაციის განვითარებას უთმობდნენ. აღსანიშნავია, რომ ქრისტეფორე კოლუმბის ხომალდები ანდა-

*დავით IV აღმაშენებელი*

*გუსტავ დორეს გრაფიკული ნახატი: „ილღაზი ათავისუფლებს გოტიეს“*

ლუსიური მუსლიმური ხომალდების ნახაზების მიხედვით აიგო.

ისლამურ სამყაროში დიდ წარმატებას მიაღწიეს ქაღალდის წარმოებისთვის სელის გამოყენების საქმეში. დანარჩენმა მსოფლიომ სწორედ მათგან ისწავლა სელისგან ქაღალდის დამზადება.

გვერდს ვერც თბილისის საამიროს ავუვლით, რომელიც არაბებმა VIII საუკუნის დასაწყისში დააარსეს. არაბთა გამგებლობის ხანაში თბილისი კავკასიის უდიდესი ქალაქი გახდა. მაშინ თბილისი კოსმოპოლიტური ქალაქი იყო, ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ ებრაელები, სომხები. ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის გათავისუფლების შემდეგაც შენარჩუნდა.

როგორც ცნობილია, 1122 წელს დავით აღმაშენებელმა თბილისი ხელახლა აქცია ერთიანი საქართველოს დედაქალაქად. მაგრამ მუსლიმები ამის შემდეგაც ცხოვრებდნენ თბილისში. მეტიც, ისინი შეღავათებითა და ერთგვარი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ, რომლებიც დავით IV-მ დაუწესათ. თუ ქართველ მოსახლეობას წელიწადში გადასახადის სახით ხუთი დინარი უნდა გადაეხადათ, ებრაელებს — ოთხი, მუსლიმებს კი სამი.

ერთ-ერთი არაბი ისტორიკოსი იმასაც წერს, რომ დავით აღმაშენებელი პარასკეობით მეჩეთში დადიოდა, ისმენდა ყურანის კითხვასა და ქადაგებებს, ხოლო მუსლიმი რელიგიური პირებისთვის ოქროსაც არ იშურებდა. დიდსულოვან მეფეს მოხეტიალე პოეტებისა და დერვიშებისთვის თავშესაფარიც აუგია. მუსლიმი ისტორიკოსის თქმით, დავით აღმაშენებელი „მეტ პატივს სცემდა მუსლიმებს, ვიდრე მათ პატივს მუსლიმი მბრძანებლები მიაგებდნენ“.

აღმაშენებლის დამოკიდებულებას პრაგმატული ხასიათიც ჰქონდა, — თუ თბილისი მუსლიმთაგან სრულიად დაიცლებოდა, ბუნებრივია, იმ უმნიშვნელოვანეს როლს დაკარგავდა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის საკაჭრო-სატრანზიტო დამაკავშირებლის სახით ასრულებდა.

აი, რას წერს არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი ქართველთა მიერ თბილისის აღების შესახებ: „გაუგზავნეს მოციქული ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზის და მოიხმეს იგი. ისიც გამოემართა დიდძალი ლაშქრით. თან ახლდა დუბაის იბნ სადაკა, მეფე არაბთა.

*აია სოფიას ტაძარი. სტამბოლი, XIX საუკუნის პირველი ნახევარი*

ილ-ღაზიმ ლაშქარი შეიყვანა (ქურჯთა ქვეყანაში) თრიალეთის გზით. სულთანი ტოღრულ ბეგი განჯის მხრიდან გაემზადა, ტუღან არსლან ალ-აჰდაბი დვინიდან გამოემართა, ნაჯმ ად-დინმა იქამდე იარა, ვიდრე მასა და თბილისს შორის არ დარჩა ნახევარი დღის გადასასვლელი მთა.

გამოვიდა მეფე დავითი და დასავლეთის მხრიდან მისი ძე დიმიტრი დიდძალი ლაშქრით, დაეშვა მათ წინააღმდეგ ამ მთიდან სწორედ მაშინ, როცა ისინი მთის ძირას იყვნენ და ჯერ კიდევ არ იყო მოსული არც სულთან ტოღრულ ბეგის, არც შამს ად-დავლა ალ-აჰდაბისა და მის თანმხლებთა ლაშქარი. ქურჯები და მუსლიმები სასტიკი ბრძოლით შეებრძოლნენ ერთმანეთს, და დამარცხდა ნაჯმ ად-დინი. დიდძალი ხალხი გაუჟლიტეს. ურჯულოებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი. ნაჯმ ად-დინი და დუბაისი მცირე რაზმით უკუიქცნენ. ტყვეებს რაც შეეხება, ისინი ჩვენს დრომდე ცხოვრობენ ქურჯების ქვეყანაში“...

მართალია, ისლამი თავისი არსით ყველა სხვა რელიგიისა და რელიგიური კულტის მოწინააღმდეგეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ, სადაც ეს რელიგია სუსტადაა განვითარებული, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა მუსლიმანურ რწმენასთან ერთად მისდევენ ადგილობრივ ღვთაებათა კულტისადმი თაყვანისცემასაც.

ქრისტიანობასთან ისლამის დამოკიდებულება ხშირად იყო უკომპრომისო და უნდა ითქვას, უმეტეს შემთხვევაში იგი გამარჯვებული გამოდიოდა. ამის საუკეთესო მაგალითია დღევანდელი აზერბაიჯანისა და თურქეთის უზარმაზარი სახელმწიფო, რომლებიც წარმოიქმნენ ქრისტიანი მოსახლეობის განდევნისა და განადგურების შემდგომ. დიდებული ქალაქი კონსტანტინოპოლი, ქრისტიანი იმპერატორის კონსტანტინე დიდის დაარსებული, სადაც აღმართულია სოფიის უმშვენიერესი ტაძარი და სადაც ოფიციალურად მიეცა მსოფლიოს ქრისტიანულ ეკლესიას დასაბამი, დღეს თურქების ერთ-ერთი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრია და იწოდება სტამბულად ანუ ისტამბულად. თვით ქრისტიანული ტაძარი კი ისლამურ მეჩეთად გადააკეთეს.

კონსტანტინოპოლის ასაღებად მუჰამედ II დიდხანს ემზადებოდა. ამ ქალაქის ჩრდილოეთით, ბოსფორის სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილას მან ციხესიმაგრე ააშენა, რომელსაც

*„მეჰმედ II-ის შესვლა კონსტანტინოპოლში“. ბენჟამინ კონსტანტი, 1876 წ.*

ბოგარ-ქელენი დაარქვა. ეს კი ნიშნავს „გამოჭერი ყელი“. იმპერატორმა კონსტანტინე XI-მ სულთანს მოციქულები მიუგზავნა პროტესტის ნიშნად. სულთანმა კი მათ განუცხადა: „მე შემიძლია გავაკეთო ის, რაც მომესურვება. ბოსფორის ორივე ნაპირი მე მეკუთვნის. აღმოსავლეთი იმიტომ, რომ იქ თურქები ცხოვრობენ, დასავლეთი კი იმიტომ, რომ თქვენ არ ძალგიძთ მისი დაცვა. გადაეცით თქვენს ხელმწიფეს, რომ თუ იგი მსგავსი თხოვნით კვლავ გაბედავს ჩემთან მოციქულის გამოგზავნას, მე ვბრძანებ, მას ტყავი ცოცხალს გააძრონ“.

კონსტანტინოპოლის დაცემას თვითმხილველი ბიზანტიელი მემატიანე გეორგიოს სფრანძისი აღწერს: „და აი, 29 მაისს (1453 წ.) მტერი დაეუფლა მთელ ქალაქს. იმათ, ვინც შეწყალებას ითხოვდა, თურქები ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ, ხოლო იმათ, ვინც წინააღმდეგობას უწევდა, ხოცავდნენ. ისმოდა მოთქმა და ტირილი უამრავი კეთილშობილი და წარჩინებული ქალისა, რომლებიც მონებად მიჰყავდათ. ღვთისადმი შეწირულ მონაზვნებს თმით შეუბრალებლად მიათრევდნენ ეკლესიებიდან, ბავშვები განწირული ხმით კიოდნენ. ოქრო-ვერცხლითა და პატიოსანი თვლებით შემკულ ხატებს თვალ-მარგალიტს აცლიდნენ, ფეხით თელავდნენ. სამღვდელმსახურო სამოსს — აბრეშუმსა და ოქრომკედით ნაქარგ ქსოვილებს ცხენებს აფარებდნენ, ზოგს კი სუფრის მაგივრად შლიდნენ. წმინდა ნაწილებს ფეხით თელავდნენ, მათ შემკულობას კი იტაცებდნენ. მიუწვდომელია, ქრისტე-მეუფევ, შენი მსჯავრი ჩვენზე! წმინდა სოფიოს დიდებული და ღვთაებრივი ტაძრის წმინდა სამსხვერპლო, სატრაპეზო და საკურთხეველი თურქებმა წაბილწეს — იქ ჭამდნენ, სვამდნენ და იქვე იკმაყოფილებდნენ თავიანთ გარყვნილ სურვილებს. ყველგან — საცხოვრებლებში, ქუჩებში, გზაჯვარედინებზე, ტაძრებში — მოთქმა და გოდება ისმოდა... ღმერთო, დაიცავი ყველა ქალაქი და ყველა ქვეყანა, რომელშიც ქრისტიანები ცხოვრობენ“.

იმავე მემატიანის ცნობით, იმპერატორმა კონსტანტინე XI-მ ასე მიმართა კონსტანტინოპოლის დამცველებს: „ძმებო, თქვენ უწყით ოთხი მიზეზი, რომელთა გამო ყველამ სიკვდილი უნდა ვამჯობინოთ სიცოცხლეს: პირველად, ჩვენი რწმენისა და ღირსების გამო; მეორედ — სამშობლოსთვის; მესამედ — ღვთის მიერ ცხებული მეფისა და მეოთხედ — ახლობლებისა და მეგობართათვის. თუკი ჩვენი ცოდვების გამო ღმერთი ურწმუნოთ მიანიჭებს გამარჯვებას, ჩვენ განსაცდელი უნდა ავიტანოთ ჩვენი წმინდა რწმენისთვის, რომლისთვისაც ქრისტემ სისხლი დაღვარა. თუ ჩვენ სულს წარვიწყმედთ, მაშინ რა სარგებელს მივიღებთ? მაშინ დავკარგავთ ჩვენს სახელოვან სამშობლოს, დავკარგავთ სახელმწიფოს, ოდესღაც ძლევამოსილს, დღეს შეჭირვებულს, დამცირებულს, ყველასგან გაკიცხულსა და მას ურწმუნო დაეუფლება, ჩვენ დავკარგავთ ჩვენს საყვარელ შვილებსა და ნათესავებს“.

გიორგიოს სფრანძისი ასევე შთამბეჭდავად გადმოგვცემს სიტყვას, რომლითაც მუჰამედ II-მ მიმართა თავის მებრძოლებს: „შვილებო! ალაჰის მიერ ზეშთაგონებულნო, მისი მოციქულის, მუჰამედისა და მეტადრე ჩემთვის, მისი მონისთვის საყვარელნო! გვეედრებით და

გთხოვთ, რომ დილით გააკეთოთ საქმე, ღირსი მარადიული ხსოვნისა, ისევე როგორც ამას აკეთებდნენ თქვენი წინაპრები, მამაცურად და ვაჟკაცურად. კიბეთა გამოყენებით ფრინველებივით უნდა შეფრინდეთ ქალაქის კედლებზე, რათა დიდება, რომელსაც მიაღწიეს ჩვენმა წინაპრებმა და რომელიც გვიბოძა ალაჰმა, არ დავკარგოთ. თუ ზოგიერთი თქვენგანი დაიღუპება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ომებში და როგორც ეს შეიძლება ეწეროს რომელიმე თქვენგანს, გაიხსენეთ, რას ამბობს ასეთებზე მოციქული: ასეთნი სამოთხეში მუჰამედთან ერთად შეექცევიან სასმელსა და საჭმელს, ბავშვებთან და ლამაზ ქალებთან განისვენებენ მწვანეში ჩაფლულ ყვავილოვან მდელოებზე და უმშვენიერეს ადგილებში განიბანებიან. და ეს ყველაფერი მათ ალაჰისგან მიეზღვებათ. ჩემგან კი, თუკი გავიმარჯვებთ, მთელ ჯარსა და სარდლებს, მათი მდგომარეობის მიხედვით, დღეიდან სიცოცხლის ბოლომდე მიეცემათ ჯამაგირი: იმასთან შეფარდებით, რაც თქვენ ახლა გაქვთ, ორჯერ გაგეზრდებათ, ხოლო ქალაქი სამი დღის განმავლობაში თქვენი იქნება“.

კონსტანტინოპოლელთა ბედი გაიზიარა კავკასიის ალბანეთის ქრისტიანულმა მოსახლეობამ. ტერიტორია, რომელზეც ახლა აზერბაიჯანის სახელმწიფოა განთავსებული, თავდაპირველად ალბანეთს ეკუთვნოდა, რომლის მოსახლეობა პირისაგან მიწისა აღგავეს ან ასიმილაცია მოახდინეს შუა აზიიდან დაძრულმა თურქმანული მოდგმის ტომებმა. ისლამმა ასევე სრული გამარჯვება მოიპოვა უძველეს ქრისტიანულ ქვეყნებში — სირიასა და ეგვიპტეში, მცირე აზიისა და აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში.

კავკასიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ისლამის გავრცელებამდე ქრისტიანულ აღმსარებლობას მისდევდა. ასევე იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სადაც ისლამი აღიარეს ბულგარელთა ნაწილმა და მაკედონიელების რამდენიმე ეთნოგრაფიულმა ჯგუფმა, ასევე ბოსნიელებმა და ალბანელებმა. საპირისპირო მოქმედება — მუსლიმანური სახელმწიფო ან ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფი მუსლიმანებისა ქრისტიანებად რომ ქცეულიყვნენ, ისტორიამ ძალიან ცოტა იცის, რაც უნდა აიხსნას მუსლიმანური რელიგიის პატრიარქალური ხასიათით, რელიგიის დოგმატიკისა და სარიტუალო პრაქტიკის სიადვილით.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედის მონაცემებით, მსოფლიოში მუსლიმანთა რაოდენობა 800 მილიონს აჭარბებს. მათ რიცხვში სუნიტები შეადგენენ 730 მილიონს, ხოლო შიიტები — 70 მილიონს.

**ელდარ ნადირაძე**

# საგზურამ

## მარჯორი უორდროპისა და არტურ ლაისტის მასპინძელი

*დიდმა საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძემ საგურამოს სახლი 1892-1895 წლებში ააშენა. თავდაპირველად აქ ორსართულიანი ფიცრული სახლი მდგარა. იაკობ მანსვეტაშვილმა ილიას მიანიშნა, რომ მომავალზე უნდა ეფიქრა და ახალი სახლი აეშენებინა, და რომ მისი მომავალი მთელი საქართველო იყო. ერის წინამძღოლმაც აღარ დააყოვნა და საშობლოსთვის „ქართული სულის სამჭედლო“ ააშენა.*

*არტურ ლაისტი*

*მარჯორი სკოტ უორდროპი*

საგურამოს სახლის ერთ-ერთი დანიშნულება სტუმრების მიღება გახლდათ. აქ თავს იყრიდა როგორც ქართველ ინტელექტუალთა დიდი ნაწილი, ასევე სტუმრები უცხოეთიდან. ილია შესანიშნავი მასპინძელი გახლდათ. მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ მის გაშლილ სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა და ღვინოც ხომ ყოველთვის შესანიშნავი ჰქონდაო.

სასადილო ოთახში დღესაც წარმოდგენილია ილიასეული ჭურჭლის კარადა, რომელშიც ინახება ილიასა და ოლღას კუთვნილი ჭურჭლის ის მცირე ნაწილი, რომელიც გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია, აგრეთვე გასაშლელი მაგიდა, რომელიც 24 კაცზეა გათვლილი. როგორც უკვე მოგახსენეთ, აქ უცხოელი სტუმრებიც მოდიოდნენ. ზოგიერთი მათგანი მოგვიანებით ილია ჭავჭავაძის გულითადი მეგობარი გახდა. მათ საქართველოს „უგვირგვინო მეფემ“ მისია დააკისრა, ქართული კულტურა, მწერლობა და პოეზია გაეცნოთ მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილისთვის. ამ სახლის ხშირი სტუმარი გახლდათ ინგლისელი მწერალი, ქალბატონი მარჯორი უორდროპი, რომელმაც შეისწავლა ქართული ენა, თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“.

1884 წლის პირველ ივნისს თბილისში სტუმრად ჩამოვიდა გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. ილიამ თავის სახლში მიიწვია ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად და საგანგებო სადილი გაუმართა. მწერალმა სიტყვით მიმართა სტუმარს: „დღეს ჩვენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი: უცხო და სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვიდან მოსულა, ხოლო სულითა და გულით

*ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის ნაქონი სალვინეები*

*მაგიდა მისაღებ ოთახში*

*ილიას ძალიან უყვარდა სტუმრებთან ნარდის თამაში*

ჩვენი მახლობელია, ჩვენი თვისიანია. ამიტომაც ორნაირათ სასიხარულოა მისი ჩვენს შორის ყოფნა. მაგრამ ჩვენ სხვა სიამოვნებაც უნდა მიგვიძღოდეს ამ შემთხვევაში: ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასიხარულოთ კისრად იდო შუა კაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენს გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენის ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაური და მესვეურნი არიან. პირუთვნელი სიტყვა ბატონის ლაისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბატონი ლაისტი“.

არტურ ლაისტის მეშვეობით გაიცნო ილია ჭავჭავაძემ თვალსაჩინო გერმანელი მეცნიერი, ორიენტალისტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ-ლემან-ჰაუპტი, რო-

მელიც 1898 წელს ჯერ თბილისში, შემდეგ საგურამოში ეწვია ილიას. მან 1910 წელს გერმანულ ჟურნალ Die Hilfe-ში გამოაქვეყნა მოგონება, რომელშიც მეცნიერი გულწრფელად აცხადებს: „ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტად მიიჩნეოდა თავისი ერის ბელადად და წინამძღოლად... ილია ჭავჭავაძე იყო ერთ პიროვნებაში განსახიერებული მწერალი, პოლიტიკოსი და ფინანსისტი. ამასთან იგი გახლდათ ბანკის თავმჯდომარე, სათავეში ედგა ეროვნული შეგნების გამაძლიერებელ გაზეთს „ივერიას“... მისი ჯმუხი აღნაგობა, მისი ღია ინტელიგენტური სახის ნაკვთები და მიმზიდველი ბუნება ჩემთვის სამუდამოდ დაუვიწყარია“.

ილიას მიზანი განხორციელდა, — ევროპელი საზოგადოებისთვის ქართული მწერლობა ხელმისაწვდომი გახდა. არტურ ლაისტმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გამოიცა დრეზდენსა და ლაიფციგში 1889 წელს. უფრო ადრე გერმანულ ენაზე შეადგინა ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელიც სათაურით „ქართველი პოეტები“ 1887 წელს დაიბეჭდა ლაიფციგში.

**ნიკოლოზ დორეული**

*არტურ ლაისტის ფოტო (ზემოთ მარცხნივ) ილიას მისაღებ ოთახში*

*უორდროპების ოჯახი სტუმრად საგურამოში ილია ჭავჭავაძესთან. ილიაობა. 1896 წლის 20 ივლისი*

# აუსტერლიცის ბრძოლა

*ჩეხეთში, დაბა აუსტერლიცთან 1805 წლის 2 დეკემბერს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, ერთი მხრივ რუსეთ-ავსტრიისა და მეორე მხრივ საფრანგეთის ჯარებს შორის. სამხედრო ისტორიკოსები ევგენი ტარლე, ალბერტ მანფრედი, დესმონდ სიუარდი, ნაპოლეონის ბიოგრაფიის სხვა მკვლევრები და თვით კრიტიკოსებიც კი ერთხმად აღიარებენ, რომ სწორედ ეს ბრძოლა იყო ნაპოლეონის სამხედრო კარიერის მწვერვალი. შეუსვენებელი მუშაობისა და დაკვირვების შედეგად შეიმუშავა მან გადამწყვეტი ბრძოლის ის განთქმული გეგმა, რომელმაც დიდებით შემოსა იგი და იმავდროულად, უბედურება მოუტანა მოკავშირეთა არმიას.*

1804 წლის 2 დეკემბერს საფრანგეთის იმპერატორად კურთხევის შემდეგ, ნაპოლეონის მთავარი ამოცანა საფრანგეთის უპირველესი მტრის, დიდი ბრიტანეთის განადგურება იყო. ამ მიზნით მისი ბრძანებით საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე, კერძოდ ბელონის, შერბურისა და სხვა ნავსადგურებთან დიდი სამხედრო შენაერთების თავმოყრა დაიწყეს, რათა ბრიტანეთის ტერიტორიაზე დესანტი გადაესხათ. მოვლენების ამგვარი განვითარება ინგლისელებს არ გამორჩენიათ და საპასუხო ზომების მიღებას შეუდგნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ინგლისს სახმელეთო არმია თითქმის არ ჰყავდა, რათა ფრანგებს უშუალოდ დაპირისპირებოდა, უდიდესი მონდომების წყალობით, მათ საფრანგეთის წინააღმდეგ რუსეთი და ავსტრია აამხედრეს. ნაპოლეონ-

*„ნაპოლეონი აუსტერლიცის ბრძოლაში“. ფრანსუა ჟერარი, 1810*

მა ვითარება შეაფასა და თავისი არმია სასწრაფოდ ლა-მანშის სრუტიდან ბავარიისკენ წაიყვანა. საფრანგეთის ჯარების გადაადგილება იმდენად სწრაფი იყო, რომ 1805 წლის 13 ნოემბერს ნაპოლეონი უკვე ავსტრიის დედაქალაქ ვენაში იყო. მოკავშირეები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ და ჩეხეთში, დაბა აუსტერლიცთან გამაგრდნენ. სწორედ აქ უნდა გამართულიყო ბრძოლა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ევროპის ისტორია.

მოკავშირეთა არმიის შტაბში იმყოფებოდნენ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი და ავსტრიის იმპერატორი ფრანცი. ბრძოლის ჟინი და წყურვილი იმდენად დიდი იყო, რომ შექმნილ ვითარებას რეალურად ვერ აფასებდნენ. პროფესორი ევგენი ტარლე თავის ნაშრომში „ნაპოლეონი“ აშკარად მიუთითებს, რომ ბრძოლის დაწყების წინ მოკავშირეთა შტაბში საგრძნობი უთანხმოება და განხეთქილებაც კი არსებობდა. არმიის გენერალიტეტის დიდი ნაწილი ბრძოლის გადადებასა და სასწრაფოდ უკან დახევას მოითხოვდა.

მოწინაღმდეგის რიგებში წარმოქმნილი უთანხმოების შესახებ ნაპოლეონმაც შეიტყო (ასეთი ამბებისთვის საჭირო ხალხი არასოდეს აკლდა). მოხერხებულმა კორსიკელმა დაუყოვნებლივ გადაწყვიტა, სწორედ ამ უთანხმებაზე ეთამაშა. მოკავშირეთა შეცდომაში შეყვანის მიზნით, მან რამდენიმე აქტიანი სპექტაკლი გაითამაშა. ამავე დროს, „მთავარმა რეჟისორმა“ წამყვანი მსახიობის როლიც შეითავსა. ისტორიკოს ალბერტ მანფრედის ცნობით, სცენარი ასეთი გახლდათ: მოკავშირეთა შეცდომაში შესაყვანად, მათ სარდლობას

*ნაპოლეონ ბონაპარტი ბრძოლის ველზე*

ხელთ უნდა ჩავარდნოდა ცნობები ფრანგების არმიაში შექმნილ „სიძნელეთა“ შესახებ — რომ ფრანგი ჯარისკაცები დაიღალნენ და დიდი დანაკარგი აქვთ.

ფარული ჩანაფიქრის აღსასრულებლად იმპერატორმა, პირველ რიგში, არმიას დაუყოვნებლივ შეჩერება უბრძანა და ახლო მიდამოებში დააბანაკა. ფრანგებთან დაუყოვნებლივ შეტაკების მომხრეებმაც ყური ცქვიტეს. ამასობაში მოკავშირეებს დამატებითი ძალებიც მოუვიდათ. ახალმა ძალებმა ახალი სული შთაბერეს ნაპოლეონთან გადამწყვეტი შერკინების აქტიურ მომხრეებს. ამას გარდა, საფრანგეთის იმპერატორმა ზოგიერთი შენაერთი უკან გააბრუნა, ვითომდაც დარღვეული საკომუნიკაციო ხაზების აღსადგენად. ფრანგთა ჯარის „დასუსტების“ შესახებ, ცხადია მაშინვე შეიტყვეს მოკავშირეთა შტაბში, თუმცა ნაპოლეონი არც ამით დაკმაყოფილდა და მოწინააღმდეგის ბანაკში თავისი წარმომადგენელი, გენერალი სავარი გააგზავნა. შეხვედრის მიზანი არ იმალებოდა, ნაპოლეონი დაზავებას სთხოვდა მოკავშირეებს.

რუსეთ-ავსტრიის სამხედრო შტაბში სიხარულისგან ლამის ცას ეწივნენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ნაპოლეონის ნაბიჯი აშკარად მეტყველებდა მის სისუსტეზე. თავის მხრივ იმპერატორმა ალექსანდრემაც

გადაწყვიტა, ფრანგებისთვის თავისი წარმომადგენელი, გენერალ-ადიუტანტი, თავადი პეტრე დოლგორუკოვი გაეგზავნა, რათა საკუთარი თვალით ენახა, რეალურად რა ხდებოდა ნაპოლეონის ბანაკში. მოვლენათა ამგვარი განვითარებაც ფრანგთა იმპერატორის გეგმებში შედიოდა. ნაპოლეონი მერე დიდხანს იცინოდა რუსი თავადიშვილის საქციელზე — ისე მელაპარაკებოდა, როგორც რუსთ ხელმწიფე საციმბიროდ გამზადებულ შერისხულ ბოიარსო.

ნაპოლეონი საკმაოდ თბილად შეხვდა რუსეთის იმპერატორის წარმომადგენელს და ყველანაირად შეეცადა დაერწმუნებინა, რომ მას ომის გაგრძელება აღარ სურდა. თავის მხრივ, დოლგორუკოვი საკმაოდ თავხედურად იქცეოდა, რასაც ნაპოლეონი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. საუბრის დასასრულს დოლგორუკოვმა ალექსანდრე პირველის მოთხოვნა წარუდგინა საფრანგეთის იმპერატორს. მოთხოვნა შოკის მომგვრელი იყო. ფრანგებს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინათ იტალია, რაინისპირეთი, ბელგია და ჰოლანდია. ამ მოთხოვნამ ნაპოლეონი „ღრმად ჩააფიქრა“, შეხვედრიდან არაფერი გამოვიდა. სინამდვილეში კი სწორედ ნაპოლეონისთვის გამოვიდა ყველაფერი. მან მთავარ მიზანს მიაღწია და მოწინააღმდეგე თავის „სისუსტეში“ დაარწმუნა.

თავადი დოლგორუკოვი საკუთარ ბანაკში კი არ მიდიოდა, მიფრინავდა. ისეთი სასიხარულო ამბავი მიჰქონდა თავისი იმპერატორისთვის, რომ წუთით დაგვიანებაც დანაშაულად მიაჩნდა. მის მიერ მიწოდებულმა ცნობამ დიდი ზარ-ზეიმი გამოიწვია მოკავშირეთა შტაბში და დაუყოვნებლივ სამხედრო გეგმის შემუშავებას შეუდგნენ. მათი განწყობა ზედმეტად იმედიანი იყო.

ისტორიკოსებს დღესაც აქვთ კითხვა — მაინც რას ემყარებოდა ამგვარი ოპტიმიზმი? უპირველეს ყოვლისა, საკუთარ რიცხობრივ უპირატესობას. უშუალოდ ბრძოლისთვის გამოყოფილი ფრანგული ჯარები საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ მოკავშირეებს რაოდენობით. მეორე მიზეზი ფრანგთა მთავარსარდლის უჩვეულო ორჭოფობა და დაბნეულობა იყო. ეს სინამდვილეს რამდენად შეესაბამებოდა, მოგვიანებით ნათლად გამოჩნდა. საბრძოლო წვრთნითა და გამოცდილებით პირიქით, ფრანგები აღემატებოდნენ მოწინაღმდეგეებს. ხოლო რაც შეეხება ჯარების ხელმძღვანელობას, როგორც იტყვიან, აქ შესადარებელიც არაფერია, იმდენად მაღლა იდგა ფრანგული მხარე. უბრალოდ რომ ვთქვათ, მათ ნაპოლეონი ჰყავდათ. ასე რომ, მოკავშირეთა ოპტიმიზმს, შეიძლება თამამად ითქვას, საფუძველი არცთუ მყარი ჰქონდა.

მოკავშირეთა შეცდომები, რასაკვირველია, ფრანგების წისქვილზე ასხამდა წყალს. თუ რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორები და მათი შტაბები ასე აპირებდნენ საკუთარი არმიის დაღუპვას, ნაპოლეონი უკანასკნელი იქნებოდა, ვინც ამ საქმეში ხელს შეუშლიდათ. მოწინააღმდეგე ანკესზე ჰყავდა წამოგებული და ახლა მთავარი იყო, მომაკვდინებელი დარტყმა მიეყენებინა.

*აუსტერლიცის ბრძოლის ეპიზოდი*

ბრძოლის წინა კვირა ნაპოლეონმა ველზე გაატარა. იმპერატორს არ დაუტოვებია არც ერთი გორაკი, რომ არ ასულიყო, და არც ერთი ღარტაფი, სადაც არ ჩასულიყო. ნოემბრის ნისლიანი და წვიმიანი ამინდის მიუხედავად, კორსიკელი არც თავს ზოგავდა და არც საკუთარ შტაბს.

გადამწყვეტი ბრძოლა 1805 წლის 2 დეკემბერს დაიწყო. ნაპოლეონმა გასაოცარი სიზუსტით ამოიცნო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი და საშინელი სიურპრიზიც მოუმზადა. ის შესანიშნავად ხვდებოდა, რომ 2 დეკემბრის გამარჯვება განსაკუთრებული იქნებოდა მისთვის, სავსებით განსაკუთრებული. ჯერ ერთი, ერთი წელიწადი გასულიყო მისი იმპერატორად კურთხევიდან. ეს ღირსშესანიშნავი სტატუსი მომავალ დიდ გამარჯვებას კიდევ უფრო დიდებულს გახდიდა. მეორე, მის წინ მოწინააღმდეგეც განსაკუთრებული იდგა. რუსეთისა და ავსტრიის ჯარები ორი იმპერატორის — ალექსანდრესა და ფრანცის მეთაურობით, სწორედაც განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენდნენ. ეს მემკვიდრეობითი მონარქები — რომანოვი და ჰაბსბურგი, ძველი და ბრწყინვალე დინასტიების წარმომადგენლები, თავს არ უყადრებდნენ საფრანგეთის ახალგამომცხვარ იმპერატორს, თავის სწორად არ მიიჩნევდნენ. ასე რომ, ნაპოლეონს პირადი ანგარიშიც ჰქონდა გასასწორებელი გვირგვინოსანი მეტოქეებისთვის. უნდა ეჩვენებინა, რომელს მეტი ფასი ედო — მის ძლევამოსილ მახვილს თუ მეტოქეთა დიდებულ წარმომავლობას.

ბრძოლა დილის 7 საათზე დაიწყო, როცა რუსებმა და ავსტრიელებმა ფრანგების მარცხენა ფლანგს შეუტიეს. ნაპოლეონმა ოსტატური მანევრებით მოკავშირეები ღრმად შეიტყუა ზურგში და დასუსტებულ ცენტრალურ დაჯგუფებას გაათმაგებული ძალებით შეუტია. ფრანგებმა საკმაოდ ადვილად დაიკავეს პრაცენის სიმაღლეები და მას შემდეგ, რაც იქ თავიანთი არტილერია განალაგეს, ზუსტი დამიზნებით მოკავშირეთა არმია ორად გახლიჩეს. პრაცენის სიმაღლეების დაბრუნების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. უკეთეს დღეში არც მოკავშირეთა მარჯვენა ფლანგი ჩავარდნილა. მათ უკვე ყოველი

მხრიდან დაუნდობლად ურტყამდნენ. უნგრელი ცხენოსნებისა და რუსი კავალერისტების თავგანწირულმა იერიშებმაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მოკავშირეებს ბრძოლა ყველა მიმართულებით უკვე წაგებული ჰქონდათ. ნაპოლეონის ერთ-ერთმა გენერალმა, გვარდიის კავალერიის სარდალმა ბესიერმა, რომელიც პირადად მონაწილეობდა რუს კავალერისტებთან ბრძოლაში, სიხარულისგან წამოიძახა: „გაგიხარიათ, ცრემლს ვადენთ პეტერბურგელ ლამაზმანებს!“ მოკავშირეთა არმია მთლიანად განადგურებული იყო. მათი დიდი ნაწილი გაყინულ ტბაში ჩაიძირა. არსებობს ცნობები, რომ ბევრი რუსი და ავსტრიელი ჯარისკაცი დაღუპვას ფრანგმა გვარდიელებმა გადაარჩინეს. გადარჩენილთა დასახმარებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა თვით ნაპოლეონიც.

მოკავშირეებმა იმ საბედისწერო დღეს 35 ათასი კაცი დაკარგეს, ხოლო ფრანგებმა — 9 ათასი. მაგრამ რუსებისა და ავსტრიელების ზარალი სინამდვილეში მეტი იყო. მათი ჯარისკაცების დიდი ნაწილი დაიფანტა და ამიტომ მოკავშირეთა თუნდაც დამარცხებულ, მაგრამ რაღაც ერთიან არმიაზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა. იმპერატორები ალექსანდრე და ფრანცი დიდი გაჭირვებით ძლივს გადაურჩნენ ტყვეობას. მოგვიანებით ნაპოლეონის ბიოგრაფი და მწერალი ანრი მარი ბეილი (სტენდალი) „ნაპოლეონის ცხოვრებაში“ სინანულით აღნიშნავდა და საყვედურობდა იმპერატორს, რომ მან ტყუილად დაინდო დამარცხებული მოწინააღმდეგე მონარქები...

ბრძოლის დამთავრებისთანავე, გვარდიის ოფიცრების დიდი ამალით გარშემორტყმული ნაპოლეონი დინჯად მიუყვებოდა აუსტერლიცის ველს და ახალდამთავრებული გრანდიოზული შერკინების ადგილს ათვალიერებდა. მის გვერდით იდგნენ მისი სახელგანთქმული მარშლები: დავუ, სულტი, ლანი, მიურატი, ბესიერი — მამაცი მეომრები და შესანიშნავი მხედართმთავრები. თავიანთ ჯარისკაცებთან ერთად მათაც თავი არ დაზოგეს ამ დღეს და ბრწყინვალე გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს.

**ანზორ დიხამინჯია**

*მხეცისა და ახალგაზრდა ქალის შერკინება*

# ჟევოდანის მხეცის საიდუმლოება

***1764-1767 წლებში სამხრეთ საფრანგეთის პროვინცია ჟევოდანში, მარჟერიდის ტყიან მთებში გამოჩნდა მანამდე არნახული მტაცებელი. იგი დაახლოებით 230 კაცს დაესხა თავს და 100-ზე მეტის სიცოცხლე იმსხვერპლა. მგლისმაგვარი ურჩხული ისტორიაში ჟევოდანის მხეცის სახელით შევიდა. მისი გამოჩენის ამბავი დღემდე ბურუსითაა მოცული.***

ეს ისტორია ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბით დაიწყო. 1764 წლის 1-ელ ივნისს სოფელ ლანგონელი გლეხი ქალი მერკუარის ტყეში ნახირს მწყემსავდა. უეცრად ძალიან დიდი სისწრაფით ტყიდან გამოვარდნილი მგლისმაგვარი მტაცებელი მას თავს დაესხა. სასოწარკვეთილი ქალის ყვირილი არავის ესმოდა. საბედნიეროდ, მწყემსს პირუტყვის საყარაულოდ ძაღლები ახლდა. ისინი მხეცს ეცნენ და ნახირის ხარებთან ერთად მტაცებელი დააფრთხეს. იგი ქალს მოშორდა და ისევე სწრაფად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

სოფელში დაბრუნებულმა მწყემსმა ქალმა თავდამსხმელი აღწერა. მისი თქმით, უცნაური მხეცი მგელს ჰგავდა, ოღონდ ხარის სიდიდის იყო. თანასოფლელთაგან ბევრმა არც დაიჯერა მონათხრობი. ხალხის ნაწილი მიიჩნევდა, რომ განცდილი შიშის გამო ქალმა ჩვეულებრივი მგელი გაზვიადებულად აღწერა. იმჟამად ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს უჩვეულო მხეცის საზარელ თავდასხმათა მხოლოდ დასაწყისი იყო. ვერც იმას იფიქრებდნენ, რომ ამბავი გასცდებოდა მერკუარის ტყეს, ჟევოდანს და თვით მეფე ლუი XV-ის ყურამდეც მიაღწევდა.

მერკუარის ტყეში მომხდარი თავდასხმა თითქმის დავიწყებულიც იყო, როცა 30 ივნისს ლანგონის ახლომდებარე სოფელ იბაკთან უჩვეულო მხეცის საზარელ თავდასხმას 14 წლის გოგონა, ჟანა ბულე ემსხვერპლა. მხეცის თავდასხმები აგვისტოშიც გაგრძელდა, დაიღუპა ორი ბავშვი. სექტემბერ-ოქტომბერში მგლისმაგვარი მტაცებელი კიდევ თერთმეტ კაცს დაესხა თავს, მათ შორის იყო ადგილობრივი მარკიზის, დ'აპშეს ვაჟი. სიტუაცია მართლაც საგანგაშო იყო და კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. ლანგედოკის (ესაზღვრებოდა ჟევოდანს) სამხედრო გუბერნატორმა, გრაფმა დე მონკანმა 56-კაციანი დრაგუნთა რაზმი გაგზავნა ჟევოდანში მხეცის სალიკვიდაციოდ. ოპერაციას ხელმძღვანელობდა კაპიტანი ჟაკ დიუამელი. დრაგუნებმა რამდენიმე ალყა მო-

# სიახლე! ასეთი ვეფხისტყაოსანი ჯერ არ გინახავთ
## მთელი ეპოქა ერთ წიგნში

წიგნი მოიცავს:

- მოძრავ ჩანართებს
- ისტორიულ იარაღს
- ხელნაწერებს
- რუსთაველის ბიოგრაფიას
- ყველა დროის ცნობილ ილუსტრაციებს
- ვეფხისტყაოსნის მსოფლიო გამოცემებს
- 3D ქაჯეთის ციხეს

შეეხე
რუსთაველის
ეპოქის საგანძურს

ფასი:
24.99 ლ

ამბავდ მოთხრობილი
ვეფხისტყაოსანი
იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!

აწყვეს მხეცის დასაჭერად და ასამდე მგელიც დახოცეს, თუმცა ამ ღონისძიებამ შედეგი ვერ მოიტანა, ჟევოდანის მხეცი ვერ დაიჭირეს.

ოქტომბრის ბოლოსთვის მტაცებელი თითქმის ერთი თვით გაუჩინარდა. შემდეგ კი ორი მონადირე შემთხვევით გადაეყარა მას. მონადირეებმა მძიმედ დაჭრეს ჟევოდანის მხეცი, თუმცა მტაცებელმა მიმალვა მაინც მოახერხა. მდევრები სისხლის კვალს გაჰყვნენ, მაგრამ დაჭრილ მტაცებელს ვერ მიაკვლიეს. მალე მხეცი ისევ გამოჩნდა. ამჯერად მისი მსხვერპლი გახდა 70 წლის კატრინ ვალი.

1764 წლის განმავლობაში ჟევოდანის მიდამოებში მხეცის თავდასხმის შედეგად დასახიჩრებული არაერთი ცხედარი იპოვეს, უმეტეს შემთხვევაში ბავშვების, რომლებიც სრულიად დაუცველი იყვნენ მტაცებლის წინაშე. დაღუპულთა შორის მამაკაცები და ქალებიც ერივნენ. ყოველივე ამის შედეგად მთელი ჟევოდანის პროვინცია თანდათანობით პანიკამ მოიცვა. მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გასვლის ეშინოდა, მარტო სიარულს კი ყველა ერიდებოდა. უღრანი ტყეებით დაფარული მარჟერიდის მთებში ყველგან მხეცის გამოჩენას ელოდნენ.

მტაცებელმა 1764 წლის დეკემბერსა და 1765 წლის იანვარში თავდასხმებს მოუხშირა. მარტო იანვარში იგი 18-ჯერ დაესხა თავს მოსახლეობას, თუმცა საბედნიეროდ, ცალკეულ შემთხვევებში ხალხი მხეცის მოგერიებას ახერხებდა. 1764 წლის პარიზის „ლა გაზეტაში“ მხეცის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა: „იგი მგელზე გაცილებით მაღალი იყო, ხოლო თათებზე გრძელი ბრჭყალები ჰქონდა. მისი ბეწვი წითურია, თავი დიდი აქვს, სახე მწევარს მიუგავს, ყურები პატარა და სწორი აქვს, მისი მკერდი განიერი და რუხი ფერისაა, ზურგზე შავი ბეწვი გასდევს, ბასრი კბილები აქვს“....1764 წლის 6 ივნისს სენტ ჯეიმსის ქრონიკებში მხეცის შესახებ შემდეგი ვარაუდი გამოითქვა: „...როგორც ჩანს, ის არც მგელია, არც ვეფხვი და არც აფთარი. სავარაუდოდ, იგი ვეფხვისა და აფთრის ნაჯვარია, ახალი სახეობის წარმომადგენელი“.

საინტერესო ფაქტი მოხდა 1765 წლის 12 იანვარს. მხეცი თავს დაესხა 13 წლის ჟაკ პორტფესა და მის ექვს მეგობარს (ოთხი ბიჭი, ორი გოგონა). ბიჭები არ დაიბნენ და მხეცს ქვები და ჯოხები დაუშინეს. საბოლოო ჯამში ბავშვებმა მოახერხეს მტაცებლის მოგერიება. ამ შემთხვევის შესახებ ლუი XV-მ შეიტყო

*ჟევოდანის მხეცის ძგლი ოვერნის პროვინციაში*

და სიმამაცისთვის ბიჭებისთვის 300 ლივრის მიცემა ბრძანა, თავად პორტფეს კი სახელმწიფო ხარჯზე გაწვრთნა უწყალობა. თავდასხმები გრძელდებოდა. სამწუხარო ამბავი მოხდა 5 აპრილს, მტაცებელმა ოთხი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ჟევოდანში არსებულ პანიკასა და მხეცის თარეშის ამბავს ამჯერად თავად მეფემაც მიაქცია ყურადღება. ლუი XV-ის ბრძანებით, მხეცის გასანადგურებლად ჟევოდანში ჩავიდნენ გამოცდილი და პროფესიონალი ნორმანდიელი მონადირეები: ჟან-შარლ-მარკ-ანტუან ვომესლ დიუნევალი და მისი შვილი — ჟან-ფრანსუა დიუნევალი. დიუნევალი-მამა იმ დროის საფრანგეთში საუკეთესო მონადირედ ითვლებოდა, მას დაახლოებით 1000-ზე მეტი მგელი ჰყავდა მოკლული. მონადირეები 17 თებერვალს ჩავიდნენ კლერმონ-ფერანში და თან მგლებზე ნადირობაში გამოცდილი მწევრების დიდი ხროვა ჩამოიყვანეს. დიუნევალები რამდენიმე თვის განმავლობაში ნადირობდნენ ჟევოდანის მხეცზე. მათ მოაწყვეს არაერთი დიდი ალყა მგლების დასახოცად. მასშტაბური ღონისძიებების მიუხედავად, ჟევოდანის მხეცის დაჭერა ვერ მოხერხდა. ამ პერიოდშივე, მტაცებელი თავს დაესხა ახალგაზრდა მარი-ჟანა-ვალეს სოფელ პოლაკში. საბედნიეროდ, გოგონამ მოახერხა მხეცის მოგერიება. დიუნევალების ნადირობა უშედეგოდ სრულდებოდა. მხეცი სხვადასხვა ადგილას ახალ-ახალ თავდასხმას აწყობდა. ლუი XV-მ დიუვენალები შეცვალა სამეფო არკებუზის მტვირთველ, ნადირობის ლეიტენანტ ფრანსუა ანტუან დე ბოტერნით.

დე ბოტერნი ნელ-ნელა და საგულდაგულოდ ზვერავდა ტყეების თითოეულ მონაკვეთს. სამთვიანი ძიების შედეგად 1200-მდე მგელი დახოცეს. 20 სექტემბერს შაზის საბატოს სიახლოვეს მონადირეებმა და დე ბოტერნმა უჩვეულოდ დიდი ზომის მგელს მიაგნეს. ძაღლებმა დააფრთხეს იგი და ბუჩქნარიდან გამოდევნეს. დე ბოტერნმა ისროლა და მხარში დაჭრა მხეცი, ერთ-ერთმა მონადირემ კიდევ ესროლა გაქცეულ მგელს, თუმცა სანამ მონადირეები იარაღს ტენიდნენ, ნადირი პირდაპირ დე ბოტერნს ეძგერა. ამასობაში მონადირეებმა განმეორებით ესროლეს მხეცს და ამჯერად სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. დე ბოტერნი ბეწვზე გადარჩა.

მოკლული მგელი მართლაც ჩვეულებრივზე ორჯერ დიდი იყო, 1 მეტრი და 70 სანტი-

*საშინელი ამბებით „შთაგონებულმა“ არაერთმა მხატვარმა მიუძღვნა სისხლიან სცენებს თავისი ნახატები*

*მზეცის ფიტული ლუდოვიკო XV-ის კარზე გამოფინეს*

მეტრი სიგრძისა. იწონიდა 60 კილოგრამს. დე ბოტერნი დარწმუნებული იყო, რომ ჟევოდანის მხეცი მოკლა. მან მეფეს შემდეგი შინაარსის წერილი აახლა: „წინამდებარე მოხსენებაში, რომელიც დადასტრებულია ჩვენი ხელმოწერებით, ვაცხადებთ, რომ აქამდე არასდროს გვენახა ისეთი მგელი, რომელსაც მოკლულს შევადარებდით. აი, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეს სწორედ ის საშინელი მხეცია, რომელიც ესოდენ დიდ ზიანს აყენებდა ჩვენს სამეფოს“. მგლის მუცელში აღმოაჩინეს წითელი ქსოვილის ნარჩენები, რამაც გაამყარა ყველას აზრი, რომ დე ბოტერნმა სწორედ ჟევოდანის მხეცი მოკლა. მგლის ფიტული წარუდგინეს ლუი XV-ს ვერსალში, ხოლო ხალხში გმირად შერაცხილ დე ბოტერნს მეფემ ღირსეული ჯილდო უბოძა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მეფის გამოგზავნილმა დე ბოტერნმა ერთხელ და სამუდამოდ გაანადგურა ჟევოდანის მხეცი.

ხალხის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. 2 დეკემბერს ბესერ-სენტ-მარისთან მხეცი კვლავ გამოჩნდა და ორ მცირეწლოვან ბავშვს თავს დაესხა, ხოლო 10 დეკემბერს ორი ქალი ლაშამპთან მძიმედ დაასახიჩრა.

1766 წლის განმავლობაში მხეცის თავდასხმებმა კვლავ მუდმივი ხასიათი მიიღო. საზარელი შემთხვევა მოხდა 1-ელ ნოემბერს, სოფელ სუშერთან მხეცმა 12 წლის ჟან-პიერ ოლიე მოკლა. საერთო ჯამში 1765 წლის მიწურულსა და 1766 წლის განმავლობაში მხეცმა 41 თავდასხმა მოაწყო. ადგილობრივ მონადირეთა მუხლჩაუხრელი ძიებების მიუხედავად, მის კვალს ვერსად პოულობდნენ. მხეცი უკვე საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს ესხმოდა თავს ადამიანებს. ჟევოდანი პანიკამ მოიცვა. ხალხში უიმედობა სუფევდა. ვერც მეფის წარმოგზავნილ საუკეთესო მონადირეთა ძალისხმევამ და ვერც ადგილობრივთა მცდელობებმა შედეგი ვერ მოიტანეს. თითქოს საშველი არსაიდან ჩანდა. მხეცი მოუხელთებელი იყო.

1766 წლის 1-ელი ნოემბრიდან 1767 წლის 2 მარტამდე მხეცი აღარ გამოჩენილა. იგი თითქოს გაუჩინარდა და ძალებს იკრეფდა ახალი თავდასხმებისთვის. ჟევოდანი საშინელების მოლოდინში გაყუჩებულიყო. ასეც მოხდა. 1767 წლის მხოლოდ აპრილში მხეცმა ექვსი კაცი იმსხვერპლა. ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ თავდამსხმელის დაჭერა მოხერხდებოდა. ამჯერად საქმეს სათავეში ჩაუდგა გრაფი დ’აპშე.

*ჟევოდანის მხეცის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამოსახულება, შექმნილი თანამედროვის მიერ*

*ლეიტენანტი დე ბოტერნი კლავს ლეგენდარულ მგელს*

*XVIII საუკუნს გაფერადებული გრავიურა, სადაც გამოსახულია ქალზე თავდასხმა*

*ჟევოდანის მხეცის მუზეუმი სოგში*

მას პირადად უნდოდა შური ეძია მხეცზე შვილის დაღუპვის გამო. გრაფი არაერთ ალყას აწყობდა მარჟერიდის მთებში. მოულოდნელად, 1767 წლის 19 ივნისს დ'აპშესა და 300 მონადირის მიერ ალყაში მოქცეული მხეცი მოკლა ერთ-ერთმა მონადირემ — ჟან შასტელმა. გადმოცემის მიხედვით, ღრმად მორწმუნე შასტელმა თავისი თოფი ვერცხლის ტყვიებით დატენა და ნადირობის დროს ბიბლიაც ჰქონდა თან. მხეცის მრავალწლიან თავდასხმებს წერტილი დაესვა. მას შემდეგ ჟევოდანში მხეცი აღარ გამოჩენილა.

მადლიერმა ჟევოდანელებმა შასტელს 72 ლივრი მოუგროვეს ჯილდოდ. გახარებული ხალხი მოკლულ ცხოველს ქალაქიდან ქალაქში დაატარებდა, რათა ყველა დარწმუნებულიყო, რომ ჟევოდანის მხეცი მოკლეს და საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. ამჯერადაც მხეცის ფიტული ლუი XV-ს წარუდგინეს. თუმცა ნახელავი უხარისხო გამოდგა. ფიტული მალე გაიხრწნა და საშინელი სუნით შეწუხებულმა მეფემ იგი გადააგდებინა. მალევე გამოჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ჟევოდანის მხეცი ჯერ კიდევ ცოცხალია და რომ შასტელს იგი არ მოუკლავს. ასეა თუ ისე, 1767 წლის 19 ივნისის შემდეგ უჩვეულო მხეცის მასობრივი თავდასხმები შეწყდა.

თვითმხილველთა ჩვენებებით, ჟევოდანის მხეცი ასე გამოიყურებოდა: ძალიან ჰგავდა მგელს, სიდიდით ხარის ზომისა იყო, ჰქონდა განიერი მკერდი და ლომისმაგვარი გრძელი, ელასტიკური კუდი. წაგრძელებული სახით იგი მწევარს ჰგავდა, ჰქონდა მოგრძო წაწვეტებული ყურები და ხახიდან ამოშვერილი ეშვები. გადარჩენილთა უმრავლესობა მიუთითებდა, რომ მხეცი თვალში საცემი იყო მოყვითალოწითური, ხერხემლის დაყოლებაზე კი მუქი შავი ბეწვის გამო. ზოგი იმასაც იხსენებდა, რომ მხეცს ზურგსა და გვერდებზე კოპლები ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ჟევოდანის მხეცის თავდასხმის ტაქტიკა მეტად თავისებური იყო. იგი თავში ეძგერებოდა მსხვერპლს და ადამიანს სახეს უგლეჯდა. ასეთი თავდასხმა სხვა მხეცებისთვის უცხო იყო. ჩვეულებრივ, ჟევოდანის მხეცი უეცარი თავდასხმით მოქმედებდა. ბოლო დროს მხეცი ხშირად უკანა თათებზე ჰორიზონტალურად მდგომი, წინა თათებით სასიკვდილო დარტყმებს აყენებდა მსხვერპლს.

საინტერესოა, რომ მხეცი უყურადღებოდ ტოვებდა ნახირსა თუ სხვა პირუტყვს და უშუალოდ მწყემსს ესხმოდა თავს. 1764-1767 წლებში ჟევოდანში იმასაც ფიქრობდნენ, რომ თავდასხმებს რამდენიმე მგლისმაგვარი მხეცი მიმართავდა. ეს მოსაზრება არცთუ უსაფუძვლო იყო, თუ გავიხსენებთ მხეცის თავდასხმათა სიხშირესა და გეოგრაფიას. პანიკასა და ხალხის შიშს ისიც განაპირობებდა, რომ მხეცი არასდროს ეგებოდა მრავლად დაგებულ ხაფანგებში, არ ეკარებოდა ტყეში გაფანტულ მოწამლულ სატყუარას, თავს აღწევდა მონადირეთა ალყას. ყოველივე ეს აფიქრებინებდა მოსახლეობას, რომ იდუმალი მხეცი ინტელექტითაც გამოირჩეოდა.

მოკლული მხეცის გამოკვლევას სათავეში ჩაუდგა მეფის ნოტარიუსი, მას რამდენიმე გამოცდილი ექიმი ეხმარებოდა. ჟან შასტელის მიერ მოკლული მხეცი 99 სანტიმეტრი სიგრძისა იყო (საინტერესოა, რომ იგი თითქმის 70 სანტიმეტრით პატარაც კი იყო 1765 წელს დე ბოტერნის მიერ მოკლულ იმ მგელზე, რომელიც შეცდომით ეგონათ ჟევოდანის მხეცი). მხეცს ჰქონდა არაპროპორციულად დიდი თავი, მკვეთრად წინ გამოწეული სახე, ბასრი გრძელი ეშვები და გრძელი წინა კიდურები. მხეცს ერთი უცნაურობაც აღენიშნებოდა, ექიმებმა დათვალიერების შედეგად მესამე ქუთუთო, ერთგვარი თხელი მემბრანა დააფიქსირეს. ბეწვი იყო ძალიან სქელი, მონაცრისფრო-წითური, რამდენიმე შავი ზოლით. გაკვეთის შედეგად მუცელში პატარა გოგონას ძვლები აღმოაჩინეს. მხეცის ლეში ნახეს მის თავდასხმას გადარჩენილმა თვითმხილველებმა. მათ დაადასტურეს, რომ შასტელის მიერ მოკლული ცხოველი სწორედ ჟევოდანის მტაცებელი იყო.

1764-1767 წლებში, ვიდრე მხეცი ცოცხალი იყო, მის შესახებ მრავალი მოსაზრება ვრცელდებოდა. ერთნი მას მაქციად მიიჩნევდნენ, მეორენი — დემონად, ზოგის აზრით ეს ღვთის რისხვა იყო მომრავლებული ცოდვების გამო. მხეცთან დაკავშირებით გამოთქმულ ვერსიათა შორის დღემდე საკმაოდ საინტერესოდ ჩანს მხეცისა და ანტუან შასტელის (ჟან შასტელის უმცროსი ვაჟი) ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ანტუანმა მრავალი წელიწადი გაატარა აფრიკაში. სამშობლოში დაბრუნებული, ჟევოდანში დასახლდა და განმარტოებით, ტყის სიღრმეში ცხოვრობდა. 1767 წლის შემდეგ მთელი რიგი ფაქტების ანალიზის შედეგად გაჩნდა საკმაოდ არგუმენტი-

*ჟან შასტელის სტელა სოფელ ბესერ-სენტ-მარიში*

რებული ეჭვი, რომ ანტუანი აფრიკიდან ჩამოყვანილ მხეცს (ლეოპარდი ან აფთარი) წვრთნიდა ხალხზე სანადიროდ. როცა მამამისმა მხეცი მოკლა, ანტუანი უკვალოდ გაქრა და ჟევოდანში აღარ უნახავთ. ეს თეორია ბოლომდე ვერ დადასტურდა, თუმცა მას დღესაც მრავალი მკვლევარი უჭერს მხარს. ყოველ შემთხვევაში, ვერ დადგინდა, რა სახის მტაცებელთან ჰქონდათ საქმე. ლეშის ირგვლივ კიდევ უფრო მეტი ვერსია გამოითქვა. მას მიიჩნევდნენ უბრალოდ დიდი ზომის მგლად, აფთრად, მგლისა და ძაღლის ჰიბრიდად, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლად. ყოველივე ეს მხოლოდ ჰიპოთეზები იყო. თანამედროვე პერიოდშიც კრიპტოზოოლოგებისთვის ჟევოდანის მხეცი კვლავ გამოცანად რჩება. მეცნიერთა ერთ-ერთი ვარაუდით, მხეცი შესაძლოა ყოფილიყო რელიქტური (ძველი ეპოქის გადმონაშთის სახით არსებული) ცხოველიც. არსებობს სხვა ვერსიებიც, თუმცა დანამდვილებით არავინ იცის, რა მტაცებელი ატერორებდა ჟევოდანს თითქმის ორსაუკუნე-ნახევრის წინ.

**მიხეილ ბარნოვი**

# ბალთაზარ კოსა

*1958 წელს პაპის ტახტზე ასული კარდინალი რონკალი იოანე XXIII-დ შერაცხეს. კათოლიკური ეკლესიის ახალმა მეთაურმა საგანგებოდ აირჩია სახელი იოანე, ნუმერაციით ოცდამესამე, რათა ხაზი გაესვა იმ პაპის არჩევისა და მმართველობის უკანონობისთვის, რომელიც იმავე სახელს ატარებდა XV საუკუნის დასაწყისში.*
*რელიგიის ისტორიაში ბევრია სამარცხვინო ფურცელი, რაც არა თვით რომელიმე რელიგიის, არამედ მის მიმდევართა „დამსახურებაა“. რელიგიათა უმეტესობას საერთო არაფერი აქვს ძალადობა და სხვა სახის ბოროტებასთან, თუმცა საუკუნეთა განმავლობაში სარწმუნოებას ათასგვარი ბოროტმოქმედების გასამართლებლად იყენებდნენ.*

XIV საუკუნე დასავლეთის ეკლესიისთვის ძალიან რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა აღმოჩნდა. რომის პაპები, რომელთა ძალაუფლებამ XI-XIII საუკუნეებში პიკს მიაღწია (საკმარისია გავიხსენოთ გრიგოლ VII, ინოკენტი III, ალექსანდრე III და სხვ.), XIV საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ხელისუფლების ძლიერი გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. კონფლიქტი, რომელიც რომის პაპ ბონიფაციუს VIII-სა (1294-1303) და საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზს (1285-1314) შორის წარმოიშვა, ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. რომის პაპები მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში (1308-1378) ე.წ. ავინიონის ტყვეობაში აღმოჩნდნენ. პაპების რეზიდენცია საფრანგეთის ქალაქ ავინიონში გადავიდა, სადაც რომის ეკლესიის მეთაურები საფრანგეთის მეფის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ მდგომარეობამ ძალიან დასცა პაპების ავტორიტეტი. გარდა ამისა, XIV საუკუნეში პაპობა სხვა სიძნელეთა წინაშეც აღმოჩნდა: 1378 წლის დიდი განხეთქილება ეკლესიაში, დაპირისპირება ამბიციურ და ძალაუფლებისმოყვარე იტალიელ ფეოდალებთან, არეულობა პაპის ოლქში — ცენტრალური იტალიის თეოკრატიულ სახელმწიფოში, სამღვდელო პირთა ზნეობრივი მდგომარეობის გაუარესება და სხვ. კონსტანცის (1414-1418 წწ.), ბაზელისა (1431-1448 წწ.) და ფერარა-ფლორენციის (1438-1439 წწ.) კრებებმა საბოლოოდ ვერ გადაჭრეს ეკლესიის წინაშე არსებული სირთულეები. აღსანიშნავია, რომ ბოლო კრებაში, სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად, ქართული სამღვდელოებაც მონაწილეობდა. ასეთ ვითარებაში მოხვდა პონტიფექსის (უზენაესი ქურუმის) ტახტზე სახელგანთქმული მოძალადე და ბოროტმოქმედი ბალთაზარ კოსა.

კოსების გვარი რომაელ პატრიციუსთა შთამომავლად ითვლებოდა. შემდეგში ამ გვარის წარმომადგენლებმა ბელანტეს გრაფობა მიიღეს (მიწებს ფლობდნენ ნეოპოლის ყურესთან ახლოს). თუმცა XIV საუკუნის ბო-

ლოს გვარი გაღატაკდა და მისმა წარმომადგენლებმა შემოსავლის სხვა წყარო გაიჩინეს (მაგალითად, მეკობრეობა).

ბალთაზარის უფროსი ძმა გასპარი მეკობრე იყო და თავდაპირველად პატარა ძმის ამ საქმეში ჩართვა სულაც არ სურდა, რადგან მისი შესაძლებლობების არ სჯეროდა, მაგრამ უმცროსმა ბალთაზარმა მალევე გამოავლინა საჭირო „უნარ-ჩვევები“ და შესაბამისად, გასპარის გვერდით აღმოჩნდა. ახალგაზრდა მეკობრე მრავალ ყაჩაღობაში მონაწილეობდა ზღვასა თუ ხმელეთზე, გამბედაობითა და დაუნდობლობით გამოირჩეოდა, თან საყვარლებს ლამის ყოველდღე იცვლიდა. მოგვიანებით კი დედის რჩევით, რაც უნდა გასაკვირი იყოს, უკვე სახელგანთქმულმა ყაჩაღმა, მეკობრემ და მექალთანემ ბოლონიის უნივერსიტეტში, თეოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა. გაოცებას იწვევს ისიც, რომ ბალთაზარი ფაკულტეტზე ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა, თუმცა სწავლის დროსაც არ ეშვებოდა სახიფათო თავგადასავლებსა და სასიყვარულო ურთიერთობებს. ის ყველა დაკეტილ კარს მიღმა აღწევდა, მისთვის არანაირი დაბრკოლება არ არსებობდა და მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა.

ბოლონიაში ახალგაზრდა ბალთაზარმა 1385 წელს მოულოდნელი შემთხვევის წყალობით გაიცნო მშვენიერი ახალგაზრდა ქალი იანდრა, რომელიც მაგიითა და მკითხაობით იყო სახელგანთქმული. ამ საქმიანობას კი ეკლესია სასტიკად კრძალავდა. მკითხაობაში, კუდიანობასა და ჯადოქრობაში მხილებულთ ინკვიზიცია ასამართლებდა და უმრავლეს შემთხვევაში კოცონზე წვავდა. იანდრა დროებით (ძლიერი მფარველების წყალობით) ინკვიზიციის მარწუხებისგან თავის დაღწევას ახერხებდა, მაგრამ მშვიდი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. ბალთაზარი და იანდრა ინკვიზიციამ დააპატიმრა (დაპატიმრებისას ბალთაზარმა ინკვიზიციის ორი მსახური სიცოცხლეს გამოასალმა). ახალგაზრდა საყვარლები თვით იტალიის დიდმა ინკვიზიტორმა დაკითხა. ორივეს პატიმრობა და შემდეგ კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. ბალთაზარმა (რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში წარმოუდგენლად უმართლებდა) ყოფილი საყვარლის წყალობით ციხიდან თავის დაღწევა შეძლო, შემდეგ კი იმდენი მოახერხა, რომ რამდენიმე ათეული მეკობრის ხელშეწყობით საპატიმრო შტურმით აიღო, იანდრა ციხიდან გაათავისუფლა და ქალაქი სასწრაფოდ და-

*რომი, ვატიკანი, მოედანი წმინდა პეტრეს ტაძრის წინ*

ტოვა. ამის შემდეგ კოსა რამდენიმე წლის განმავლობაში ხმელთაშუა ზღვაში დათარეშობდა, მეკობრეობდა, ვაჭრობდა ადამიანებით (ქრისტიანებითა და მუსლიმანებით, თეთრკანიანებითა და შავკანიანებით), რითაც დიდი ქონების დაგროვება შესძლო, თუმცა მის „კარიერაზე“ ერთმა მნიშვნელოვანმა შემთხვევამ იქონია გავლენა.

კუნძულ ლამპედუზაზე (სიცილიის სამხრეთით) არსებობდა გამოქვაბული, რომელსაც ქრისტიანი და მუსლიმანი მეკობრენი (ისინი თავს მორწმუნეებად მიიჩნევდნენ) სამლოცველოდ იყენებდნენ. კუნძული ნეიტრალურ ტერიტორიად მიიჩნეოდა. მეკობრეებს სამლოცველოში სხვადასხვა ძღვენი მოჰქონდათ და აქ ტოვებდნენ (ქრისტიანები ღვთისმშობლის ხატთან, ხოლო მუსლიმანები — მუსლიმი წმინდანის საფლავზე). შესაწირისთვის ხელის ხლება მეკობრეთა კანონით სასტიკად იკრძალებოდა და ამ კანონს არც არღვევდნენ, მაგრამ ბალთაზარი აქაც ორიგინალურად მოიქცა. ნახა თუ არა უამრავი სიმდიდრე, თავის მეკობრეებს ყველაფერი გემზე ააზიდვინა, თვითონაც გემში ჩაჯდა და კუნძულიდან მაშინვე გაცურა. გემი საშინელ შტორმში მოყვა, ბალთაზარმა და მისმა თანამზრახველებმა აღთქმა დადეს, რომ თუკი გადარჩებოდნენ, აუცილებლად ეკლესიური ცხოვრების

*სხდომა კონსტანცის საკათედრო ტაძარში*

*პაპი ურბან VI*

გზას დაადგებოდნენ და სასულიერო პირები გახდებოდნენ.

ბალთაზარ კოსა იანდრასა და ეკიპაჟის რამდენიმე წევრთან ერთად მართლაც გადარჩა. ზღვამ ისინი ერთ-ერთ კუნძულზე გარიყა. იქაურმა მოსახლეობამ სახელგანთქმული ბოროტმოქმედი იცნო. ადგილობრივებმა გადარჩენილებს ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი მეზობელ ქალაქში გაგზავნეს მართლმსაჯულების აღსასრულებლად. ქალაქში ბოროტმოქმედები ციხეში გამოკეტეს, მაგრამ ბალთაზარს აქაც გაუმართლა. იმჟამად იმავე ქალაქში იმყოფებოდა რომის პაპი ურბან VI, რომელიც ავინიონელ პაპს ანათემას გადასცემდა და საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად თავგამოდებით იბრძოდა. იმხანად მას სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც პაპის გვარდიის ხელმძღვანელობას შეძლებდა. დიდხანს ძებნა არც დასჭირვებია, როცა შეიტყო, რომ ქალაქის საპატიმროში სახელგანთქმუ-

რძობდა ბოროტოქმედებათა დაუსრულებელ ჯაჭვს (მკვლელობები, წამება, გაუპატიურება, მომხვეჭელობა და სხვ.). დღისით ის უამრავ ქალთან აბამდა სასიყვარულო ურთიერთობას, ღამით კი ძველ საყვარელთან, იანდრასთან მიდიოდა. მის მიერ გაუპატიურებულ მონაზონთა და საყვარელთა რიცხვი ზოგი ცნობით რამდენიმე ასეულს აღწევდა.

კარდინალმა კოსამ 1403 წლისთვის შესანიშნავი პოლიტიკური ალღოსა და დიპლომატიის წყალობით რომის პაპის ტახტს ბოლონია, პერუჯა და ასიზი დაუმორჩილა. 1406 წელს გარდაიცვალა ბონიფაციუსის მემკვიდრე კლიმენტი VII (ზოგის ვარაუდით კოსამ მოწამლა, რაც ამ უკანასკნელს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა) და ტახტზე ყოვლისშემძლე კარდინალის „კურთხევით“ გრიგოლ XII ავიდა. მალე კარდინალს ურთიერთობა ამ პაპთანაც გაუფუჭდა. 1409 წელს პაპი (რასაკვირველია, ბალთაზარის ხელდასხმით) გახდა ალექსანდრე V (წარმომავლობით ბერძენი). 1410 წელს ალექსანდრე გარდაიცვალა (ამავე წელს ბალთაზარმა ყოფილი საყვარელი იანდრა მოწამლა, რადგან ამ უკანასკნელმა კოსას ახალ საყვარელს მკვლელები მიუგზავნა). 1410 წლის 17 მაისს შეიკრიბა ბალთაზარისგან მოსყიდულ კარდინალთა კონკლავი, რომელმაც გავლენიანი კოსა კარდინალი ახალ

*ფრიდრიხ ავსტრიელი*

ლი ბალთაზარ კოსა იმყოფებოდა. პაპმა მას გვარდიის ხელმძღვანელობა შესთავაზა. ბალთაზარმა პაპს უთხრა, რომ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მიზეზი მხოლოდ „უმეცრება“ იყო და ახლა ის ყველაფერს გააკეთებდა, რაც მის უწმინდესობას გაახარებდა.

კოსამ „შეასრულა“ თავისი დანაპირები და „ეკლესიური ცხოვრება“ დაიწყო, რაც ძირითადად პაპის მოწინააღმდეგეთა წამებით, მკვლელობებითა და ინტრიგების ხლართვით გამოიხატებოდა. შემდეგ კოსა უკვე ახალი პაპის, ბონიფაციუს IX-ის მარჯვენა ხელად იქცა (პონტიფექსმა ბალთაზარი მთავარდიაკვნად აკურთხა). ახალი პაპი დიდი სწავლა-განათლებით არ გამოირჩეოდა, ამიტომ მის სანაცვლოდ თითქმის ყველაფერს ბოლონიის უნივერსიტეტში განათლებამიღებული მთავარდიაკვანი ასრულებდა. 1402 წლის 27 თებერვალს ბალთაზარმა კარდინალის ხარისხი მიიღო. ახალნაკურთხი კარდინალი განაგ-

პაპად აირჩია, სახელწოდებით იოანე XXIII.

კოსა განაგრძობდა ძველებურ საქმიანობას ახლა უკვე პაპის ტახტზე და პაპის მიტრის ქვეშ. მისმა სისასტიკემ და გარყვნილებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა (პაპს საკუთარ ქალიშვილსა და შვილიშვილთან ინცესტშიც ადანაშაულებდნენ). 1414 წელს კონსტანცაში დაიწყო კათოლიკეთა მორიგი მსოფლიო საეკლესიო კრება. კრებაზე განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო საკითხი, როგორიც არის საეკლესიო კრების ავტორიტეტის უზენაესობა პაპზე. კრებამ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო იოანეს გადაყენება და გასამართლება გადაწყვიტა. 1415 წლის 20 მარტს მეჯინიბედ გადაცმული პაპი რომიდან თავისი მოკავშირის, ფრიდრიხ ავსტრიელის სამფლობელოში, შაფჰაუზენში გაიქცა და იქიდან იმპერატორ სიგიზმუნდს წერილი მისწერა, რომელშიც თავს იმართლებდა. კრებამ პაპს ტახტზე უარის თქმა მოსთხოვა, მან კი სხვადასხვა პირობა წამოაყენა, როგორიცაა დიდი ფულადი კონპენსაცია, ინდულგენცია არა მარტო იმ ცოდვებისთვის, რაც წარსულში ჩაიდინა, არამედ იმისთვის, რასაც მომავალში ჩაიდენდა (და ასეთი ძალიან ბევრი და ძალიან მძიმე იქნებოდა) და სხვ. საპასუხოდ იმპერატორის ჯარები ფრიდრიხ ავსტრიელის სამფლობელოში შეიჭრნენ. ფრიდრიხმა და ბალთაზარმა თავს გაქცევით უშველეს.

კონსტანცის კრებამ პაპი იოანე XXIII საშინელი ბოროტმოქმედებებისთვის გაასამართლა და დამხობილად გამოაცხადა. 1415 წლის 17 მაისს ბალთაზარი ფრაიბურგში დააპატიმრეს, მალე შვეიცარიის ქალაქ ტურგაუში გადაიყვანეს, შემდეგ კი პაპ მარტინ V-ის მოთხოვნით — ქალაქ მანჰაიმში, საიდანაც ბალთაზარმა უზარმაზარი გამოსასყიდის ფასად თავის დახსნა და პაპისგან შენდობის მიღება მოახერხა...

კოსა სიცოცხლის ბოლომდე კარდინალად დარჩა. ის ფლორენციაში (სადაც თავის საყვარელთან ერთად ცხოვრობდა) გარდაიცვალა 1419 წლის 22 დეკემბერს. მოგვიანებით მის სამარეზე, ფლორენციის ბაპტისტერიუმში, კოზიმო მედიჩიმ დონატელოს სამლოცველო აღამართვინა. სამლოცველო დღემდეა შემორჩენილი. ბალთაზარის საფლავის წარწერა გვაუწყებს, რომ აქ არის დასაფლავებული პაპი იოანე XXIII.

ზოთა მათითაშვილი

*ანტიპაპ იოანე XIII (ბალთაზარ კოსას) საფლავი და მისი ზედა ნაწილი ახლო ხედით*

# ისტორიის საიდუმლოებებით მოცული ყველაზე საინტერესო ფაქტები!

## თვეში ერთხელ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

წიგნების ახალი სერია

**10 ტომად**

გაიგე, რის შესახებ დუმს ისტორია! მხოლოდ ის, რაც ბადებს შეკითხვას...

23-დან 30 ივლისამდე

წიგნის სპეციალური ფასი **9 ლარი**

გაზეთთან ერთად **10 ლარი**

შემდეგ წიგნში:

სტოუნჰენჯის პომპლექსი; უპანასკნელი დინოზავრები

## შეისწავლე კაცობრიობის ისტორიის უდიდესი საიდუმლოებანი!

# ჩოგბურთი — „გამეფებული მდაბიორი“

## ბრძელი გზა ჭუჭის თამაშიდან სამეფო სასახლეებამდე

*თანამედროვე ჩოგბურთის მამამთავრად დიდი ბრიტანეთის კავალერიის ოფიცერს, უოლტერ კლოპტონ უინგფილდს მიიჩნევენ, რომელმაც 1873 წელს ახალი თამაშის, სფერისტიკის (Sphairistike-ი ბერძნულად ნიშნავს — ითამაშე ბურთი) წესები გამოაქვეყნა. იმ დროისთვის უკვე არსებულ თამაშებზე (კორტ-ტენისზე, ბადმინტონზე, ფაიფსა და რეკეტზე) დაფუძნებულმა სფერისტიკამ პოპულარობა სწრაფად მოიპოვა და გამოგონებიდან ერთი წლის შემდეგ ოფიცერმა ის დააპატენტა კიდეც, როგორც ლაუნ-ტენისი.*

პირველი საჩოგბურთო ტურნირი 1877 წლის 9 ივნისს გაიმართა და მას შემდგომ უიმ-ბლდონი ეწოდა.

1896 წელს ჩოგბურთი ოლიმპიური თამა-შების პროგრამაში ჩართეს.

ამ სპორტის ისტორია სათავეს გაცილებით ადრეული დროიდან იღებს და მატიანე მის შე-სახებ ბევრ საინტერესო ამბავს გვამცნობს.

### ფინაპარი თამაშები

ცნობილმა იტალიელმა ფერმწერმა ჯოვა-ნი ბატისტა ტიეპოლომ ტილოზე „ჰიაცინტის სიკვდილი“ (1751) მარჯვენა დაბალ კუთხეში ჩოგანი და ბურთები გამოსახა. თქმა არ უნდა, ძველბერძნული მითური გმირი საჩოგბურთო ბატალიების გამო არ დაღუპულა. ის აპოლონს ბადროს ტყორცნაში ერკინებოდა, როცა და-სავლეთის ქარმა, ზეფირმა აპოლონის გასრო-ლილ ბადროს მიმართულება განზრახ შეუც-ვალა და ჰიაცინტი ბადროს თავში მოხვედრის-გან აღესრულა. ჩვენთვის საყურადღებო აქ ის არის, რომ იტალიელი ხელოვანი ჩოგბურთის უძველეს წარმოშობას უსვამს ხაზს.

მართლაც, ისტორიული წყაროებიდან ირ-კვევა, რომ თამაში პატარა ბურთით, რომელ-საც ხელისგულით, ტყავის ქამრით ანდა ხის დაფით ურტყამდნენ, ამერიკაში აცტეკებს, ევ-როპის კონტინენტზე კი ძველი საბერძნეთისა და რომის მცხოვრებთ გამორჩეულად იტაცებ-და. მსგავსი თამაშობანი იმართებოდა ძველ ასურეთში, ბაბილონში, ეგვიპტეში, სპარსეთსა და ჩინეთშიც.

*„ჰიაცინტის სიკვდილი“. ჯოვანი ბატისტა ტიეპოლო, 1752-1753*

*უოლტერ კლოპტონ უინგფილდმა ახალი თამაშის, სფერისტიკის წესები 1873 წელს გამოაქვეყნა*

რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ისტორიკოსებს სურდათ პირდაპირი კავშირი ეპოვათ ამ უძველეს თამაშებს შორის, მაგრამ დოკუმენტურ მტკიცებულებათა არარსებობის გამო, საკითხი ღია დარჩა. ისტორიკოსებს ისღა დარჩენიათ, რომ ივარაუდონ – ჩოგბურთის მსგავსმა უძველესმა თამაშობებმა თანამედროვე სახის მიღებამდე გრძელი ევოლუციური გზა განვლეს და მრავალი ტრასფორმაცია განიცადეს.

თუმცა მკვლევართა უმეტესობა მაინც ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ ჩოგბურთის წინაპარი თამაში საფრანგეთში, XI საუკუნეში იშვა და მას ჟე-დე-პომი (ფრანგ. Jeu de Paume — თამაში ხელისგულით) ერქვა.

თამაშისთვის განკუთვნილი ბურთები განსხვავებული ზომისა და წონის იყო. მის შიგთავსს ხისგან (მოგვიანებით კორპისგან) ამზადებდნენ, თმასა და ბეწვში ფუთავდნენ და შემდეგ გარედან ტყავს აკრავდნენ. არსებობს დოკუმენტური მტკიცებულება, რომ 1292 წელს პარიზში ბურთის „მკერავი“ ოცდაათი ოსტატი იყო. შედარებისთვის, საფრანგეთის დედაქალაქში იმხანად სულ რვა ბიბლიოთეკა არსებობდა.

თავდაპირველად პარიზელები თამაშს ვიწრო, ქვით მოკირწყლულ ქუჩებში ამჯობინებდნენ, რადგან სანახევროდ ხის მასალისგან დამზადებული ბურთი ასეთ ზედაპირზე უფრო კარგად დახტოდა. ამბობენ, რომ თამაშს გულშემატკივრები არასდროს აკლდა, რომლებიც ხმამაღლა და ემოციურად ქომაგობდნენ მოთამაშეებს.

სხვათა შორის, ჟე-დე-პომის მსგავსი თამაშობანი უკვე არსებობდა XII-XIV საუკუნეების იტალიაში („ჯიოკო დელა პალლა“ და „პალონე“), ინგლისში („გეიმ ოფ ფელმ“, „ტენესს“) და ესპანეთში („ლონგ-პომ“, „პილოტტა“).

## ქუჩიდან — მონასტრებსა და სასახლეებში

თუკი თავდაპირველად ჟე-დე-პომი მდაბიოთა საყვარელი გასართობი იყო, დროთა განმავლობაში მან ფრანგი სასულიერო პირების სულებიც დაატყვევა. მაგალითად, XII საუკუნით დათარიღებულ საეკლესიო ხელნაწერებში არსებობს აბატ კოჰარდის მიმართვა ფრანგული სამონასტრო საძმოსადმი. ის ახსენებს ორლეანში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომლის თანახმად, ეპისკოპოსი აღდგომამდე ერთი კვირით ადრე თავის მრევლს ასაჩუქრებდა,

*ჩოგბურთის სათამაშო კორტი უოლტერ უინგფილდის „სფერისტიკის“ პირველ გამოცემაში*

*ჟე-დე-პომის სათამაშო ჩოგნები XVIII საუკუნეში*

საპასუხოდ კი აღდგომა დღეს ახალი ჩოგნებისა და ბურთების კრებულს იღებდა.

დროთა განმავლობაში სამონასტრო გასართობი სამეფო ოჯახის წევრთა და მათ ქვეშევრდომთა შორისაც გავრცელდა. ინგლისელ მონარქთა განსაკუთრებული სიყვარულის გამო, თამაშს სამეფო ტენისად (Royal Tennis) მოიხსენიებდნენ, თუმცა ჩოგბურთში ტერმინი „სამეფო“ მაინც მეოცე საუკუნის შუა ხანებში დამკვიდრდა, რათა თამაშის ძველი ფორმა მოგვიანებით გამოჩენილი მსგავსი თამაშის — „რეალ-ტენისისგან“ განერჩიათ.

მეფეებსა და დიდებულებს, სტატუსის გამო, მდაბიოთა თანდასწრებით თამაში ეხამუშებოდათ და ალბათ ამიტომ, საჩოგბურთო მოედნების მოწყობა ციხე-დარბაზებში, თვალისგან მოფარებულ ადგილებში დაიწყეს. ასე გაჩნდა სასახლის კორტები ლუვრში, ფონტენბლოში, ამბუაზის ციხესიმაგრეში... დახურულ ნაგებობაში თამაში უკვე სიგრძე-სიგანეში შემოსაზღვრულ მოედანზე მიმდინარეობდა, მაშინ როცა, ქუჩის ჩოგბურთში მოედნის ზომებს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სავარაუდოდ, პირველი დახურული კორტი პუატიეში (საფრანგეთი) 1230 წელს აიგო, დანამდვილებით კი ცნობილია, რომ ვალენსიაში (ესპანეთი) საჩოგბურთო მოედანი 1285 წელს მოეწყო. დღეს მას მხოლოდ ქუჩის ძველი სახელწოდება გვახსენებს, რომელიც ასე ითარგმნება: საჩოგბურთო კორტის ჯენტლმენთა ქუჩა.

ჩოგბურთისადმი დიდებულთა დაინტერესებამ არა მხოლოდ დახურული კორტების შექმნა განაპირობა, არამედ ახალი სათამაშო ატრიბუტიკის გაჩენასაც შეუწყო ხელი. თანაც, მძიმე და უხეში ბურთის ხელისგულით კვრას სისხლის ჩაქცევები და მოტეხილობები გამუდმებით თან სდევდა. მეტიც, ისტორია საბედისწერო შემთხვევათა შესახებაც გვამცნობს, რაც ბურთის თავში მოხვედრით ყოფილა გამოწვეული. ყოველივე ეს კი არაფრად ეპიტნავებოდა ჩოგბურთის მოტრფიალე არისტოკრატიას, რომლის წარმომადგენლებმა ჯერ სპეციალური ტყავის ხელთათმანის გამოყენებით სცადეს ტრავმათა რისკის შემცირება, შემდეგ კი — ხელის მტევანზე წამოსაცმელი ხის ფარით.

რაც შეეხება ჩოგანს, მისი ფართოდ გამოყენება XVI საუკუნეში დაიწყეს, თუმცა პირველი ცნობები ბურთის საცემ ინვენტარზე გაცილებით ადრე, ჯეფრი ჩოსერის პოემაში (1380) გვხვდება.

*მკვლევართა უმეტესობის მოსაზრებით, ჩოგბურთის წინაპარი თამაში საფრანგეთში, XI საუკუნეში იშვა*

პირველი დახურული კორტი იტალიაში 1457 წელს, ბელრიგუარდოს რეზიდენციაში აიგო. 1490 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტებით კი ირკვევა, რომ ჩოგბურთის მსგავს თამაშს იქ „პალაკორდა“ (იტალ. palla — ბურთი, corda — თოკი) ერქვა. სახელწოდებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სათამაშო მოედანს უკვე თოკი ჰყოფდა (ბადის წინამორბედი).

სხვათა შორის, რომის პაპი იულიუს II ბურთით სათამაშო სახეობებს შორის ყველაზე სასარგებლოდ სწორედ „პალაკორდას“ ასახელებდა, რომელიც სავარაუდოდ XVI საუკუნის იტალიაში, ნადირობის შემდეგ, ყველაზე პოპულარული თავშესაქცევი უნდა ყოფილიყო.

*დიდებულებმა საჩოგბურთო მოედნების მოწყობა საკუთარ ციხე-დარბაზებში, მდაბიოთა თვალთაგან მოფარებულ ადგილებში დაიწყეს*

## ჩოგბურთი, როგორც დანაშაული

შუა საუკუნეების ჩოგბურთი მართლაც იყო ფრანგ, ინგლისელ, ესპანელ თუ იტალიელ დიდებულთა ერთ-ერთი უმთავრესი თავშესაქცევი, მაგრამ იმავდროულად, მის თამაშს უკრძალავდნენ რიგით მოქალაქეებს.

კაცმა რომ თქვას, მიზეზი მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა. თამაში ქალაქის ქუჩებში მოძრაობას აფერხებდა, გულშემატკივართა

*თანამედროვე ჩოგბურთის ისტორია 1874 წლიდან იწყება, როდესაც ინგლისელმა მაიორმა უოლტერ უინგფილდმა ლაუნ-ტენისის გამოგონებაზე პატენტი მიიღო*

ყიჟინა კი მოსახლეობას მყუდროებას ურღვევდა. თანაც, ჩოგბურთის გამო მოვაჭრეები ნაადრევად ტოვებდნენ ბაზრებს, მოსწავლე ახალგაზრდობა აცდენდა მეცადინეობებს, მღვდელმსახურები კი სამონასტრო განაწესს არღვევდნენ... ალბათ ამიტომ იყო, რომ ერთ ხანობას ქუჩის ჩოგბურთს ბრძოლაც გამოუცხადეს, თამაშის გამო აჯარიმებდნენ და ციხეშიც სვამდნენ.

ისტორიული წყაროებიდან ჩოგბურთზე რამდენიმე საინტერესო ფაქტის მოყვანა შეიძლება:

- მორმონტიეს (საფრანგეთი) მონასტრის კოლეჯის 1390 წელს დამტკიცებული წესდებით, მოსწავლეებს „...თამაშის უფლება მხოლოდ მასწავლებლის ნებართვით და ისიც იმ პირობით ეძლევათ, თუკი სხვებს ხელს არ შეუშლიან. თამაში მხოლოდ კოლეჯში, დახურულ სივრცეში შეიძლება“.
- 1397 წელს პარიზის მთავარმა მოსამართლემ ჩოგბურთის თამაში სამუშაო დღეებში აკრძალა და ის მხოლოდ უქმე დღეს – კვირას დაუშვა. „მოვაჭრენი და სხვა მოქალაქეები უგულებელყოფენ თავიანთ სამსახურებრივ და ოჯახურ მოვალეობებს, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოებრივ წესრიგზე“, — ასე ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას მოსამართლე.
- ქალაქ ლეიდენში (სამხრეთ ჰოლანდია) 1463 წელს ქალაქის თავებმა დაადგინეს, რომ ჩოგბურთის კორტები არ უნდა ყოფილიყო 40 იარდზე ახლოს ეკლესია-მონასტრებთან, ბრიუგეში (ბელგია) კი ჩოგბურთის მოედნების ქალაქის ცენტრში მოწყობა საერთოდ იკრძალებოდა.
- ინგლისში, ქალაქ ეკზეტერის ეპისკოპოსმა ედმუნდ ლიუსიმ 1452 წელს საგულისხმო მოხსენება დაწერა არქიეპისკოპოსის სახელზე: „მივიღეთ ცნობები, რომ მონასტრის საძმოს მრავალი წევრი ღვთისმშობლის ტაძრის ტერიტორიაზე ეშმაკეულ ჩოგბურთის თამაშში მონაწილეობს. თამაშობენ როგორც დღესასწაულებზე, ისე მარხვის დღეებში და ამით ღვთის სახლს ბაზრად აქცევენ. თამაშის დროს არ ერიდებიან როგორც უფლის სახელის ხსენებას, ისე ბილწსიტყვაობასა და წყევლას. ეს კანონსაწინააღმდეგო თამაშობა შეურაცხმყოფელია მორწმუნეთათვის, რომლებიც იქ სალოცავად მიდიან... მოგიწოდებთ, გაასამართლოთ და ეკლესიიდან მოკვეთოთ უღირსი მსახურნი“.

## „პროფესიონალიზაცია“

სამეფო კარზე ჩოგბურთს თუ ძირითადად დროის მოსაკლავად თამაშობდნენ, საზოგადოების დაბალ ფენებში გამოჩნდნენ მოთამაშეები, რომელთათვის ჩოგბურთი შეჯიბრება იყო

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი ფულის შოვნის საშუალება გახდა.

მართალია, შუა საუკუნეებში ჩოგბურთი წმინდა მამაკაცური საქმე იყო, მაგრამ შემორჩენილია საინტერესო ცნობები ახალგაზრდა ქალ მარგოზე, რომელმაც 1427 წელს პარიზში თავისი თამაშით ყველა მოხიბლა. თურმე, არცთუ ბევრ მამაკაცს შეძლებია შუა საუკუნეების ჩოგბურთის ამ ვარსკვლავის დამარცხება და რაც ყველაზე საინტერესოა, ენოს პროვინციიდან დედაქალაქში საასპარეზოდ ჩასულ 28 წლის ქალს თამაშით მოგებული საკმაოდ დიდი თანხა წაუღია შინ.

უკვე XVI საუკუნიდან საფრანგეთში საკმაოდ ბევრი მოთამაშე ყოფილა, რომელთათვის ჟე-დე-პომის თამაში საარსებო წყაროდ იყო ქცეული. 1527 წელს ფრანცისკ I-მა იმ ჩოგბურთელებისთვის, რომლებიც მეფის ხაზინაში გადასახადებს იხდიდნენ, დაამტკიცა ჟე-დე-პომის მოთამაშის პროფესია და პატენტი.

1616 წელს საფრანგეთში დაარსდა ჩოგბურთის ოსტატთა საზოგადოება, რომელშიც ჩოგნების, ბურთებისა და თამაშისთვის საჭირო სხვა ინვენტარის მწარმოებლებიც გაერთიანდნენ. ამ საზოგადოებას ჩოგბურთში ორგანიზაციულ-სამეწარმეო საქმიანობაში მონოპოლიური სტატუსი ჰქონდა. პატენტი მემკვიდრეობით გადადიოდა და შედეგად, არსებობდა ჩოგბურთელთა დინასტიები.

* * *

როდის და რატომ დაერქვა ჩოგბურთს ევროპაში ტენისი (Tennis)? ამ კითხვის ზუსტი პასუხი არ არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, ის ფრანგული სიტყვა ტენე-დან (tenir) მომდინარეობს, რაც ნიშნავს „დაიჭირეს“. თურმე ძველად ამ შეძახილით ხვდებოდნენ ბურთის მოწოდებისას მოწინააღმდეგეს.

*რეალ-ტენისის კორტი ნიუკასლში*

ასევე არ არსებობს ჩოგბურთში ანგარიშის სისტემის (ე.წ. თხუთმეტბალიანი) წარმოშობის ერთმნიშვნელოვანი ვერსია. ერთ-ერთი ვერსიით, 15-30-40(45)-60 სისტემა XIV საუკუნიდან მომდინარეობს, როცა საფრანგეთში ჟე-დე-პომს ფულზე თამაშობდნენ. იმდროინდელი სისტემით, მსხვილი ნომინალის მონეტა 60 ფულად ერთეულს შეადგენდა და ის ოთხ, თითო 15 ერთეულის ღირებულების მონეტად ხურდავდებოდა. მოგვიანებით, XIX საუკუნეში, ინგლისელებმა ანგარიშში 45 ქულის ნიშნული 40-მდე შეამცირეს.

**გელა უშარიძე**

# ᲛᲐᲡᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ...

**სამების დიდი ტაძრიდან გამოასვენეს. ვაჟკაცებმა ზარი თქვეს, სამრეკლოს ზარები აგუგუნდნენ... მზე იმ დღეს განსაკუთრებულად მცხუნვარე იყო, უკანასკნელად დაენათა ვაჟკაცს, რომელმაც მიუხედავად ახალგაზრდობისა, ღრმა და ნათელი კვალი დატოვა ქართული სულიერების სფეროში. მის მხრებს დიდი ტვირთი უტარებია — ქართველის ქართველად დარჩენის, გადარჩენის ტვირთი... მერე რა, რომ ამ საქმეს უხმაუროდ აკეთებდა, გულში მჯიღს არ იცემდა და არც ორატორობით იპყრობდა ყურადღებას... მისი წამოწყებითა და მონაწილეობით ბევრი საქმე დასრულებულა კეთილად — ისევ ქართული, საქართველოს სასახელოდ გამიზნული... ამიტომაც იმ დღეს საქართველო გლოვობდა გიორგი გარაყანიძეს, შვილს, რომელიც ერის მოჭირისუფლე იყო თავისი მრწამსით, საქმით, იდეალით.**

*გიორგი გარაყანიძე*

როცა სამების მძლავრ ტაძარს უკანასკნელ გზაზე მიმავალი ზარის თანხლებით შემოატარეს, უცებ ზღვარი გაქრა, დრო გაჩერდა... შორს მოჩანდა ლურჯი ზოლი თბილისს შემოჯარული მთებისა. ამ მშობლიური ლანდშაფტის სილბო მას ხომ ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ამ კაშკაშა მზის სინათლეს სულით ატარებდა. ვერც ერთი სიტყვა ვერ დაიტევდა მწუხარებას, ერთადერთი — ზარი, ტრადიციული ვაჟკაცური დატირება თუ შეეხმიანებოდა გიორგი გარაყანიძის გარდაცვალებით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს.

გიორგი (გიგი) გარაყანიძე — ფოლკლორისტი, მეცნიერი, ხელოვანი, უზადო ვაჟკაცი, კარგი ქართველი!

გიგი გარაყანიძე — ედიშერ გარაყანიძის მემკვიდრე და მისი გენის გამგრძელებელი...

მაინც, რა ბედისწერა ჰქონდათ მამასაც და შვილსაც! ედიშერ გარაყანიძე 41 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა... გიორგი — სულ 30 წლისა. მიუხედავად სააქაოს გატარებული მცირე დროისა, ორივემ მოახერხა და თავისი დასარგავი ხე დარგო, სახლი ააგო, თავისი გადასახდელი ომი გადაიხადა...

იმ გარაყანიძეების ჩამომავლები იყვნენ, ვისაც მეფემ ერთგულებისა და ვაჟკაცობისთვის სოფელი ბიწშენდი უბოძა, ზაქარია კათოლიკოსმა კი სვეტიცხოვლის მსახურებისთვის — სოფელი გალავანი. იქ დღემდეა შემორჩენილი მათი ოჯახის საგვარეულო ციხესიმაგრის ნაშთები და ძველი ეკლესია. დიდი პაპა — გიორგი ლუარსაბის ძე გარაყანიძე სამხედრო პირი იყო, პირველ მსოფლიო ომში დაეცა გმირულად. სიმღერა უბადლო სცოდნია... ამბობენ, როცა სანდრო კავსაძემ გიორგის ნამღერი მოისმინა, გვერდით გადგა: მე ნუ მთხოვთ მცხეთაში გუნდის ჩამოყალიბებას, თქვენ ისეთი ლოტბარი გყავთ, მასზე უკეთ ამას ვერავინ შეძლებსო.

უფროსი გიორგი გარაყანიძე ომში დაეცა... თუმცა მისი გენი არ დაკარგულა. მისმა შვილიშვილმა — ედიშერმა, და შვილიშვილის შვილმა — გიორგიმ პირნათლად ატარეს წინაპართა ღირსეული შთამომავლის სახელი...

კიდევ რამდენ საქმეს აღასრულებდა გიორგი გარაყანიძე, რომ დასცლოდა, კიდევ რამდენად გააძლიერებდა ქართულ ფესვსა და მისგან ამონაყარ მოსაფრთხილებელ შტოებს!

სოციალურ ქსელში, იქ, სადაც საკუთარი პორტრეტი უნდა ჰქონოდა წესით, უკანასკნელად თავისი წინაპრების ფოტო გამოაქვეყნა და ეს მართლაც იყო „გიგი გარაყანიძის პორტრეტი". მართალია, იშვიათად ხდება, კაცი საკუთარი ფესვისა და ძირის სახედ დარჩეს, არ შეირყვნას, არ აიმღვრეს, მაგრამ ფაქტია — გიგი გარაყანიძის შემთხვევაში ასე იყო.

მასში იმ ნერგმა იხარა, რომელიც ცალ ხელში ხმალმომარჯვებულმა და მეორე ხელით წიგნის მწერალმა წინაპარმა სათუთად დარგო. იხარა და ისე იმძლავრა, რომ ფესვი საუკუნოვან მუხასავით გაადგმევინა და სხვების საყრდენად აქცია.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს, საიდან მოდიხარ ამ ცხოვრებაში და რა მოგაქვს საგზლად. გიგის მამის, — ედიშერ გარაყანიძის ღირსებები მოჰქონდა საგზლად. ვახუშტი კოტეტიშვილი ამბობდა: „ედიშერ გარაყანიძე სანთელივით წმინდა კაცი იყო, ირგვლივ ნათლის მიმომფენელი. მისგან უხვად მოიფრქვეოდა ყველაფერი, რასაც კეთილშობილება, ოჯახიშვილობა და სულიერი არისტოკრატიზმი ჰქვია. ვახტანგ კოტეტიშვილის პერიფრაზა რომ მოვიშველიო, იგი თითქოს გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა თუ იოანე პეტრიწის ამალას იყო ჩამორჩენილი და ამიტომაც ჩვენს არეულ დროში თავს თითქოს ოდნავ უხერხულად გრძნობდა... ფოლკლორის ჩინებული მკვლევარი კი არ იყო მხოლოდ, არამედ თავად ბრძანდებოდა ქართული ხალხური სიმღერის გუთნისდედა".

ედიშერ გარაყანიძე გუთნისდედა იყო და თუმცა გიგიმ მამასთან ერთად ცხოვრების მხოლოდ 16 წელიწადი გაატარა, წელგამართული ედგა კვალში. ამიტომაც კარნახი არ სჭირდებოდა, სულში გაღვიძებული ქართველი სულ მცირე ასაკიდან ქართველობდა...

გიგი გარაყანიძე ყვებოდა: „14-15 წლის ვიყავი. მე, ჩემი და, ანი ნუცუბიძე და მისი ძმა ვიყავით იმერეთში. დიდი ბაკი იყო, იმაზე ვისხედით და ველს გადავყურებდით. ერთხელ შევნიშნეთ, კაცები თოხნიდნენ და დავიწყეთ თოხნურის სიმღერა. ისინი ყოველდღე გამოდიოდნენ სამუშაოდ. ჩვენ ყოველდღე აქედან სიმღერით ვეხმიანებოდით"...

მოსაყოლი კიდევ ბევრი ჰქონდა, მაგრამ ენამჭევრობას ერიდებოდა...

ქართული ტრადიციები, ქართული ფოლკლორი ისე ჰქონდა შესისხლხორცებული, ვეღარაფერი გამოჯნავდა მას და საქართველოს... სწორედ ამან მისცა ძალა, სხვებისთვისაც გადამდები გაეხადა საკუთარი მისწრაფება, მამამისის შემდეგ ბურჯად შედგომოდა „მთიებს"...

ანსამბლი „მთიები" და ფოლკლორული სტუდია „ამერ-იმერი" ედიშერ გარაყანიძემ დაარსა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავდა: „ედიშერ გარაყანიძე 1979 წელს 22 წლის ახალგაზრდა მოვიდა ეკლესიაში. მან სიონის საკათედრო ტაძრის გუნდში დაიწყო მოღვაწეობა, როგორც მგალობელმა, ასევე რეგენტმა და სიცოცხლის ბოლომდე აქ მსახურობდა. აღნიშნული პერიოდი იყო ერთ-ერთი ურთულესი მორწმუნეთათვის. ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ეკლესიაში მოსულ ყოველ კაცს, განსაკუთრებით ახალგაზრდა, ნიჭიერ ადამიანებს და მრავალ პრობლემას უქმნიდა მათ. ბატონმა ედიშერმა გაუძლო დროის გამოცდას და ამას-

*თავადი გიორგი გარაყანიძე, მისი მეუღლე ოლღა კოტეტიშვილი და ვაჟი გიორგი (გიგის პაპა)*

*ედიშერ გარაყანიძე ექსპედიციაში აჭარაში, 1985*

თან წარმოაჩინა თავი როგორც უნიჭიერესმა, პატრიოტმა პიროვნებამ. ხანმოკლე სიცოცხლე მან ქართულ ხალხურ ფოლკლორს, საეკლესიო საგალობელთა შესწავლასა და პირვანდელი სახით მათი აღდგენის საქმეს მოახმარა. მის მიერ დაარსებული ანსამბლი „მთიები“ და ფოლკლორული სტუდია „ამერ-იმერი“ საერთაშორისო დონის მეტად სერიოზულ განაცხადად იქცა, რომელმაც ეროვნული სულის აღორძინებას შეუწყო ხელი“.

„მთიებმა“ ოთხმოციან წლებში ალილოსა და ჭონას ტრადიციის აღდგენა დაიწყო.

შიდა ქართლში, სადაც ძალიან მძიმე ვითარება იყო, ედიშერ გარაყანიძემ ალილოზე ჩასვლა გადაწყვიტა. წავიდნენ „მთიების“ ბიჭები. ჩამოიარეს სოფელი. სამხედრო ნაწილთან მივიდნენ. ედიშერმა, — მოდი, აქაც ვიმღეროთო. იმღერეს ერთხელ, არავინ გამოიხედა, მეორედ, მესამედ... წავიდეთო, თქვეს ბიჭებმა. არა, არ არსებობს, ვინმე ქართველი არ მსახურობდეს აქ, აუცილებლად ვინმე გამოიხედავსო, — არ დანებდა ედიშერი. მართლაც, კიდევ ერთხელ გაისმა ალილო და ორმა ქართველმა გამოიხედა... ედიშერმა გადასცა სოფელში ალილოზე მოგროვილი საჩუქრები ჯარისკაცებს... ჭონაზე ან ალილოზე რომ ჩამოივლიდა, ცარიელ სახლებს არ გამოტოვებდა. მათთანაც ჩერდებოდა და უმღეროდა, — კერა მაინც იგრძნობსო.

ერთხელ გიორგი მთაში იყო ექსპედიციაში. ტყეში შეისვენა. ცხენოსანი შემოხვდა, გიორგიმ ჰკითხა, თქვენთან „ფერხისას“ თუ მღერიანო. მღერიანო, — ფშაველმა, — ეგა დაკარგული გვქონდა, გონებაში კი გვქონდა, მაგრამ არა ვმღეროდითო... ერთხელ ერთი უკანა ფშაველი კაცი ამოვიდა, იმან იმღერა და გაგვახსენაო. იმის მერე დღემდე ყოველ ხატობაზე ვმღერითო. აკადემიკოს ზურაბ კიკნაძეს ეს რომ მოუსმენია, გაღიმებია, ედიშერ გარაყანიძე იყო ის უკანა ფშაველი კაციო.

თუ საჭირო იქნებოდა, უკანა ფშავლები გახდებოდნენ, თუ საქმეს დასჭირდებოდა — ზემო იმერლები, ოღონდაც დაკარგული აღედგინათ და განა უბრალოდ სცენაზე გაეცოცხლებინათ, ყოფაში დაებრუნებინათ. საქართველოს შვილები იყვნენ და შორიდან კი არ შვილობდნენ, მის ოღრო-ჩოღრო გზებზე დაუღალავად დადიოდნენ, სუსხში — იყინებოდნენ, სიცხეში — შუბლი ეცვარებოდათ... სამშობლოს ავადობისას — სტკიოდათ, სიხარულისას — უხაროდათ.

დრო კი ორივეს ისეთი შეხვდა, ჭრილობა მეტი მოუტანა, ვიდრე სიამე, მაგრამ არ დაუწუწუნიათ: თუ საქართველო იქნებოდა „დაჭრილი“, მათაც სისხლმდინარე იარის ტარება ერჩიათ უზადოდ და განცხრომით ცხოვრებას. ღირსეული კაცი სამშობლოზე უკეთ ვერ იქნება!

საქმე, რაც ყველაზე მთავარი იყო, მათი მცდელობით, მათი დაუღალავი სიყვარულით კეთდებოდა...

ძნელად, მაგრამ ნელ-ნელა მაინც დაბრუნდა ქართული ადათები სოფლებში...

გიორგი თავისი დინჯი, მოზომილი ტემბრით მიამბობდა: „80-იან წლებში დაიწყო ედიშერმა სოფლებში ალილოზე სიარული და ახლა ალილო ყველამ იცის... იყო სტატია, სადაც ამ მცდელობაზე წერდნენ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. განიხილავდნენ, ექნებოდა თუ არა შედეგი ამ ტრადიციის შესრულებას... ცხადია, შედეგი აქვს. რომ დადიოდნენ ალილოზე, ჯერ იქაურებს უკვირდათ. მერე მოხუცებს ახსენდებოდათ ძველი დრო, ტიროდნენ... ახალგაზრდებმაც გაიგეს და ალილობა უკვე ცოცხალია“.

„მთიები“ დღესასწაულს დღესასწაულზე აწყობდა, არქაული დროიდან მოყოლებული დღემდე თუ რამე ენერგია არსებობს ქართულ ეთნოსში, მათ სიმღერაში კონცენტრირდებოდა, ერის მეხსიერებად ქცეული მოგვეწოდებოდა...

1998 წელს დიდი ტრაგედია მოხდა, ედიშერ გარაყანიძის ოჯახი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და მხოლოდ გიგი გადაურჩა სიკვდილს. დედ-მამა და და იმ ტრაგედიას შეეწი-

რა. გიგი გარაყანიძე 16 წლისა იყო, ოჯახის წევრები რომ დაკარგა... არ ვიცი, სად იპოვა იმ პატარა ბიჭმა ძალა, ასე მძლავრად, გააზრებულად აეღო ტვირთი თავის მხრებზე და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყოლოდა მამის გაკვალულ და ჯერ კიდევ გასაკვალავ რთულ გზას.

მანაც მამასავით მარტო საქართველოში კი არა, მის ფარგლებს გარეთაც გაიტანა ბრძოლა ქართული სულის დიდბუნებოვნებისა და უნიკალურობის აღიარებისთვის: ედიშერ გარაყანიძე წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ქართულ ფოლკლორზე კემბრიჯის, ედინბურგის, მარსელის, სორბონის, ჟენევის, კიოლნის, როტერდამისა და სხვა უნივერსიტეტებში... მამის შემდეგ უკვე გიორგის ხელმძღვანელობით „მთიები“ ბევრს მოგზაურობდა საქართველოს საზღვრებს გარეთ: მართავდა კონცერტებს, აწყობდა ქართული სიმღერის გაკვეთილებს, გახდა არაერთი საერთაშორისო (ვილნიუსის, კოპენჰაგენის, შტუტგარტის, მოსკოვის, ბასკეთის, ლვოვის) ფესტივალის ლაურეატი. ჯგუფის წევრები ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ლოუელის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს. აუცილებელი იყო, სხვებსაც გაეგოთ, ვინ ვართ ქართველები, საიდან მოვდივართ და რა მოგვაქვს გულით. ეს ნამდვილად შეძლეს.

ერთხელ გიგის ვკითხე, უცხოელებს როგორ ესმით ქართული ფოლკლორი-მეთქი. გაიღიმა: „ფოლკლორული კულტურა მათაც აქვთ. ცხადია, ბევრი რამ მათთვის ახალი და საინტერესოა ჩვენს ტრადიციებში... თუმცა ქართულ სიმღერებს ძალიან კარგად მღერიან, მათი მსოფლმხედველობა მაინც სხვაა... ყველაზე იოლად გასაგებ მაგალითს მოვიყვან. ჩვენმა ეთნომუსიკის თეატრმა განახორციელა წარმოდგენა — ქართული სუფრა თავისი წესებით. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია არ სრულდება ყველგან... ქართული სუფრის ტრადიციებში არსებობს თამადა, მერიქიფე, მოადგილე, გამრიგე, მატრაკვეცი... მატრაკვეცის არსებობა გეუცხოვათ? თამადაზე ვრცლად საუბარი არავის შეეძლო, მატრაკვეცის გარდა. სუფრას ალამაზებს და კრავს სიმღერა. დადგენილიც იყო ადრე, როდის რა უნდა ემღერათ. იმასაც ამბობდნენ, რომ XIX საუკუნემდე არ არსებობდა ქართული სუფრა. მაგალითად, არქანჯელო ლამბერტის აღწერა მოჰქონდათ. არადა, არქანჯელო ლამბერტი მართალია საუბრობს სუფრაზე, მაგრამ მას უბრალოდ არ ესმის მისი შინაარსი ბოლომდე... ევროპელს დღესაც არ ესმის ეს. ვერ ხვდება, რამდენს ვლაპარაკობთ და ვსვამთ სუფრასთან. სუფრის ანალოგიები ხეთის ეპოქაშიც არსებობდა.

კემბრიჯში, მათთან ერთად, ვისაც ქართულ სიმღერას ვასწავლიდი, სუფრასთან მოვხვდი. თამადა მე ვიყავი. ყოველ სადღეგრძელოს აყოლებდნენ ქართულ სიმღერას. ხანდახან, სადღეგრძელოს თქმისას, ვხვდებოდი, რომ რასაც ვამბობდი, მათთვის უცხო იყო და ვჩუმდებოდი. ეს ჩვენი მსოფლხედვაა... ჩვენია.

მათთვის ეს მუსიკაა, ჰარმონიაა, მაგრამ ცხოვრების წესი და აზროვნების სტილი მხოლოდ ჩვენთვისაა. როგორ ავუხსნა? მომყავს მაგალითი: მათთვის წითელია „რედ“. ჩვენთვის — წითელი. დაკვირდით ჟღერადობას... ენა

*ანსამბლ „მთიების“ შემსრულებელთა ერთი ჯგუფი*

*გიგი გარაყანიძე, ლადო ჭანია, ლუარსაბ ტოგონიძე*

ჩვენი მსოფლაღქმაა. ჩვენი წითელი იწვის, მეწამულიცაა და სისხლიც... ამას რომ ვეუბნები, ხვდებიან, რომ შენ — ქართველი სხვა ხარ. ამიტომაა სხვა შენი სიმღერა... ამას მარტივად ვერ გაითავისებ“.

აკი ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო...

ჩვენ სწორედ ჩვენი ცხოვრების წესს ვკარგავდით. მოგვწონდა ჰარმონია სცენიდან, მაგრამ ეს ჰარმონია უცხოტომელსაც ჰგვრიდა სიამოვნებას, საჭირო იყო მეტი: ქართული ფოლკლორის შემქმნელი ხალხის ხორცი ხორცთაგანი უნდა გავმხდარიყავით. ჯერ ედიშერმა და მერე გიორგი გარაყანიძემ ეს მოახერხეს...

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის საკმაოდ მძიმე, ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა, არ ჩაიმუხლა, ჯიშიანი ხარივით გასწია იმ მიწაზე, რომელსაც ოდნავდა ემჩნეოდა წინაპართა გავლებული ხნულის კვალი და სახნისი ბოლომდე გაიტანა. მარტო არ იყო. ეს იყო მთავარი, როცა ქართულ საქმეს აკეთებდა, ქართველების მხარს გრძნობდა მხრით. გვერდით ბიჭები და გოგონები ედგნენ — „მთიების“ ბიჭები და გოგონები, ანთებული სულებით...

ვაჟა-ფშაველა გაგახსენდებოდა მათ შემხედვარეს: — ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებო... ბუბუნებდნენ ქართველები.

14 ივნისს სამების ტაძრიდან გამოასვენეს. მის ცხედარს მოჰყვებოდნენ ქედდაჩეხილი, გულგაგლეჯილი ქართველები, მისი ბიჭები: მოქართულეები და საქართულოდ მომართულები. „მასში იყო საქართველო და ის იყო საქართველოშიო“, — მოსწერა სამძიმრის წერილში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ გიორგი გარაყანიძის ოჯახს.

გიორგი გარაყანიძის მოულოდნელმა აღსასრულმა თავზარი დაგვცა, მაგრამ ამ დასასრულთან ერთად იწყება დიდი ეპოპეა უკვე უხორცო, სულიერ საქართველოდ ყოფნისა...

სააქაოს კი ნახნავ-ნათესს პატრონობა სჭირდება და ისევ „მთიების“ ბიჭები ჩადგებიან ხნულში, გუთნისდედობასაც გასწევენ და ნარგავებსაც საკუთარი მკერდებით გადაეფარებიან... „ცისკრის ვარსკვლავი“ (მთიები ძველი ქართული სიტყვაა და ცისკრის ვარსკვლავს ნიშნავს) ისევ ენთება და მის ციაგს სულ მალე გიორგის ვაჟი — პატარა ილია გარაყანიძეც გაიზიარებს — მამისა და პაპის, იმათი დიდი წინაპრების — უხორცო მეომრებისა და უბადლო მომღერლების ხორცი ხორცთაგანი და სული განუყოფელი.

**ლელა ჯიყაშვილი**

# ზურაბ სინცქილაძე:

## ისტორია ერთმანეთისგან პარგისა და ცუდის გარჩევას გვასწავლის...

***გვეუბნება, რომ საკუთარი ქვეყნისა და საერთოდ ისტორიის ცოდნა, პირველ ყოვლისა, სიმშვიდის წინაპირობაა. სიმშვიდეზე კარგი მკურნალი კი ადამიანისთვის არ არსებობს. ის კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-სთან ადრინდელი შეხვედრის ამბავსაც იხსენებს და მაშინდელ განცდებს გვიზიარებს. „ერუდიტის“ სტუმარი მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე გახლავთ.***

— მიხარია, რომ ჟურნალი „ისტორიანი“ გამოდის. ახალგაზრდები და არა მხოლოდ ისინი საკუთარი წარსულის შესწავლას უფრო დიდ დროს თუ დაუთმობენ, კარგი იქნება. ისტორიას მრავალი წახნაგი აქვს. ერთმა ბრძენმა თქვა: „წმინდა წიგნში სულელი ბევრ სისულელეს იპოვის, ბრძენი — ბევრ სიბრძნეს, სიყვარულის მაძიებელი — ბევრ სიყვარულს, ღმერთის მაძიებელი — ღმერთს“. ასევეა ისტორიაც. სამშობლოს ისტორია ადამიანის სისხლისა და სულის ისტორიას ერწყმის. ექიმთან იმიტომ მივდივართ, რომ გვინდა ვიცოდეთ, ჩვენს სხეულში რა ხდება. ასევე უნდა ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, რათა მერე დასკვნა გამოვიტანოთ. ისტორია კარგისა და ცუდის ერთმანეთისგან გარჩევასაც გვასწავლის.

**— რომელიმე ისტორიული გმირი გამორჩეულად თუ გიყვართ.**

— ერთის დასახელება მიჭირს. რა არის გმირობა? რამდენიმე დღის წინ კინოსტუდიიდან ვუყურებდი, პატარა ბიჭი ეკლესიის მახლობლად გაზონებში გადავიდა. ვიფიქრე, ყვავილს მოწყვეტს-მეთქი. მან იცით რა გააკეთა? ყვავილის ბუჩქს სარეველა შემოაცალა და

გადმოვიდა. ის ბავშვი იმ წუთში ჩემს თვალში გმირი იყო...

**— სად განდეგილობდა დავით გარეჯელი, სანამ უდაბნოში გაემგზავრებოდა და იქ სამონასტრო კომპლექსს ჩაუყრიდა საფუძველს?**

— მთაწმინდაზე.

**— საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რომელი მხარის ეკლესია ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას 1814 წლამდე?**

— აფხაზეთის. სწორად ვამბობ?

**— დიახ. გაიხსენეთ, რომელი მეფის შვილი იყო ანტონ II კათოლიკოსი?**

— ერეკლე II-ის.

**— რომელი საეკლესიო მოღვაწე ჩაუდგა სათავეში გელათის აკადემიას დავით აღმაშენებლის მოწვევით?**

— არ ვიცი.

**— მიგანიშნებთ, იგი მანამდე ბულგარეთში ქართველის მიერ დაარსებულ მონასტერში მოღვაწეობდა.**

— ბულგარეთში, გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებულ პეტრიწონის მონასტერში?

**— დიახ.**

— მაშინ, იოანე პეტრიწს დავასახელებ. ასე არ იყო?

**— ნამდვილად ასე იყო. რა რიტუალი სრულდებოდა ძველ საქართველოში ნეფე-პატარძლის ავი თვალისგან დასაცავად?**

— არ ვიცი.

**— გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ ატარებდნენ.**

— ვიცი, რომ ეს ჯვრისწერის რიტუალის შემადგენელი ნაწილი იყო, ამით ლოცავდნენ, ჯვარი გწერიათო.

**— რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა?**

— დაჩი.

**— მიედინებოდა თუ არა მტკვარი მშრალი ხიდის ქვეშ?**

— XIX საუკუნის შუა ხანებამდე მიედინებოდა. მერე კალაპოტი შეიცვალა.

**— სად არის დაკრძალული ვახტანგ VI?**

— ასტრახანში.

**— ვინ იყო ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი?**

— რიბენტროპი.

**— ვინ გაიმარჯვა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში?**

— რუსეთმა (*ფიქრობს*), მაპატიეთ, შემეშალა. იაპონიამ გაიმარჯვა.

**— „სამშობლოს არვის წავართმევთ, / ნურც ნურვინ შეგვეცილება, / თორემ ისეთ დღეს დავაყრით, / მკვდარსაც კი გაეცინება“. ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

— ვაჟა-ფშაველა.

**— რისი დრო დგებოდა ძველ რომში, როცა დიასახლისი სტუმრებს სანდლების გახდას სთავაზობდა?**

— ზუსტი პასუხი არ ვიცი, მადროვე და იქნებ გამოვიცნო.

**— მიგანიშნებთ, ამას ჩვენ დღეში რამდენჯერმე ვაკეთებთ, მაგრამ ფეხსაცმელს არ ვიხდით.**

— საკვების მიღება?

**— გამოიცანით. სტუმარს სანდლების გახდას მაშინ სთავაზობდნენ, როცა სადილობის დრო დგებოდა. რომელი სახელმწიფო აკონტროლებს გიბრალტარის სრუტეს?**

— დიდი ბრიტანეთი.

**— რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა ჯუზეპე გარიბალდის მოხალისეთა კორპუსი?**

— ავსტრიის.

**— ვინ დაუბეჭდა სტალინს სიყმაწვილეში დაწერილი ლექსი: „დილა“?**

— ილია ჭავჭავაძემ.

**— გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს, პიკასოს ატელიეში ხშირად გერმანელი ოფიცრები შედიოდნენ. მხატვარი ყველას სამახსოვროდ თავისი ცნობილი სურათის ასლს აძლევდა. ტილოზე ფაშისტების მიერ ესპანეთის ქალაქ გერნიკას განადგურება იყო ასახული. ერთხელ ატელიეში მასთან მისულმა გესტაპოს აგენტმა ჰკითხა: — ეს თქვენი ნამუშევარია? რა უპასუხა პიკასომ?**

— არა, თქვენი!

**— ვის გადასცა უფალმა ქვის ფილაზე დაწერილი ათი მცნება?**

— მოსეს.

**— სად არის დასვენებული წმინდა ნინოს ჯვარი?**

— სიონში.

**— რა ერქვა მეფის რუსეთში დეპუტატის გასამრჯელოს?**

— უცნაური სახელი ერქვა, მგონი დიეტა, არა?

**— გამოიცანით. ეს დაავადება უამრავ ადამიანთან ერთად ნაპოლეონ ბონაპარტსა და ალექსანდრე მაკედონელსაც აწუხებდა.**

— ვერ გიპასუხებთ.

**— ეპილეფსია. რა ერქვა წვეტიან ჯოხს,**

**რომლის დახმარებითაც ძველ რომში პირუტყვს მიერეკებოდნენ?**

— ოო! მგონი სტიმული ერქვა.

**— რომელი მხარე იყო მაშრიყი?**

— აღმოსავლეთი.

**— რომელ წელს იკურთხა კათოლიკოს-პატრიარქად ილია II?**

— 1977 წელს. მე ამ ამბის მომსწრე ვარ, კურთხევის ცერემონიას ვესწრებოდი. ერთ უფრო ადრინდელ ამბავს გავიხსენებ. სტუდენტობის წლებში ბათუმიდან თბილისში ჩემს მეგობარ, ზურაბ სიხარულიძესთან ერთად ჩამოვედი. ის ახლა თურქეთში საქმიანობს. 1969 წელი იყო, პირველ კურსზე ვიყავით. როგორც იქნა სიონი ვიპოვეთ (მაშინ გარშემო სულ აბანოები იყო) და ტაძარში შევედით. დავინახეთ, სამი ანაფორიანი პირი ტაბლას შემოსხდომოდა. გრილოდა, სიწყნარე იყო. ტაბლაზე ღვინო ედგათ. დაგვინახეს თუ არა, მიგვიპატიჟეს, — მობრძანდითო. მერე გვკითხეს, — ღვინოს სვამთ? და — აბა, გასინჯეთო, — ჭიქები მოგვწოდეს. გამოვართვით და დაბნეულობის თუ არ ვიცი რის გამო, არაფერი გვითქვამს, ისე დავლიეთ. ზედაშე იყო, გასაოცარი გემო და სურნელი ჰქონდა, დავმუნჯდით. თურმე ამ საეკლესიო პირებიდან ერთ-ერთი კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე) ყოფილა, ორ ბერთან ერთად სადილობდა. ეს მათგან ერთ-ერთმა ბერმა გვითხრა, მანამდე ხომ დამუნჯებული ვიყავით, მერე მუხლები სულ მოგვეკვეთა. იქიდან მოყოლებული, ეკლესიას არ მოშორებივარ. მიუხედავად იმისა, რომ მეტეხის თეატრის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყავი.

**— ეკლესიაში სიარულის გამო არ გსაყვედურობდნენ?**

— მსაყვედურობდნენ, ამ ცინცქილაძემ საქმე გააჭირაო, მაგრამ მე მაინც დავდიოდი. მერე მეუბნებოდნენ, ისე მაინც იარე, არ დაგინახონო (*იცინის*). ეს როგორ უნდა გააკეთო, დღემდე არ ვიცი.

**— „ეს რა მსახიობი ვიღუპები“, — რომელ ცნობილ რომაელ იმპერატორს აღმოხდა სიკვდილის წინ ეს სიტყვები?**

— არ ვიცი.

**— ნერონს. ვისი მეფობის დროს არის აგებული, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გამავალი ხიდი?**

— წითელ ხიდზე მეკითხებით?

**— დიახ.**

— ერეკლეს დროს ხომ არა?

**— არა, ეს ხიდი მეფე როსტომის მეფობის**

**წლებშია აგებული. რატომ უწოდეს მას „წითელი ხიდი“?**

— წითელი ფერის აგურითაა ნაგები.

**— რა ერქვა მეფე ფარნავაზის სიძეს, რომელიც მისი მოკავშირეც იყო?**

— ქუჯი.

**— რამდენ ხანს გრძელდებოდა ტროას ომი?**

— ათ წელიწადს.

**— რომელ ნაწარმოებშია აღწერილი ბოლო 54 დღე?**

— ჰომეროსის „ილიადაში“.

**— ამ ომში ვინ იყო ბერძენთა ლაშქრის სარდალი?**

— აგამემნონი,

**— ვინ არის „ქართლის დედის“ ქანდაკების ავტორი?**

— ელგუჯა ამაშუკელი.

**— იტალიის ერთ-ერთი ქალაქის საკათედრო ტაძარში ქრისტიანული სამყაროს დიდი სიწმინდეა დაცული. თანამედროვე ღვთისმეტყველები მას „მეხუთე სახარებას“ უწოდებენ. გადმოცემის თანახმად, ის თავდაპირველად პეტრე მოციქულთან ინახებოდა. ქრისტიანობის დევნის დროს სუდარას მალავდნენ, რადგან იუდეველები და რომაელები ქრისტიანული რელიკვიების განადგურებას ცდილობდნენ. დაასახელეთ, რომელ სიწმინდეზეა ლაპარაკი?**

— ტურინის სუდარაზე, რომელშიც იესო ნაზარეველი გარდაცვალების შემდეგ გაახვიეს.

**— დაასრულეთ ნაპოლეონის ცნობილი გამონათქვამი: „100 ათას ხიშტზე მეტად სამი გაზეთის...**

— ვერ დავასრულებ.

**— „...სამი გაზეთის მეშინია“.**

**თამარ კვინიკაძე**

# ბრბო



**227** **რომაელთა ბრბოს იმპერატორის ძლევაც კი შეეძლო.** ძველ რომში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა და ბევრი მათგანი უმუშევარი იყო, თუმცა ხმის უფლებით სარგებლობდა. ყველაზე ძლევამოსილი იმპერატორიც კი იძულებული იყო, ანგარიში გაეწია ხალხის უზარმაზარი მასისთვის და მისი გული მოეგო. თუ ბრბო იმპერატორის მოწყობილ გლადიატორთა ბრძოლას არ მოიწონებდა, შეიძლებოდა დაესტვინათ, თავს დასხმოდნენ ან მოეკლათ კიდეც... თავად იმპერატორი!

▲ **იმპერატორი ვიტელიუსი (ახ. წ. 69 წ.) გლადიატორთა ბრძოლით უკმაყოფილო ბრბომ ჩაქოლა**

◄ **დასაჯდომი ადგილები არენაზე დანომრილი იყო, ხოლო მეტი კომფორტისთვის ზოგჯერ პატარა ბალიშსაც დებდნენ**

**228** **თითოეული ადგილი კონკრეტული პირისთვის იყო განკუთვნილი.** ყველას, ვინც კი გლადიატორთა ბრძოლას ესწრებოდა, თავისი ადგილი ჰქონდა. ადგილებისა და რიგის ნომრები თიხის პატარა ფირფიტებზე ეწერა და მათ ბრძოლის ორგანიზატორი გასცემდა. რამდენიმე ადგილს არენის გარეთ, რიგში მდგომ მოქალაქეებსაც აძლევდნენ.

**229** **ქალებს ძველ რომში არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, ამიტომ მათ ადგილებს მაყურებელთა უკანა რიგებში აძლევდნენ.** საუკეთესო ადგილებს იმათთვის ინახავდნენ, ვინც ხმის მიცემის უფლებით სარგებლობდნენ და გლადიატორთა ბრძოლებს აფინანსებდნენ.



◄ დაჭრილი გლადიატორი მარცხენა ხელის საჩვენებელი თითის აწევით სთხოვს ხალხს, სიცოცხლე აჩუქონ. დაშვებული ცერა თითი იმის ნიშანი იყო, რომ ხალხი მის სიკვდილს ითხოვდა

**230** **ხალხი წყვეტდა, რომელ გლადიატორს უნდა ეცოცხლა და რომელი მომკვდარიყო.** დაჭრილი გლადიატორი მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს სწევდა და სთხოვდა მაყურებელს, ცოცხალი დაეტოვებინათ. თუკი მაყურებელი გადაწყვეტდა, რომ გლადიატორი უნდა მომკვდარიყო, ცერა თითს ქვემოთ დასწევდა. თუ გლადიატორს სიცოცხლეს ჩუქნიდნენ, მაშინ ცერა თითს მუჭში ჩამალავდნენ. ბრძოლის ორგანიზატორი ხალხის ნებას ემორჩილებოდა, რადგან მათი ხმების მოპოვება სურდა.

# უჩვეულო არენები

**231** **გლადიატორთა პირველი ბრძოლები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბაზრობაზე ეწყობოდა.** საქონლის ბაზრობა, ანუ ფორუმი ბოარიუმი ფართო, გახსნილი სივრცე იყო მდინარე ტიბროსთან. ფორუმიდან პირუტყვის ბაკები გაიტანეს, რომ ადგილი გაეთავისუფლებინათ ბრძოლებისთვის. ხალხი დუქნებიდან და ტაძრებიდან ადევნებდა თვალს გლადიატორებს.

◄ **ხალხი გლადიატორთა ბრძოლას დუქნებიდან და ტაძრებიდან ადევნებდა თვალს**

**232** **ბრძოლების უმეტესობა ფორუმზე იმართებოდა.** ეს იყო ყველაზე დიდი, ღია მოედანი რომის ცენტრში. ფორუმის გარშემო თავმოყრილი იყო მნიშვნელოვანი სამთავრობო შენობები და ტაძრები. დაახლოებით ძვ. წ. 150 წლიდან გლადიატორთა ბრძოლები ფორუმზე იმართებოდა, სადაც დროებით ხის დასაჯდომები დაამზადეს.

**233** **ერთ-ერთი ბრძოლა მბრუნავ არენაზე ჩატარდა.** ძვ. წ. 53 წელს სენატორმა გაიუს სკრიბონიუს კურიონმა გლადიატორთა ბრძოლა თავის ამფითეატრში გამართა. ნაგებობა შედგებოდა ორი ნახევარწრიული თეატრისგან, რომელთა გაშლისას წრიული არენა კეთდებოდა. რომაელებს ისე მოეწონათ ამფითეატრი, რომ კურიონმა რამდენჯერმე მოიგო არჩევნები.

## 234

**პირველი საგანგებოდ აგებული არენის შესასვლელზე იმპერატორის სახელი იყო ამოტვიფრული.** ძვ. წ. 29 წელს პოლიტიკოსმა ტიტუს სტატილიუს ტაურუსმა რომის ჩრდილოეთით ამფითეატრი (ღია შენობა დასაჯდომი ადგილებით) ააგო ქვითა და ხის მასალით. ტაურუსმა იმპერატორის გულის მოსაგებად მისი სახელი „ავგუსტუსი“ არენის შესასვლელის თავზე ამოაკვეთინა.

**▲ არენის თავზე, რომელიც ტაურუსმა ააგო, იმპერატორის სახელი — „ავგუსტუსი“ იყო ამოკვეთილი**

## 235

**ყველა არენა ერთი და იმავე ფორმის იყო.** ოვალურ არენებს ორივე მხრიდან შესასვლელი ჰქონდა. გლადიატორები არენაზე ერთი შესასვლელით სარგებლობდნენ, ხოლო მეორე განკუთვნილი იყო მოსამსახურეების, აგრეთვე დაღუპულ გლადიატორთა ცხედრების გასატანად. სანახაობის ორგანიზატორი საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას იჯდა, არენის ჩრდილოეთ მხარეს, ჩრდილიან სექტორში.




**▼ გლადიატორთა ყველა სტადიონი ოვალური იყო და დასაჯდომი ადგილებიც ჰქონდა**

### სწორია თუ არასწორი?

**1. პირუტყვის ბაზრობა ყველაზე დიდი და ღია ადგილი იყო რომში.**

**2. თავდაპირველად მაყურებლები გლადიატორთა ბრძოლას დუქნებიდან და ტაძრებიდან ადევნებდნენ თვალს.**

**3. ზოგი არენა მრგვალი იყო, ზოგი კი ოვალური ან ოთხკუთხედი.**

**პასუხები:**

1. არასწორია. ველური ცხოველებისა და ადამიანების ბრძოლებს ადგილი ჰქონდა ამფითეატრებში.
2. სწორია. ადრეულ ეტაპზე ბრძოლებს ადგილი ჰქონდა ბაზრებში, ტაძრებსა და ეკლესიებში.
3. არასწორია. ყველა არენა ოვალური იყო.

# დიდებული კოლიზეუმი

**236** **კოლიზეუმს სახელი ქანდაკების მიხედვით ეწოდა.** მას ოფიციალურად ფლავიუსების ამფითეატრი ეწოდებოდა. ფლავიუსები რომის იმპერატორთა დინასტიას განეკუთვნებოდნენ და ამფითეატრი სწორედ მათი მითითებით აშენდა. რომაელი მოქალაქეები მას კოლიზეუმს (კოლოსეუმს) ეძახდნენ, რადგან კოლოსის — იმპერატორ ნერონის უზარმაზარი 30-მეტრიანი ქანდაკების გვერდით იდგა.

► **კოლიზეუმს ჰქონდა მიწისქვეშა დერეფნების მთელი კომპლექსი, რომლის ერთ ნაწილში გლადიატორები იყვნენ, ხოლო მეორეში — ცხოველები საბრძოლველად გასვლამდე**

**237** **კოლიზეუმი ჭაობიან ადგილას იყო გაშენებული.** როცა ახ. წ. 72 წელს იმპერატორმა ვესპასიანე ფლავიუსმა ბრძანება გასცა, კოლიზეუმის მშენებლობა დაეწყოთ, რომში მხოლოდ ერთადერთი დიდი ადგილი იყო დარჩენილი, სადაც რამის აგება შეიძლებოდა. ეს იყო ჭანჭრობი მდინარე ტიბრსა და იმპერატორის სასახლეს შორის. მშენებლობის დაწყებამდე ჭაობის ამოშრობა გახდა საჭირო.

ეს კიბეები დასაჯდომი ადგილებისკენ მიემართებოდა.

არენაზე გასასვლელი მიწისქვეშა დერეფანი

**238** **კოლიზეუმი 50 ათას მაყურებელს იტევდა.** დასაჯდომი ადგილების ვეებერთელა სივრცე 80 სექციად იყო დაყოფილი. ყოველ სექციას ჰქონდა ცალკე კარი და კიბეები, რომლებიც კოლიზეუმის გარეთ გადიოდა. როგორც ამბობენ, კოლიზეუმი სანახაობის დამთავრების შემდეგ 15 წუთში იცლებოდა. არენის სულ ზედა ნაწილი მონებისთვის იყო გამოყოფილი. იქ 4000 კაცი ეტეოდა.

**239** **კოლიზეუმი, სავარაუდოდ, ყველაზე დიდი შენობა იყო რომში.** მისი აგება ახ. წ. 80 წელს დასრულდა. გარე კედლები 46 მეტრი სიმაღლის იყო, ნაგებობის სიგრძე 194 მეტრს შეადგენდა, სიგანე კი 160 მეტრს. კედლები ქვის იყო, უმეტესად აგურისა და ბეტონის.

**240** **პირველი თამაშები კოლიზეუმში 100 დღეს გაგრძელდა.** მშენებლობა იმპერატორ ტიტუსის მმართველობის დროს დამთავრდა. მას სურდა ეჩვენებინა, რომ ყველაზე გულუხვი ადამიანი იყო, ვისაც კი ოდესმე რომში უცხოვრია და გამართა გლადიატორთა ბრძოლები, რომელიც 100 დღეს გაგრძელდა. ამ ბრძოლებში ათასობით გლადიატორი და ცხოველი გამოვიდა არენაზე. ზოგიერთთა მოსაზრებით, ეს იყო ყველაზე დიდებული სანახაობა, რაც კი ოდესმე რომში გამართულა.



# ვინ იყვნენ გლადიატორები?

**241** **საბრძოლო იარაღების მიხედვით გლადიატორების რამდენიმე ტიპი არსებობდა.** თითოეული საკუთარი იარაღით იბრძოდა და ბრძოლის მისეულ ხერხს იყენებდა. ზოგიერთი იმ იარაღით იბრძოდა, რომელიც ძალიან პოპულარული იყო სხვა ქვეყნებში ან მას სხვადასხვა ტიპის ჯარისკაცები ხმარობდნენ. ზოგიც იმ იარაღითა და საჭურვლით იბრძოდა, რომელიც საგანგებოდ არენაზე გამოსვლისთვის იყო შექმნილი.

მურმილონი

**242** **მურმილონები (გლადიატორის ერთ-ერთი სახეობა) სამხედრო აღჭურვილობასა და იარაღს იყენებდნენ.** მათი ფარები და მახვილები ისეთივე იყო, როგორიც რომის არმიის ქვეითი ჯარისკაცებისა. ფარი 1 მეტრი სიგრძისა და 65 სანტიმეტრი სიგანის იყო. მახვილი მეტოქის განსაგმირავად იყო განკუთვნილი და არა დასაჭრელად.

**243** **თრაკიელი გლადიატორები მსუბუქ აღჭურვილობას იყენებდნენ.** მათი იარაღი სწორედ ისეთი იყო, როგორიც თრაკიის სამეფოს ჯარისკაცებისა. ფარი პატარა და ოთხკუთხედი იყო, ფეხებს კი ლითონის მაღალი დამცავი უფარავდათ. მახვილს მოკაუჭებული, ბასრი პირი ჰქონდა, მუზარადი კი გრიფების/გრიფონების (ზღაპრული მტაცებელი ფრინველი) თავით იყო გაფორმებული.

თრაკიელი

◄ ▲ ► **თრაკიელები, მურმილონები და პროვოკატორები აღჭურვილნი იყვნენ აბჯრითა და მძიმე იარაღით. ისინი ერთმანეთს ერკინებოდნენ, ზოგჯერ კი გუნდებად იბრძოდნენ. რეტიარიუსი ყველაზე მსუბუქად იყო შეიარაღებული — ბადითა და სამკბილათი.**

**244** **პროვოკატორი გლადიატორები ყველაზე მძიმე აღჭურვილობას ატარებდნენ.** სამკერდე გულმკერდს უფარავდათ, მრგვალი მუზარადი — თავს, ხოლო საწვეველები ბარძაყამდე სწვდებოდათ. ფარი 80 სანტიმეტრი სიგრძისა და 60 სანტიმეტრი სიგანის იყო. პროვოკატორები იყენებდნენ მოკლე მახვილს, რომელსაც სწორი პირი ჰქონდა.



**პროვოკატორი**

**რეტიარიუსი**

### გააკეთე ფარი

**დაგჭირდება:**
**მუყაო, მაკრატელი, თოკი, ფერადი საღებავები**

**1. აიღე მუყაოს ნაჭერი და გამოჭერი მართკუთხედი მომრგვალებული კუთხეებით.**

**2. სთხოვე უფროსს, ფარის ორივე მხარეს გააკეთოს ნახვრეტების წყვილები, მერე თოკი გაუყარე და სახელური გაუკეთე.**

**3. ფარის წინა მხარე შეღებე ისე, როგორც ამ ნახატზეა ნაჩვენები.**

**245** **რეტიარიუსები სათევზაო ბადითა და სამკბილათი იყვნენ შეიარაღებული.** ამ მცირე აღჭურვილობით გადიოდნენ ბრძოლაში. მათ სისწრაფესა და სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული, როგორ აიცილებდნენ თავიდან მძიმედ შეიარაღებული გლადიატორების, მაგალითად, პროვოკატორების თავდასხმას. მეთევზის ბადეს მეტოქის გასახლართავად იყენებდნენ. სამკბილასაც, შუბს სამი წვეტით, როგორც წესი, მეთევზეები ხმარობდნენ.

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

1 ფოთის ძვ. ბერძნული სახელწოდება

2 გათავისუფლებული ყმა

3 მაღალი სასულიერო ტიტული შიიტებში

4 ქვეყანა აფრიკაში

5 რომის იმპერატორი

6 პალესტინის ლიდერი

7 ხელზე მოკიდებული ძვ. თბილისში

8 გაეროს ყოფილი გენ. მდივანი

9 აშშ-ის ერთ-ერთი პრეზიდენტი

10 ლიბანის დედაქალაქი

11 თბილისის მერი

12 აშშ-ის კოსმოსური პროგრამის საგენტო

13 იაპონიის პირველი დედაქალაქი

14 მუსლიმანთა კულტის მსახური

15 ბოლშევიკური საქართველოს ტირანი

16 ჯარისკაცი ოსმალეთში

17 მამათა დიდი მონასტერი

18 მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში

19 ... მროველი

20 პერუს დედაქალაქი

21 მოკლე, უკადო, მოხრილი და დრეკადი ხმალი

22 ნაპოლეონის მარშალი

23 უკრაინის პარლამენტი

24 მონღოლი ჯარისკაცი

25 ინდოეთის შტატი

*წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:*
*1. არსენა; 2. გენერალისიმუსი; 3. ნერონი; 4. გალერა; 5. მექა; 6. ვალენსია; 7. სრა; 8. უოლესი; 9. ელადა; 10. ეტა; 11. იდო; 12. ბალადა; 13. მინსკი; 14. ენგელსი; 15. იაპონია; 16. პრესლი: 17. კაირო; 18. ოფურო; 19. ნოე; 20. ბანა; 21. ლევილი; 22. ელცინი; 23. ბლერი. სურათზე: ანგელა მერკელი.*